

აოდაშელ თაქთირიძე

Amapola



არდაშელ თაქთირიძე

AMAPOLA

გამოცემობა «თბილისელები»
თბილისი 2018

რედაქტორი
ზაზა ახორაძე

დამკაბადონებელი
ოთარ კიკილაშვილი

ყდის მხატვარი
ნინო სოპალსკაია

© არდაშელ თაქთირიძე, 2018

ISBN 978-9941-9335-3-0

ყველაფერი მარტივი გენიალურია - ასე იყო ოდესლაც თქმული უცნობი ჭკვიანი კაცის მიერ. მე ამას დავამატებდი, რომ ყველაფერი ნიჭიერი უბრალო და სადაა.

გიორგი თაქთაქიშვილს (არდაშელ თაქთირიძეს - ასე იცნობს მას მკითხველი და მიმდინარე ლიგერაგურული პროცესით დაინგერესებული ქართული ფეისბუკის ფართო მომხმარებელი) სამწერლო ნიჭი უხვად უბოძა უფალმა. ნიჭია, აბა რა - როდესაც ასე ლაკონურად, მოხდენილად, საინფერესოდ და, ერთი შეხედვით, თითქოს უსაფრთხოდ და შორი მანძილიდან, ანუ განყენებულად, გვიყვები ქვეყნის ჭირსა და ვარამზე და პატარა ადამიანების დიდ განცდებზე ამ ჭირსა და ვარამში. ყველაფერ იმაზე, რაც ამ ქვეყანაში, ამ ქალაქში, ამ გარემოში ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხდებოდა და ხდება. თან ისეთ ამბებს გვიყვები, ისეთ ნიუანსებს უღრმავდები და ისეთი ბილიკებით გვიკვლევ გზას, რომლებსაც სხვები ან ვერ ხედავენ, ან სულაც განგებ გაურბიან. ეგან თღონდ, რომ ასეთ ნიჭს თან აქილესის ქუსლიც ახლავს. თავისდაუნებურად სოციალური ხასიათის მწერალი ხდები. ანუ, არ გიმართლებს ამ ჩვენს მოყირჭებულ პოსტმოდერნულ რეალობაში.

აქ, შესაძლოა, საგსებით სამართლიანი კითხვა დაისვას: ეგ „არგამართლება“ რას უნდა ნიშნავდეს და რაში გამოიხატება? განა სიტყვა „სოციალური“ დღესაც სალანდღავია? ნუთუ ვეღარ უნდა გამოვიდეთ სიბანელისა და ობსკურანგიზმის ამ მოჯადოებული წრიდან, ვეღარ უნდა გავარღვით იგი? აღარ დადგა დრო? ამ კითხვაზე მოკლე და არასრულყოფილი პასუხის გასაცემად, მცირედი ისტორიული ექსკურსი წაგვაძეგებოდა. სხვანაირად კი, ჩემი აბრით, გიორგი თაქთაქიშვილის მწერლური ფენომენის გაგება ოდნავ გაგვიჭირდება.

საქმე ისაა, რომ ამჟამინდელ სისტემურ ქართულ ლიგერაგურაში (უფრო სწორად, იმაში, რაც დღეს ამ სიტყვათწყობაში მოიაზრება) სოციალური თემა ფრიად არაპოპულარულია. მეტიც, ერთობ საშიშ და

არაპროგნოზირებად მოვლენადაც კი მიიჩნევა ლიგბიუროკრატიასთან დაახლოებულ საგამომცემლო წრეებში. სოციალური საკითხის მიმართ ამგვარ შიშნარევ მიღვომას ჩვენთან თავისი ისგორიული წინაპირობები გააჩნია. მას შემდეგ, რაც განვების ნებითა და ძალით, სოციალისტურმა რეალიზმა საქართველოში ჩაიღურის წყალი დალია, მას თანდათანობით - და სრულიად ბუნებრივად - ჩვეულებრივი და თითქოსდა სავსებით ნეიგრალური, კრიფიკული რეალიზმიც მიყვა. ყველაფერი ეს - ახალი დაუწერელი კანონის მიხედვით - წყეულ საბჭოთა გადმონაშთად გამოცხადდა და უმოწყალოდ იქნა მოსროლილი ლიგერაგურულ სანაგვებე, მენაგვის ფუნქცია კი 90-იან წლებში გამოჩეკილმა, ვითომ ნაფიფმა და ევროპეიზიზრებულმა, სინამდვილეში კი მოხუნვეიბინომომწერლო ელემენტებისგან შემდგარმა ხელოვანთა ახალმა თაობაში შეითავსა. უკანასნელ 10-15 წელიწადში ამ ელემენტებმა თითქმის მთლიანად შეავსეს მთელი ლიგერაგურული სცენა და ისე მოხდენილად და უალტერნატივოდ შესთავაზეს და მოახვიეს საზოგადოებს თავზე საკუთარი პერსონები, ისე მოირგეს „ქართული მწერლობის“ საპატიო სახელი, რომ ძველ, ხშირად ნაძველიჭარ, თუმცა ნამდვილად დამსახურებულ „ლიგერაგურულ მასგოდონებს“ აღარაფერი დაუფოვეს უმწეო წყელებ-კრულვაში გარდამავალი ოხვრა-ხვნების გარდა. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ამ „მოხუნვეიბინო წრეში“ მართლაც წამოფრთიანდა რამდენიმე უთუოდ ნიჭიერი და, იქნებ, ახალ დინებებსა და ცდუნებებს შემთხვევით აყოლილი ნამდვილი ლიგერაგორიც, თუმცა, „ქართული ლიგერაგურული ხუნვეიბინიზმის“, როგორც მოვლენის, შეფასებას, მათი შემოქმედება და მოღვაწეობა არსებითად არ და ვერ შეცვლის. კასტა მაინც კასტა და კასტის კანონებით ცხოვრობს.

პარალელურად ამისა, პრაქტიკულად წყვეტის თავის საქმიანობასა და არსებობას ქართული ლიგერაგურული კრიფიკა. აქაც იგივე სურათია. გამონაკლისის სახით რამდენიმე ნორმალური კრიფიკოსი ქართულ ლიგერაგურას დღემდე შემორჩა, მაგრამ თავად კრიფიკამ (როგორც ჟანრმა) განიცადა სრული დეგრადაცია და კრახი. ძველი ფორმით ის უბრალოდ აღარავის სჭირდება, მეტიც - მხოლოდ ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი პირობაა, რადგან უნებლიერ ფრთების შეკვეცის საფრთხის მაგარებელია პრემიებსა და ფესტივალებს მოწყურებული

და მომლოდინე მავანი ახალ- და ძველგაბრდა „ლიბერალური“ ლიტერატურული კარიერისგისთვის. შინაარსობრივად კი ქართულ კრიტიკას მოუვიდა იგივე, რაც ქართულ ფეხბურთს. ანალოგია აშენარა და თვალშისაცემია: ცალკეული კრიტიკოსები, ისევე როგორც ცალკეული ფეხბურთელები, გადარჩნენ და ჩვენ ზოგჯერ ვამჩნევთ კიდეც მათ მოედან-ზე, მაგრამ ერთვნული კრიტიკაც და ერთვნული ფეხბურთიც, როგორც თვითმყობადი მოვლენები, განვლილი წლების მანძილზე ერთობლივად და პარალელურ რეჟიმში ქრებოდნენ ჩვენი თვალსაწიერის არეალი-დან. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ახალი, „დემოკრატიული“, ეპოქის მიერ შემოგანილი ნოვაცია იყო.

კრიტიკის დეგრადაცია, პირველ ყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ გაქრდა და მოისპო სპეციალური კრიტიკული ჟურნალები, კრიტიკული აზრი კი საბოლოოდ ჩაიხარშა საკუთარ თავსა და ქვაბში, რაღაც უვი-წროეს და მუდმივად კუმშვად პროფესიულ წრეში. აღარც ერთი ჭეშმარიფი აღმაფრენა, არც ერთი მკვეთრი გაელვება მოღუშულ ცაბე... ძალიან მალე ამ წრის შიგნითაც და გარეთაც ფრიად არამოღური ხდება უთვალავი „აღმომავალი ვარსკვლავის“ შემოქმედებაზე რაღაც მცირედი აუგის თქმაც კი - მომავალი ლიტერატურსების ჟიურიში ვერ-მოხვედრისა და მარგინალიზიციის შიშით. ასე და ამგვარად, დღეს საქართველომ „დიდი მწერლების“ ოდენობით ლამის მთელ დანარჩენ მსოფლიოს გაუსწრო - თვითშეფასების მხრივ... ლიტერატურული მა-ამებლობა პატარა, მაგრამ მაინც მომგებიანი ბიზნესი გახდა. შეღეგი სახეზეა: მიმდინარე ეპოქაში ლიტერატურული პრემიებისა და ჯილ-დოების მინიჭების მექანიზმი წინასწარ ეფაპებზე ყველას ეხება - სპონ-სორებს, ბანკირებს, ბავშვობის მმაკაცებს, საქმიან პარგნიორებს, პარლამენტისა თუ საკრებულოების დეპუტატებს, გამგებლებს, მინის-ტრებს, რექტორებსა და დირექტორებს - მოკლედ, ყველას ამ საცოდავი კრიტიკოსების გარდა. მაგრამ დასკვნით ეფაპებზე, საფინალო სასტვენის წინ, მათი დასტურიც ხომ საჭიროა - ასეთია ფესვგამდგარი და ჩვეული ტრადიცია, რომელიც უხდება პრემიას, ვითარცა მარილი ხაშლამას...

რა თქმა უნდა, ყოველივე ამან იქნია ძალზე უარყოფითი გავლენა ქართულ მწერლობაზე მთლიანად. რეალობაში კი ძველი, საბჭოთა და ფრიად არასრულყოფილი მწერალთა კავშირი სადღესოდ ახალმა, ან-

ჭისაბჭოთა და ასევე არსრულყოფილმა, ოღონდ უკვე ცისარტყელას ფერებში გადაწყვეტილ შალში გახვეულმა „ტუსოვკამ“ შეცვალა. დღეს ეს „ლიბერალური კავშირი“, მმართველი წრეების იღეოლოგიასთან მონათესაობისა და ლიტერატურულ ბიუროკრატიასთან გადაფსკვნილობის გამო, პრაქტიკულად იგივე სახელმწიფო ფუნქციას ასრულებს, რასაც მაშინდელი მწერალთა კავშირი ასრულებდა. იმ განსხვავებით, რომ მანქანებსა და ბინებს ვეღარ არიგებს და სიღარიბის გამო პრემიებითა და საფესტივალო მივლინებებით შემოიფარგლება. ეს არცაა გასაკვირი - როგორი სახელმწიფოც აშენდა, ისეთივე შემოქმედებითი „კავშირებიც“ შობა, ახალი ამაში არაფერია.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ამ რეფორმატორული ჟინით გაუძლენილ როდეოში მონაწილეობისას, არა მარტო კრიტიკულ ჟურნალებს, არამედ ყველა სხვა შინაარსისა თუ მიმართულების ლიტერატურულ ჟურნალებსაც დაუღა მძიმე ხანა. მათ შორის ისეთ ჟურნალებსაც, სადაც, წესით, თავის დრობე გიორგი თქთაქიშვილის ლიტერატურული დებიუტი უნდა შემდგარიყო და მისი პირველი მოთხოვები გამოქვეყნებულიყო. აქაც სათანადო განმარტებაა გასაკეთებელი.

ჩემი ახალგაზრდობის წლებში, ცნობილი ლიტერატურული ჟურნალის („ცისკრის“ ან „მნათობის“) ფურცლებზე პირველად გამოჩენა, შენი პირველი მოთხოვებისა თუ ლექსის გამოქვეყნება (და მეორე-მესამისაც), დაახლოებით იგივე იყო - ისევ საფეხბურთო შედარებას მოვიყვან, - რაც თბილისის „დინამის“ მაისურით მწვანე მინდორბე პირველად გამოსვლა ორმოცი ათასი ქომაგის წინაშე. სიამაყე, ფეხისა თუ ხელის უკონფრონტოდ აკანკალება, შიში, პასუხისმგებლობა, მომავლისა და დაფასების იმედი... ყველაფერი ეს ერთად ათქვევილი, და ყველა მიმდებარე გრძნობას ვერც კი ჩამოთვლი კაცი.

დღეს, სამწუხაროდ, მავანი ლიტერატურასთან აფილირებული პირი არ აღიარებს, ან ბოლომდე ვერ აღიქვამს, ამ ნეოფიტური გრძნობების იმანენტურ სიღიადესა და მათ ჭეშმარიტ ფასსა და ღირებულებას. ბევრმა კი, შესაძლოა, უბრალოდ არც კი იცის, რომ ისგორიული თვალსაზრისით სულ რაღაც გუშინ-გუშინწინ, ნამდვილი ლიტერატურა იჭედებოდა და კეთდებოდა არა კერძო გამომცემლობებში, უცხოური წარმოშობის ფონდების ბორდების სხდომებსა ან, მით უმეტეს,

კონკურსებზე, არამედ, პირველ ყოვლისა, ლიტერატურულ უურნალებში. ასე იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, მაგრამ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებით. უფროს (ანუ ჩემს) თაობებს შესანიშნავად გვახსოვს, რომ სწორედ ლიტერატურული უურნალი იყო ის პოლიგონი, სადაც იწრთობოდა მაღალი ხარისხის ლიტერატურული ფოლადი. ბოლო-ბოლო, მარგო ის რად ღირდა, რომ ჩემს მიერ ზემოთ ხსენებული უურნალების ფირაჟი ამ ჩვენ პატარა საქართველოში ათეულ ათასობით ეგზიმპლარს ითვლიდა და, რაც მთავარია, ხალხი მათ კითხულობდა, ეგპნებოდა. დღევანდელი ლიტურნალების ფირაჟი კი რამდენიმე ასეულს არ აღემატება და მათი ძირითადი მუშგარი ისევ და ისევ თავად ავტორები და მათი ახლობლებია. რა თქმა უნდა, გარკვეული წილი ამ შზაკვარ საქმეში ინგერნეგმაც შეიგანა, მაგრამ სხვაობა მაინც უაღრესად თვალნათელია.

ამ მცირე, მაგრამ აუცილებელი ჩანართის შემდგომ, ჩვენთვის უფრო ადვილი იქნება მივებრუნდეთ საკუთრივ გიორგი თაქთაქიშვილის შემოქმედებას, გავერკვეთ მასში და შევეცადოთ დავუმკვიდროთ მას სათანადო ადგილი მფრის ჯინაზე მაინც მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში.

ნებისმიერ მწერალს, საზოგადოდ, არ უყვარს პიროვნული ანალოგიები და გაურბის მისი პერსონალური, ღრმად ინდივიდუალური შემოქმედების სხვათა შემოქმედებასთან გაუფრთხილებლად შედარებას. მწერლის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ, თუმცა, ყველა სხვა სფეროში ის შესაძლოა უაღესად მოკრძალებულ და მორიდებულ აღამიანად გვეპლინებოდეს, მაგრამ სამწერლო დაზგასთან - გულის სიღრმეში - მას საკუთარი თავი განუმეორებელ დიღოსტაგად და გიგანად წარმოუდგენია. ბოგჯერ მაინც - ისე საერთოდ არ ღირდა მწერლობა... ამ მხრივ მწერალი უაღრესად და უსაზღვრობ ამბიციური აღამიანია. ამიგომ ყველა შედარება ერთი მწერლისა მეორესთან, ძალგე ფრთხილად უნდა კეთდებოდეს, რათა შემოქმედს მისხალი ეჭვიც არ შეეპაროს საკუთარი „პირველი ღამის“ ღვთიურ უფლებაში. ერთადერთი კი ვისთანაც შედარება მაინც დასაშვებია - ეს მსოფლიოში აღიარებულ რომელიმე კლასიკოსთან. თანაც არა ცოცხალთან, არამედ უმჯობესია იმასთან, ვინც უკვე იპობა კუთვნილი ადგილი სამუდამო ლიტერატურულ სასუფ-

ეველში.

ამიგომ გავბედავ, გავკადნიერდები და გავრისკავ: სამართლიანად შევადარებ გიორგი თაქთაქიშვილის შემოქმედებას წარსულის ერთ-ერთი ასეთი აღიარებული კლასიკოსის - ამერიკული ლიტერატურის უქრობელი მანათობელი ვარსკვლავის, ო.ჰენრის ფსევდონიმით ცნობილ უილიამ სიდნეი პორტერის შემოქმედებას. იმედია, მეპატიურა ეს პატარა ცოდვა.

რა მაიძულებს სწორედ ასეთი შედარების გაკეთებას? „ქართველი ო.ჰენრი“ - ეს ხომ უბრალო შედარება არ არის, ეს ხომ წოდებაცაა და მოწოდებაც!

პირველ ყოვლისა, ამას ის მაიძულებს, რომ არდაშელის მოთხოვნებს (აქაც ფსევდონიმი!) კითხვისას უბრალოდ ვერ წყდები - ეს კი ლიტერატურული სიძლიერისა და ოსგაფობის უმთავრესი ნიშანია. გავიმეოროთ ჩვენც ცნობილი შოთასეული სიბრძნე: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ - არა დაგვაკლდება რა.

რამდენიმე სიტყვა კრებულში შერჩეულ მოთხოვნებზე.

სუნგიმენგალური „ამაპოლადან“ ერთგვარი ცხოვრებისეული სიბრძნით დახუმლულ „ესტაფეგამდე“ - ანუ თავიდან ბოლომდე - კრებული გაუდენთილია სწორედ რომ ფაქიზი ოპენრისეული ირონიით, შეფარული დარღით ამა ქვეყნის შეჭირვებულთა მიმართ (სოციალური მომენტი) და „დიდი“ ადამიანური გრძნობების „მცირე ფორმის“ ფარგლებში მოთავსებით თხრობის სიმკვრივის გაზრდის ხარჯზე. მაგალითად გამოდგება „პაემანი“ - ეს მოთხოვნა უბრალოდ განახლებული და სახეცვლილი ოპენრია, ოღონდ საუკუნით აქეთ გადმოგანილი და ორიგინალურ ქართულ სინამდვილესთან შერწყმული. არც კი ვიცი, ამ შემთხვევაში, შექებაა ეს ჩემი მხრიდან თუ ზედმეტი სითამამე... და არა ოპენრითა ერთითა... ოპენრის გარდა აქ აწ გარდასული კლასიკოსებიდან სხვებმაც შეიძლება შეგახსენოს თავი. მაგალითად, იაპონელმა აკუფაგავა რიუნოსკემაც და ევროპიელმა კაფკამაც: არღაშელის „დეტექტიური ნოველა“ რაღაც ძაფებით აკუფაგავას „უსიერ ტყესთანაა“ გადაბმული, ხოლო მოთხოვნა „სიკვდილმისჯილი“ უცბად კაფკანურ სამყაროში გადაგვისვრის... მეტს აქ არაფერს ვიტყვი - მკითხველმა თავად უნდა წაიკითხოს და განსაჯოს, რამდენად მართალი ვარ. რაღაც

ხომ მკითხველსაც უნდა დავუტოვოთ...

აღსანიშნავია, რომ არდაშელ თაქთირიძე სოციალურის გარდა არც პლლიტიკურ თემებს გაურბის, რაც, და კიდევ ის, რომ მწერალს შესა-შური მრავალმხრივობა და - იშვიათი ხილი - ერუდიცია ახასიათებს, ფრიად პოზიტიურად განასხვავებს მას ბევრი მისი ქართველი კო-ლეგისგან აქტუალურ ლიტერატურულ სივრცეში.

არდაშელის მოკლე, სხარგ და ემოციურად დატვირთულ მოთხრობებში, ჩვენს თვალწინ თითქოს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის პანორამა იშლება - საბჭოთა ეპოქის უხილავ მარწუხებში მოყოლილი პაგარა ადამიანების სვებედიდან („დედის გული“, „მაშო ბებო“), საშინელი 90-იანების მწარე ყოველდღიურობად ქცეულ ტრაგედიებამდე („ეფლი“, „ქირურგი“). კრებულში ასევე იხილავთ ნამდვილ ოდას ქართულ-ებრაულ ათასწლოვან მეგობრობაზე („ალია საქართველოდან“) და, ალბათ, იგივე კონტექსტშია მოსააბრებელი მოთხრობა „ვაგაშინონამაევა შოთაძეს!“ - ჩვენს ლეგენდარულ ძიუდოს მოჭიდავე შოთა ჩოჩიშვილბე. თანამედროვე საქართველოს ცინიკური რეალობა ავბედითად გამოკრთის ერთის შეხედვით თითქოსდა სახუმარო მოთხრობაში „ცდუნება“ - არადა, ასე ყოფილა, თურმე, ეს ქვეყანა მოწყობილი, ქვეყანა, სადაც ქრთამი თვით ჯოჯოხეთს ანათებს, მიდი და ნუ დაჟერებ... ამ კორუფციულ გარემოში აღარ უნდა გაგიკვირდეს არც ბოროტების გაუმაძღვრობა („მაწანწალა“) და არც ადამიანური სიმდაბლე, რომლის წინაშე ხშირად უძლურნი ვართ - ისევე, როგორც ნაბი ელეგიითა და დარდით აღვსილ „დედაენაში“, რომელსაც ფონად 14 აპრილის ცნობილი პლლიტიკური ამბები მოყვება. არადა, სინამდვილეში ესაა მოთხრობა ჩვეულებრივ ადამიანურ ნაბირლობაზე, უუნარობაზე, სიყვარულის ვერდაცვასა და ერთხელ დაშვებული მთავარი შეცდომის ფასტე. მოთხრობებს ჩვენი ავგორი არცთუ იშვიათად მოხდენილი ფილოსოფიური წიაღსვლებითც ამდიდრებს („შენდობა“, „ნიღაბი“). ოჯახის უჩინარი და ულევი სიყვარული გადმოიღვრება მოთხრობიდან „ბაზარში“ - მამის პორტრეტი ამ მოთხრობიდან, ნეფავი, რომელ ქართველ მამას არ მოგვრის ერთ კურცხალს მაინც... გამორჩეულად რეალისტურია ფანგასტიკასა და ალტერნატიული ისტორიის საზღვარზე დაწერილი მოთხრობა „კოსმოსში“, რომელშიაც, ერთ ცალკე აღებულ თბილისე-

ლი ინგელიგენტის ბიოგრაფიის მაგალითზე, როგორც წყლის წვეთში ოკეანე, აირეკლება მთელი ქართული საბჭოთა ინგელიგენციის ბედი, ბედი იმ სოციალური ფენისა, რომელიც იმ ძველი დიდი ქვეყნისა და ჩვეული წყობის დანგრევის შემდეგ, თითქმის ტოტალურად დაემსგავსა ნაპირზე ცუნამით გამორიყულ ცოცხალმკვდარ ქაშაყს, რომელსაც დიდი ხანი სიცოცხლე აღარ უწერია, რამეთუ ოკეანემ უკან დაიხია...

მაში, დავულოცოთ ლიტერატურული გზა თრ ქართველ ო.პენრის - არ-დაშელ თაქთირიძესა და გიორგი თაქთაქიშვილს!

გიორგი ლორთებიშვილი

Amapola

Amapola - ხრიწინებს პატეფონი უოზეფ ლაკალლეს უკვდავ მუსიკას.

ცეკვას გოგონა მიმობნეულ ფქვილის ტომრებს შორის. ფეხ-ის წვერებზე აინევა, წელში გასწორდება და ხელებს თავს ზევით მორკალავს, ან ძირს დაეშვება, ხელებს მკერდზე გადაიჯვარედ-ინებს და რევერანსს აკეთებს. ცეკვა და მუსიკა ერთმანეთს ერწყ-მის, თითქოს ნოტები შესაბამის „პას“ პოულობენ, ხელს ჩაჰვიდე-ბენ და სივრცეში ერთად განიბნევიან. ცეკვა მისია, მხოლოდ მას ეკუთვნის, მას, ერთადერთს - ჭუჭრუტანიდან მომზირალ ბიჭს!

ერთხელ, ამერიკაში - მშფოთვარე 30-იანი წლები...

* * *

Amapola - კვნესის ვიოლინო უოზეფ ლაკალლეს უკვდავ მუსი-კას.

უკრავს გოგონა მიმობნეულ ნოტებს შორის. ვიოლინო მარცხ-ენა მხარზე დაუყრდნია, ზედ ნიკაპი ჩამოუდია, სიმებზე დარბიან მარცხენა ხელის თითები, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ნაზად უსვამს ხემს. სიმისა და ხემის ყოველი შეხება, ყოველი შეუღლება - ახალი კვნესაა, ახალი სევდა, ლამაზ მუსიკად გადმოფრქვეული. მუსიკა მისია, მხოლოდ მას ეკუთვნის, მას, ერთადერთს - ჭუჭრუ-ტანიდან მომზირალ ბიჭს!

* * *

Amapola - ასხივებს ნახატი უოზეფ ლაკალლეს უკვდავ მუსი-კას.

ნახატებს შიჭი მიმობნეულ ნახატებს შორის. მარცხენა ხელში საღებავებით მოსვრილი პალიტრა უჭირავს. მარჯვენათი მოზომილად უსვამს მოლბერტზე გადაჭიმულ ტილოზე ფუნჯს. ტილოსა და ფუნჯის ყოველი შეხება, ყოველი შეულლება - ახალი ფერია, ახალი გამა ლამაზ ნახატად გადმოცემული - ყაყაჩოებით მოფენილ მინდორზე შავკაბიანი გოგონა სწორი, ყორნის-ფერი თმით, თეთრ ვიოლინოზე უკრავს, თითქოს, ცოტა ხნის წინ აკვნესებული მუსიკა, ჭუჭრუტანაში გამოძვრა და ტილოზე, ნახატად გარდაისახა. ნახატი მისია, მხოლოდ მას ეკუთვნის, მას, ერთადერთს - ჭუჭრუტანიდან მომზირალ გოგონას!

* * *

Amapola - აკვნესებს გოგონა ვიოლინოს, იმავე საღამოს, „პეროვსკაიას“ ერთ-ერთ რესტორანში.

Amapola - ყიდის ბიჭი ნახატს, მეორე დილით, „მშრალი ხიდის“ ქვეშ.

ხშირად, საქართველოში - მშევოთვარე 21-ე საუკუნე...



ეტლი

ტროტუარზე საბავშვო ეტლი მიგორავს. უკან ქალი მისდევს. ორივე ხელით ეტლის სახელური ჩაუბლუჯავს. მოსახვევში სახელურს აწვება, ეტლს მიმართულებას უცვლის. ხანდახან წინ გადაიხრება, კისერს წაიგრძელებს და პირმშოს დასცქერის მზრუნველი დედის ღიმილით.

* * *

ბიჭი დაიბადაო! - თოფი გაისროლეს სანდრო და გიული თავართქილაძეების ბინის ფანჯრიდან. ეს ის პერიოდი იყო, როცა თბილისში სროლა არავის უკვირდა. განსაკუთრებით, დიდ დილომში, „მხედრიონელები“ ავტომატის ჯერით რომ ესალმებოდნენ ერთმანეთს და, თუ თვალში არ მოუხვიდოდი, ისე გაგაგორებდნენ, მომკითხავი არავინ გეყოლებოდა.

მეოთხე დღეს, დედა-შვილი სამშობიაროდან გამოწერეს, სახლში მიიყვანეს, ბავშვს გიო დაარქვეს და მოსკოვში, მივლინებაში ყოფნის დროს, ლუბიანკაზე, „ბავშვთა სამყაროში“ ნაყიდ და რის ვაი-ვაგლახით თბილისში ჩამოტანილ, გერმანულ საბავშვო ეტლში ჩააწვინეს. პირველი ორი თვე ეტლში აძინებდნენ. მერე კი, ბავშვის საწოლი უყიდეს და იქ გადააბრძანეს. ეტლი კი, კორპუსის პირველ სართულზე, ეტლების სპეციალურ სადგომში დააყენეს.

ყოველდღე ჰაერზე გაჰყავდა გიულის ბავშვი. გამოიყვანდა სადგომიდან ეტლს, ცოტა ხანს ისეირნებდნენ. მერე კი, მძინარეს, თავისი ფანჯრების წინ, ხის ჩრდილში, გრძელ სკამზე ჩამომსხდარ მოჭორავე მეზობლის ქალებთან დატოვებდა, ბინაში ავიდო-

და, თან სამზარეულოში საჭმელს ამზადებდა, თან ფანჯრიდან ბავშვს ყურადღებას აქცევდა.

ერთ დღეს, ბავშვის ამოსაყვანად, ბინიდან რომ გამოვიდა, კი-ბეზე ყოფილი კლასელი შეხვდა - 77-ე სკოლაში სწავლობდნენ ერთად, მის კორპუსში, იმავე სართულზე ეყიდა ბინა. მოკითხვა, აქეთური, იქითური, ძველის გახსენება, მომავლის გეგმები, ბინის ჩვენება. რომ ჩავიდა, არც ბავშვი დახვდა, არც ეტლი და არც ხის ჩრდილში, გრძელ სკამზე ჩამომსხდარი მოჭორავე მეზობლის ქალები. ჯერ თავის თავში დაეჭვდა, ბინაში აირბინა, ბავშვს ძებნა დაუწყო, მერე სადგომში ეტლი შეამოწმა, გარეთ გამოვარდა, კორპუსს შემოურბინა, მეზობლებს მოუხმო საშველად. ფანჯრებიდან გადმოხედეს - ბავშვი სად გაქრა, არავინ იცოდა.

- სანდრო ნაადრევად ხომ არ მოვიდა სახლში და ბავშვი გაასეირნაო?!

- აზრი გამოთქვა ერთ-ერთმა მეზობელმა. ჭუუაში დაუჯდა, ცოტა დაწყნარდა. მაგრამ ქმარი უბავშვოდ რომ მოვიდა, გული შეუწუხდა და სასწრაფოს მოსაბრუნებელი გახდა.

* * *

დილის 11 საათი იქნებოდა, კორპუსის ეზოში ორი, წვერიანი, კამუფლაჟიანი, ავტომატებით შეიარაღებული და ნარკოტიკით გაბრუებული კაცი რომ შემოვიდა. მათ დანახვაზე ეზო დაცარიელდა - ყველა სახლებში შეიკეტა, არავის ჰქონდა შარის თავი. კაცებმა მიდამო მოათვალიერეს, იწრიალეს და წასაღები სხვა რომ ვერაფერი ნახეს, ბავშვიანი ეტლი „ხელს გააყოლეს“. გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, იარაღის მუქარით მანქანა გააჩერეს, მძღოლს ეტლი დააშლევინეს, საბარგულში ჩაადებინეს, ერთი მძღოლს გვერდით მიუჯდა, მეორე ბავშვიანად უკან ჩაჯდა და ვარკეთილის მეტრომდე კრინტი არ დაუძრავთ - წინასწარ, ბავშვში და ეტლში აღებული ფულით ნაყიდი ნარკოტიკის ვენებში შეშვებით ნეტარებდნენ.

* * *

ცოლ-ქმარმა მილიციაში განცხადება შეიტანა, მაგრამ მილიცია პარალიზებული იყო, ქალაქს „მხედრიონი“ აკონტროლებდა. საქმე გამოუძიებელი დარჩა, მეზობლებიც კი არ დაუკითხავთ.

სანდრო ვილაც ქურდთან მიიყვანეს

- რა გითხრა ძმაო, „ბეზპრედელია“, თვითონ თუ გამოვლენ „სვიაზზე“, თორემ მე ვერაფერს გიშველიო! - „დაამშვიდა“ ქურდმა. სხვა რა გზა ჰქონდათ, დაინყეს ლოდინი, მაგრამ კავშირზე არავინ გამოვიდა. დრო კი გადიოდა, ცხოვრება თავის კალაპოტში დგებოდა. მხოლოდ დედისთვის გაჩერდა დრო - ყოველდღე, ქალაქში დადიოდა და ეძებდა თავის ორი თვის გიოს.

* * *

ვინც ჩვილი ბავშვების ყიდვა-გაყიდვით იყო დაინტერესებული, ყველა იცნობდა ვარკეთილის მეტროსთან მცხოვრებ ჯონი მეფარიძეს. სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის პროცესს სწრაფად რომ აუღო ალღო და ისეთ სარფიან ბიზნესში ჩაერთო, სადაც მოთხოვნა აჭარბებდა მიწოდებას - ჩვილ ბავშვებს 300 დოლარად იბარებდა, ნაცნობ მმაჩის ბიუროს მოხელეს საბუთებს შეაქმნევინებდა და ახალ მშობლებს, სასურველი სახელით და გვარით, 2500 დოლარად მიაშვილებდა. კეთილი კაცი იყო ჯონი, ბავშვის უფლებებს არ არღვევდა და ქონებას - ტანსაცმელს და თუ რამე ეკეთა - მედალიონს, ჯვარს ან სამაჯურს, თან ატანდა. ასე „გადაიქცა“ ორი თვის გიო, ახალშობილ მინდია ქარუმიძედ, რომელიც, 55 წლის ვენერას „შესძინეს“ 64 წლის კარლოსგან და მზითვად ეტლიც გააყოლეს.

* * *

დედა კი, ყოველდღე, ქალაქში დადიოდა და ეძებდა თავის ორი თვის გიოს. ხან ვის მკერდზე მიკრულ ბავშვს შეაცქერდებოდა, ხან ვის ეტლში ჩაიჭყიტებოდა და გადასაფარებელს გადაუწევდა.

* * *

დრო გადიოდა, მინდია ფუფუნებაში იზრდებოდა. მშობლები ზედ დაჲკანკალებდნენ, ცივ ნიავს არ აკარებდნენ, მის მაგივრად აკეთებდნენ, მის მაგივრად ფიქრობდნენ. 10 წლის იყო, მამა რომ გარდაიცვალა, ოთხ წელინადში დედაც მიჰყვა. დარჩა მინდია მარტო, ცხოვრებისთვის მოუმზადებელი. სასამართლომ, სრულ-წლოვანებამდე, მისი მეურვეობა ბევრად უფროს ბიძაშვილს მიანდო. მან კი, ისე „ბეჯითად“ ზიდა მეურვეობის მძიმე ტვირთი, რომ სრულწლოვან ბიჭს, დედ-მამის ქონებიდან, მხოლოდ ტაშქენტის ქუჩაზე, ოროთახიანი ბინა და სარდაფში, პოლიე-თილენში სათუთად შეფუთული საბავშვო ეტლი შერჩა.

* * *

ორი დღეა, არაფერი უჭამია. გავა, ისევ ბოთლებს შეაგროვებს და ჩააბარებს. პურის ფული მაინც ექნება. ბოლო გასვლაზე, კან-დელაკის ქუჩაზე რომ გადადიოდა, ეტლს მანქანა დაეჯახა, თვი-თონ სასწაულით გადარჩა, აი, ეტლი კი სულ დაიგრიხა, ძლივს გაუსწორა ქვით ბორბლები.

* * *

- ის არის, ეტლი, ჩემი გიოს ეტლი! - დაიყვირა შუახნის ქალმა და მკვეთრად დამუხრუჭებული, ჯერ კიდევ მოძრავი სამარშუტო ტაქსიდან, ფულის გადაუხდელად გადმოხტა. ვიღაც ძუნძგლი-ანი, ახალგაზრდა ბიჭი მიაგორებდა მისი გიოს ეტლს. დაეწია, ხელი სტაცა.

* * *

კარგი დღე გაუთენდა - ეტლი გაყიდა.

- 50 ლარი კარგი ფულია, ცოტა ხანს ეყოფა! ნეტავ რად უნდოდა იმ ქალს დანგრეული ეტლი?

* * *

ტროტუარზე საბავშვო ეტლი მიგორავს. ბორბლები რვიანებს ხაზავენ. უკან ქალი მისდევს. ორივე ხელით ეტლის სახელური ჩაუბლუჯავს. მოსახვევში სახელურს აწვება, ეტლს მიმართულებას უცვლის. ხანდახან წინ გადაიხრება, კისერს წაიგრძელებს, თითქოს პირმშოს დასცქერისო მზრუნველი დედის ღიმილით.



ქირურგი

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ქუჩიდან მიიყვანა. გამოკვლევის დრო აღარ რჩებოდა. სიკვდილ-სიცოცხლეს წუთები წყვეტდა. სხეული ვიზუალურად დაათვალიერა - 45 წლამდე მამაკაცი იყო, შუბლთან შეთხელებულ თმაში ჭალარა ერია, გაფითრებული ტუჩები მოეკუმა, თვალები ჩასცვენოდა, ჩავარდნილ მკერდზე, მარცხენა მხარეს, ჭრილობაზე სისხლი მიმხმარიყო, სვირინგი - ყელიდან საზარდულამდე გაჭიმული და იღლიებამდე ფრთხებგაშლილი არწივი სუნთქვის დროს, მოკაუჭებულნისკარტიან თავს აქეთ-იქით ამოძრავებდა.

- საოპერაციოდ გაამზადეთო! - თქვა ქირურგმა ისე, რომ არ-ნივისთვის თვალი არ მოუცილებია.

* * *

მკერდი შუაზე, არწივის კისრის გასწვრივ, გრძივად ჩასერა. სისხლმა იფეთქა. ნაკვეთს მაშები მოუჭირა და აქეთ-იქით გადასწია. სისხლმა ის საბედისწერო დღე გაახსენა: - დილით მეგობარმა რომ დაურეკა

- „პეპელასთან“ ცისტერნა ჩამოდგა, ბენზინს ყიდიანო! - რაღა ახლა გაახსენდა?! - სახლიდან გამოვიდნენ, ბიდონები „07“-ის საბარგულში ჩადეს, შვილი საჭესთან დაჯდა, თვითონ გვერდით მიუჯდა. შავი ზღვის ქუჩაზე ორი შეიარაღებული კაცი გადაუდგა, მანქანის წართმევა უნდოდათ. ორივეს წვერი ჰქონდა მოშვებული. პისტოლეტიანს სამხედრო ფორმა ეცვა და თავზე ბენდენა ეკეთა, ავტომატიანი წელსზემოთ გახდილი იყო, ალბათ დასცხა. ყელზე ცხვირსახოცი ჰონდა საყელოდ შემონასკვული.

* * *

ნეკნების შემაერთებელი ხრტილი ჩაჭრა. გამწევი ჩაუდგა და ხრახნი გადაუჭირა. ნეკნები ერთმანეთს დასცილდა. დანის წვერს, მარჯვენა პარკუჭის წინა კედელი დაეზიანებინა. ეტყობა, ბედად, ჭრილობას თორომბი დაეცო, ამიტომ სისხლი, განდევნისას, წვრილი ნაკადით ასხამდა, გულმკერდის ღრუ სისხლით იყო ამოვსებული. სისხლმა ისევ ის დღე გაახსენა. სად გაჩერდა? მოიცა, სვირინგი! - მკერდზე გადაჭიმული არწივი - აღარც ახსოვდა. გამომძიებელმა თავდამსხმელთა აღწერილობა რომ გამოჰკითხა, მისთვისაც არ უთქვამს.

* * *

შვილმა მანქანა გვერდზე მიაყენა, თითქოს გაჩერება დააპირა, მაგრამ იარაღის ლულები რომ დაუშვეს, „გაზს“ მიაწვა და მანქანა ადგილიდან „მოწყვიტა“, ალბათ იმ იმედით, რომ სანამ აზრზე მოვიდოდნენ, ხიდის ქვეშ შეასწრებდა და მერე, მარჯვნივ რომ გადაუხვევდა, სამშვიდობოს იქნებოდნენ. ხიდამდე მოუსწროთ ავტომატის ჯერმა. მანქანა გვერდზე წავიდა და ხიდის ბურჯს შეეჯახა. შვილს თავი საჭეზე ჩამოედო, კეფიდან სისხლი ასხამდა. მეტი არაფერი ახსოვს, საავდმყოფოს რეანიმაციაში მოვიდა გონზე. ნაოპერაციები იყო. ფილტვიდან ორი ტყვია ჰქონდა ამოღებული. თავზე და ადგა. ცოლი იკითხა

- შეუძლოდაა, ამიტომ ვერ მოვიდაო! შვილი იკითხა
- ცოცხალია, საავადმყოფოშიაო! - უთხრა დამ. იცოდა, რომ ატყუებდნენ, მაგრამ ტვინს ცუდის დაჯერება არ უნდოდა, ამიტომ არ ჩააცივდა. საავადმყოფოდან რომ გამოწერეს, შვილი უკვე დასაფლავებული იყო.

* * *

სხეული სისხლის ხელოვნურ მიმოქცევაზე გადაიყვანა. დრო 20 წუთი ჰქონდა. გაჩერებული გული მარცხენა ხელში დაიჭირა.

მარჯვენათი ჭრილობა გადასწია. მიოკარდიუმის გარე შრეზე ერთ სანტიმეტრამდე სიგანის ჭრილობა აღინიშნებოდა, რომელიც შიდა შრეებზე ვინროვდებოდა და ბოლო შრეზე ნაჩხვლეტით მთავრდებოდა. დაიწყო კუნთის შრეების თანმიმდევრული გაკერვა. ქირურგს და ასისტენტს ერთმანეთის უსიტყვოდ ესმოდათ, იუველირის სიზუსტით ასრულებდნენ სამუშაოს.

* * *

სახლში აღარ მიდიოდა. საავადმყოფოში ათენებდა. სამსახურში ყოფნა დეპრესიოდან გამოსვლაში ეხმარებოდა, კაბინეტში ორიოდე საათით თუ ჩასთვლემდა. „პარაბელუმი“ იყიდა, თან დაატარებდა. ყველა წვერიანში თავისი შვილის მკვლელს ეძებდა. სიზმარში რამდენჯერ გაუხვრეტია მისი შუბლი 9 გრამიანი ტყვიით, რამდენჯერ გამოუჭრია მისთვის ყელი, რამდენჯერ გაუსრესია მისი გული ფეხით! და აპა, მკვლელის გული ხელში უჭირავს. მოისვრის და კედელს შეანარცხებს. ნინასწარ განიცდის შურისძიების ნეტარებას. ასისტენტი ვერ მიხვდება, რა მოხდა და და გაკვირვებული შეაცემდება.

* * *

ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატიდან, სისხლის ნაკადი ისევ გულზე გადართო. გულს თითო მიარტყა. არ ამუშავდა, ისევ მიარტყა

- არ ამუშავდე, არ ამუშავდე, არ ამუშავდე! - ამუშავდა. ორი ტაქტი ჩააგდო, მერე გასწორდა, რითმული მუშაობა დაიწყო.

- წევა - 80, მაჯისცემა - 100. ასისტენტმა მკერდის გაკერვა დაიწყო.

საოპერაციოდან გამოვიდა, დაღლილი იყო. შუბლიდან ოფლი ჩამოსდიოდა, პირბადე ჩამოიწია, სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა, შვებით ამოისუნთქა.

სიპრანე სილამაზისა

...და იშვა, იგი, იესო, ნაზარეთელი, მარად ქალწული მარიამისაგან, ქვაბსა ბეთლეჟემისა - სახლსა პურისა, სწავლებად კაცთა მოდგმისთვის ყველაზე უპირატესისა...

...ეახლნენ მოგვნი, და ძლვნად მიართვეს ოქრო, საკმეველი და მური, ნიშნად მეფობისა, ღვთაებრიობისა და ადამიანურობისა...

* * *

მივიდნენ ყმაწვილნი ბრძენთან, გასარკვევად, რომელ არს უპირატეს გარეგნობასა, გონებასა და სულს შორის. დაისვა ბრძენმან ყმაწვილნი და მოჰყვა ამბავი ესე, უდაბნოსა მცხოვრებთა ბედუინთა, საჩვენებლად ყმაწვილთათვის ძალისა სილამაზისა სხეულისა:

საპარის უდაბნოში მცხოვრები ბედუინები, ბრძოლის წინ, თავიანთ ტომში არჩევდნენ ყველაზე ლამაზ ქალწულს და დროშის მაგივრად მიჰყავდათ ომში. მთელი ჯარი იცავდა ქალწულს. მას ენირებოდნენ, მისთვის კვდებოდნენ. ვაჟკაცი ხალხი იყო ბედუინები, სიტყვას არ გატეხდნენ, ქალწულის სიკვდლი, ბრძოლის წაგებას ნიშნავდა. ეს იცოდა მონინაალმდეგემ და ამიტომ, მტრისთვის, ის, სამიზნედ იყო გამხდარი. უკეთეს შემთხვევაში, სახლში დაჭრილი მიჰყავდათ და უარეს შემთხვევაში, მკვდარს მიასვენებდენ.

მიუხედავად იმისა, რომ ომში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო, არ ყოფილა შემთხვევა, ქალწულს, ულამაზესის ტიტულზე ეთქვა უარი.

* * *

...იხილა ხალხმან გაცხადება სამებისა - იღებდა იგი, ძე ღვთი-სა ნათელს, მდინარე იორდანესა შინა, დასტრიალებდა სახით მტრედისა სულინმიდა, და ციდამ ისმოდა ხმა მამისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათხო ვიყავ!“

* * *

და მოჰყვა ბრძენმან ამბავი ესე მაკედონელისა, ალექსანდრე-სი, საჩვენებლად ყმაწვილთათვის ძალისა სილამაზისა გონებისა:

ეგვიპტეში ლაშქრობის დროს, ალექსანდრე მეკედონელთან მისულა ერთ-ერთი მისი მხედართმთავარი - ანტიპატროსი და შეუჩივლია

- მე ყველა ბრძოლაში პირველი შევდივარ, სიცოცხლეს ვწირავ, თავს არ ვზოგავ, ყველა შენს დავალებას პირნათლად ვასრულებ, შენ კი, უპირატესობას ჰეთესტიონს ანიჭებ, რადგან ჩემზე ნარმოსადეგიაო!

ალექსანდრეს თვალები ხელით მოუჩრდილავს. შორს, ჰორიზონტზე აქლემების ქარავანი დაულანდავს.

- ხედავ იმ ქარავანს? მიდი და გაიგე, საიდან მოდისო! გააჭენა ცხენი ანტიპატროსმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გააწილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

- ქარავანი ჰერსეპოლისიდან მოდისო!

- წადი და ჰერიოთხე, ქარავანი სად მიდისო! - უბრძანებია ალექსანდრეს. გააჭენა ცხენი ანტიპატროსმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გააწილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

- ქარავანი ქაიროში მიდისო!

- წადი და ჰერიოთხე, რა მიაქვთო! გააჭენა ცხენი ანტიპატროსმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გააწილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

- ფართალი მიაქვთო!

- ჰეთესტიონი მომგვარეთო! - უბრძანებია ალექსანდრეს.

- ხედავ იმ ქარავანს? მიდი, და გაიგე, საიდან მოდისო! გააჭენა ცხენი ჰეთესტიონმა, ქვიშის მტვერი დააყენა, მბრძანებელი არ გააწილა, მალე დაბრუნდა და მოახსენა:

- ფართლით დატვირთული ქარავანი, პერსეპოლისიდან ქაიროში მიდისო. აბრეშუმი, შალი და ბამბა მიაქვსო. აბრეშუმი - 20 დრაპემა ღირს, შალი - 12 დრაპემა, ბამბა კი, - 10 დრაპემაო.

- ჰეთესტიონში გარეგნულ სილამაზეზე მეტად, გონებრივ სილამაზეს ვაფასებო! - უთქვამს ალექსანდრეს ანტიპატროსისთვის.

* * *

და მოჰყვა ბრძენმან ამბავი ესე ცხოვრებისა ქრისტესი, საჩვენებლად ყმაწვილთათვის ძალისა სილამაზისა სულისა:

...და ეწამა, იგი, იესო, ნაზარეთელი, სიკვდილითა სიკვდილისა დასათრგუნად, და აღსდგა დღესა მესამესა, საჩვენებლად კაცთა მოდგმისთვის ყველაზე უპირატესისა...



დედის გული

ჩვენი სახლის მეორე სართულზე, ეზოდან ასასვლელი კიბის პირდაპირ მდებარე კარის მარჯვნივ, შეთეთრებულ კედელზე შენიშნავდით წითელი ფანქით გაფერადებულ მოზრდილ გულს, შუაში შავი წარწერით - „ციალა, სერგო“.

* * *

რაც თავი მახსოვს, დიდი პაპის აშენებული სამსართულიანი სახლის მეორე სართულზე ვცხოვრობდით, ოლა ბაბოს მეზობლად. ერთი ტიხარი გვყოფდა შუაში ჩადგმული გაუქმებული კარით, რომლის გასაღების ჭუჭრუტანაში თუ შეიჭყიტებოდი, დაინახავდი ოლა ბაბოს საცხოვრისის მორთულობას მთელი თავისი სიდიადით.

* * *

მნაცაკა და ქნარიკა ტერ-პეტროსიანებმა, თავისი ქალ-ვაჟით - ოლიათი და პოლოსათი, ერთი ნაბიჯით გამოასწრეს თურქებს ყარსიდან. პირველი მსოფლიო ომის დროს, მნაცაკას რკინიგზაზე უმუშავია მეისრედ. ღამით, მორიგეობიდან სახლში დაბრუნებულს, რკინიგზელის ფარნის შუქზე, თავისი სახლის კარზე ცარცით მიხატული ჯვარი შეუნიშნავს. ეუცნაურა, ქუჩა მოათვალიერა. ჯვრები მარტო იმ ჭიშკრებზე იყო მიხატული, სადაც სომხები ცხოვრობდნენ. უგრძვნია მნაცაკას საფრთხე, მეზობლები გაუფრთხილებია, თვითონ მოუკიდია ხელი ცოლ-შვილისთვის და მთებით საქართველოში გადმოსულა. იმ ღამით, აღმოსავლეთ თურქეთის ვილაიეთებში, მილიონზე მეტი სომეხი

დაუხოცავთ.

მშივრები და დაღლილ-დაქანცულები, ჯავახეთში შეუფარებია ერთ ოჯახს. ცოტა ხნით იქ დარჩენილან, მერე კი, თბილისში ჩამოსულან, ჩემი დიდი პაპისგან ერთი ოთახი უქირავებიათ და აქ დასახლებულან.

1920 წლის სომხეთ-ოსმალეთის ომის დროს, თურქებმა სომხებზე ნადირობა დაიწყეს.

- დიმიტრი, მიშველე, რა ვქნაო? - შეშინებული მნაცაკა ჩემს დიდ პაპასთან მისულა.

- მნაცაკა, ნუ გეშინია, ჩემი იმედი გქონდესო! - უთქვამს დიდ პაპას და რაღაც დროით, ბორჯომში, თავის სოფელში გადაუმალავს მთელი ოჯახი.

* * *

პაწანინა ოთახს აივანზე გამომავალი ერთი ფანჯარა და ოთხი კარი ჰქონდა - ერთი აივნიდან შესასვლელი და სამი გაუქმებული - რომელთაგან ერთზე უკვე მოგახსენეთ - საიდანაც ვიჭყიტებოდით, მეორე ბიძაჩემის საძინებელში გამავალი, ხოლო მესამე - კოლესოვებთან გადიოდა.

* * *

პაპაჩემი, სიმონი, 1924 წელს კონტრრევოლუციურ მოძრაობას შეუერთდა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იპრძოდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, რაზმის წევრებს ემიგრაციაში არ გაჰყვა. მალე დააპატიმრეს. იცოდა ოჯახმა, რომ დახვრეტა არ ასცდებოდა.

- პროკურატურაში შენი ბიჭის საქმე ჩემს პოლოსასთან მოხვდა, დიმიტრი, ნუ გეშინია, ჩემი იმედი გქონდესო! - უთხრა დიდ პაპას მნაცაკამ. მართლაც, პირველმა ტალღამ გადაიარა და პაპაჩემი სიმონი ციხიდან გაათავისუფლეს.

* * *

ოთახის სიღრმეში, ერთ მხარეს ძველებური ნიკელის რკალე-ბიანი საწოლი იდგა, ხოლო მეორე მხარეს - ცალკარჩამოვარდ-ნილი კარადა. შესასვლელი კარიდან მარცხნივ, ორი დაჭედებული ლურსმანი - ტანსაცმლის საკიდის, კუთხეში მდგარი, შუაში ამოჭრილი სკამი კი, ქვეშ შედგმული ღამის ქოთნით, „უნიტაზის“ როლს ასრულებდა.

* * *

ოლია, უნივერსიტეტის რუსული ენის ფილოლოგიის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, ტანგილამ რომ მოიტაცა. სწავლას თავი დაანება და კახეთში, ქმრის ოჯახში გადავიდა. ორი შვილი შეეძინა - უფროსი სერგო და უმცროსი - ციალა. ბედნიერი იყო, ტკბილი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ დაიწყო კოლექტივიზაცია და სოფელში დაიწყო შიმშილობაც. ხალხს ლუკმაპური ენატრებოდა. ერთ დღეს, ტანგილა ტყეში წავიდა და იქიდან ტომრით კარტოფილი ჩამოიტანა. მეორე დღესაც, მესამე დღესაც. მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებს ორმოში შეუნახავთ კარტოფილი, რომ ჩამორთმევისგან გადაერჩინათ. იმ ორმოსთვის მიუგნია ტანგილას და ეზიდებოდა სახლში. ერთ დღესაც აღარ დაბრუნდა ტყიდან, ეძებეს და ტყეში იპოვეს ქვით თავგახეთქილი.

გადმოვიდა ოლია თბილისში, მშობლებთან და ძმასთან. მალე მნაცაკა გარდაიცვალა, ცოტა ხანში, ქნარიკაც მიჰყვა. პოლოსას ცოლი არ მოუყვანია, დისშვილებს პატრონობდა. 37-ში, ისიც „შინსახეომში“ გამოიძახეს და სახლში აღარ დაბრუნებულა.

* * *

მაღალი იყო, ტანსრული. მუდამ შავები ეცვა. თეთრი თმები ყურს ქვემოთ ჰქონდა შეჭრლი. მთელი დღე აივანზე, კუთხეში იჯდა და ეზოს გადაჰყურებდა. მე და ჩემი ძმა მის ხელში გავიზარდეთ, ისევე, როგორც მამაჩემი და ბიძაჩემი.

* * *

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე სერგო ომში გაინვიეს. ვლასოვის არმიაში მოხვდა. 42-ში არმია ტყვედ ჩავარდა. გერმანელებმა ვლასოვი და მასთან ერთად, არმიის ჯარისკაცები გადაიბირეს და რუსეთის გამათავისუფლებელი არმია შექმნეს. სერგო ომში დაიღუპა, მაგრამ რადგან ვლასოვის არმიაში იპრძოდა, არც საფლავი აჩვენეს დედამისს და არც ომში დაღუპულის დედის პენსია დაუნიშნეს. თავისი კარის მარჯვნივ, შეთერებულ კედელზე, წითელი გული დახატა და შუაში შავი ფანქრით დაწერა - „სერგო“, ცოტა ქვემოთ, წვეროსკენ კი - „გულმკვდარი დედა“.

დედა-შვილს ძალიან გაუჭირდა. შიმშილის ზღვარზე იყვნენ. ციალამ პურის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ ხშირად ცივდებოდა და თითქმის გამუდმებით ახველებდა. ოლიამ გაყიდა ყველაფერი, რაც ებადა, რომ შვილი გადაერჩინა, მაგრამ ვერაფერი უშველა. კედელზე მიხატულ გულში, სერგოს ზემოთ დაემატა წარწერა - „ციალა“.

* * *

შენუხება არ უყვარდა. საჭმელს რომ მივაწვდიდით, ათას მადლობად დაიღვრებოდა. სტუმრად მხოლდ მაშინ შემოდიოდა, ტელევიზორში ომზე კინო თუ გადიოდა. იტირებდა, იტირებდა, წამოდგებოდა, მადლობას გვეტყოდა და გავიდოდა.

კეთილი ქალი იყო, მოსიყვარულე. ბავშვებს გვეფერებოდა და „მომპასს“ გვირიგებდა. არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენთვის რამე დაეძალოს, ეჩხუბოს ან ეყვიროს, ერთი შემთხვევის გარდა, როცა კედელზე მიხატული გული პლასტილინით დავუსვარეთ.

- ეს ჩემი გულიაო! - გაგვიბრაზდა.

* * *

ზაფხულის არდადეგებზე, მთელი ოჯახი სოფელში ვისვენებდით, მეზობლისგან დეპეშა რომ მივიღეთ - „ოლა დეიდა ორი

დღეა გარეთ არ გამოსულა და ჩამოდით, მოხედეთო!“ იმავე დღეს ჩამოვედით თბილისში. სუნთქვაშეკრულმა ავირბინე კიბეები და მეორე სართულზე მის ოთახში შევვარდი. შავ კაბაში გამოწყობილ, ლოგინში მწოლიარე, გულზე ხელებდაკრეფილ ოლა ბაბოს, მუჭში, პატარა ტომარაში გამოკრული, კედლიდან ანაფხეკი თავისი „გული“ ეჭირა.



ალია საქართველოდან

„ვინც, თუნდაც ერთი
ადამიანი გადაარჩინა,
მან გადაარჩინა
მთელი სამყარო!“
ციტატა თალმუდიდან

მაშინ მე-10 კლასში ვიყავი, ცოლ-ქმარი, გივი და ნათელა ჯინჯიხაშვილები ჩვენი სახლის პირველ სართულზე რომ გად-მოვიდნენ. ჩემზე ცოტა უფროსები იყვნენ, მაგრამ უკვე ორი შვილი ჰყავდათ - ქალ-ვაჟი. გივი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. ნათელას, მცირენ-ლოვანი ბავშვების გამო, მეორე კურსზე აკადემიური ჰქონდა აღებული. მალევე დავმეგობრდით, განსაკუთრებით, ნათელას-თან მიყვარდა ურთიერთობა. გივი თუ დინჯი და გაწონასწორებული იყო, ნათელა ხალისიანი და ქარაფშუტა გოგოს შთაბეჭ-დილებას ტვებდა. ტანად დაბალი იყო, თხელი, პატარა, კოხტა გოგოს რომ იტყვიან, ისეთი. ოვალურ სახეზე დიდი, თაფლის-ფერი თვალბით, ჩამოქნილი, კლასიკური ნაკვთებით, თეთრი კანის ფერით და კეფაზე სავარცხლით შეკრული ხუჭუჭა, წი-თური თმით, ანტიკური პერიოდის მხატვრის მიერ შესრულებულ ქალღმერთს მოგაგონებდათ.

თითქმის ყოველდღე, საღამოს ჩაიზე, მათთან ვიყავი. ჩაის ვს-ვამდით და თან, ათას რამეზე ვლაპარაკობდით. არ ვიცი, რამდე-ნად აინტერესებდათ ჩემი სკოლის ამბები, თუმცა ყურადღებით მისმენდნენ და ხშირად, ჭკუასაც მარიგებდნენ. პარასკევ საღა-

მოს სანთელს ანთებდნენ, შაბათ დილით კი, ბავშვებიანად სალო-ცავად სინაგოგაში მიდიოდნენ.

ერთხელ, ორი დღით სოფელში ვიყავით წასულები. მაშინ, ეზოში, მეზობლები ბინას არ ვკეტავდით, ან, თუ ვკეტავდით, ყველამ იცოდა, რომ გასაღები კარის წინ გაფენილი ფეხის საწ-მენდი ტილოს ქვეშ ინახებოდა. სოფლიდან დაბრუნებულებს, ეზოში ნათელა დაგვხვდა

- ნუგზარი ძია, წასულები რომ იყავით, კაბელი გასკდა. გივიმ მეზობლიდან გადმოიყვანა დენი. გამორთულ მაცივარში პროდუქტი რომ არ გაგფუჭებოდათ, ჩვენს მაცივარში გადმოვი-ტანეო! - უთხრა მამაჩემს.

- გაგიჟდი გოგო, მაცივარში ღორის ხორცი იდოო!

- ვიცი, მაგრამ თქვენი ოჯახი ისე გვიყვარს, ეგ რა სალაპარა-კოაო! - უპასუხა ნათელამ და თაფლისფერი თვალები შეანათა.

- ახალი მაცივარი ექნებათ საყიდელიო! - თქვა მამაჩემმა, ბი-ნაში რომ ავედით.

* * *

ნათელას მამა, სიმონ ფიჩხაძე, მთელი საქართველო სიმონა ურიას რომ ეძახდა, ჩია ტანის, წყნარი, არაფრით გამორჩეული კაცი იყო. სხვებივით ვაჭრობდა და ოჯახს იმით არჩენდა. ეს ის დრო იყო, უცხოური ტანსაცმელი მხოლოდ დახლსქვემოდან რომ იყიდებოდა და ცეცხლის ფასი ედო. ახლა, უცხოური ტანსაც-მლის შემომტანებს ბიზნესმენებს და კომერსანტებს რომ ვეძახ-ით, ადრე ამ საქმით სურამელი ებრაელები იყვნენ დაკავებულები და მათ ქორვაჭრებს და სპეცულანტებს ეძახდნენ. მათგან მი-ჰქონდათ „საქონელი“ მაღაზიებს და წვრილ მოვაჭრეებს მთელს საქართველოს ტერიტორიაზე. რადგან გადამყიდველობა აკრძა-ლული იყო, სურამში, წელიწადში ერთხელ, შემოწმება ტარდებო-და, მაგრამ წინასწარ გაფრთხილებული ებრაელები „საქონელს“ გადამალავდნენ და შემოწმებაზე თბილისიდან ჩასული „ობხს-

სის“ თანამშრომლები „ვერაფერს პოულობდნენ“. ერთხელაც, შევარდნაძეს დაუბარებია „ობესსის“ უფროსობა:

- თუ წინასწარ გააფრთხილებთ და კიდევ ხელცარიელები დაბრუნდებით, ყველას გაგაციმბირებთო! - შეპირებია. მოულოდნელად დაეცნენ სურამს და დიდი ოდენობით გადანახული „საქონელი“ უბოვეს. სასწრაფოდ შეიკრიბნენ „საქმის“ მოთავეები, რომ რაღაც მოეფიქრებინათ, ვინმეს აეღო თავის თავზე, თორემ ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში, ყველას დაიჭერდნენ, უმრავლესობას დახვრეტას მიუსჯიდნენ, კავშირები გაწყდებოდა და „საქმე“ გაჩერდებოდა. იმ დღეს ვერაფერი მოიფიქრეს და მეორე დღისთვის დათქვეს შეხვედრა. იმ დამით, სიმონა ფიჩხაძემ თავი მოიკლა და ამით მთელი მოდგმა გადაარჩინა. თვითმკვლელობის იარაღი რომ ნახეს, პირველი ტყვია არ გავარდნილა და მეორედ გადაუტენია რევოლუციერი.

- საიდან, ამ ჩია კაცში ამხელა სულიერი ძალაო?! - უკვირდა ყველას.

* * *

მთელი ქუჩის სიგრძეზე, ტროტუარზე ჩალაგებული ხის კონტეინერები, ზედ ფანქრით მიწერილი პატრონის სახელებით: ისააკი, შალომი, ისრაელი, მოშე, იოსები, აბონი, გივი... ეს ალიაა საქართველოდან - წმინდა მიწაზე ასევლა, დაბრუნება, რასაც წინ უსწრებდა 18 ქართველი ებრაელის მიერ გაეროს ადამიანთა უფლებების კომისიისადმი მიწერილი მიმართვა. თუმცა, გული საქართველოში რჩებათ, არ ემეტებათ 26 საუკუნოვანი ძმობა, პირს გარიდებენ, რომ ცრემლიანი თვალები არ შეამჩნიო, მაგრამ უნდა დაბრუნდნენ, აღთქმული მიწა უხმობს, ელის...

- მე აქედან არსად არ წავალ, მამაჩემის გვერდით უნდა დავიმარხო! - ისმის ნათელას ანეული ხმა. სადღაა ხალისიანი, თვინიერი და ქარაფშუტა გოგო, - კისრის ძარღვები დასჭიმია, თაფლისფერი თვალებიდან ცეცხლს აკვესებს, მოკუმული ტუჩებიდან სისინივით ისმის

- შენ წადი, მე აქ ვრჩებიო! ბავშვები ტირიან, გივი სავარძელში მოკუნტული ლუდლულებს:

- განა მე არ მიჭირს? მაგრამ ყველა მიდის, ჩვენც უნდა წავიდეთო! - ვხვდები, რომ გივი მართალია. მეც ვთხოვ ნათელას წასვლას. როგორც იქნა, ვიყოლიებთ...

* * *

გივი და ნათელა აშდოდში ჩავიდნენ, შემდეგ თელ-ავივში გადავიდნენ და იქ დასახლდნენ. ნათელამ, ქართველ ებრაელთა ხელშეწყობით, „საქართველოს დახმარების ფონდი“ დაარსა. მისი თავმჯდომარეობის პერიოდში, ბევრი ჰუმანიტარული ტვირთი ჩამოვიდა საქართველოს დასახმარებლად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ფონდმა საქმიანობა კიდევ უფრო გააფართოვა.

იმ ავბედით 90-იან წლებში, როცა არც დენი იყო, არც გაზი, არც გათბობა და არც მედიკამენტები, საავადმყოფოებიდან კი, ძვირადლირებული აპარატურა ჯართის ფასად იყო თურქეთში გაზიდული, „საქართველოს დახმარების ფონდს“, ყოველ კვირა, თბილისიდან თელ-ავივში, თვითმფრინავით გადაჰყავდა ავადმყოფები ისრაელის სხვადასხვა კლინიკებში სამკურნალოდ.

* * *

2007-ში, ანდერძის თანახმად, ნათელას ცხედარი ისრაელიდან საქართველოში გადმოასვენეს და სურამში, მამამისის გვერდით დაკრძალეს.

ამ სასმისით, სიმონა და ნათელა ფიჩხაძეები მოვიგონოთო!

- ფეხზე უდგებიან მამა-შვილს მადლიერი ქართველები და ქართველი ებრაელები.

შეცდობა

ბავშვობის მეგობარი მყავს - ზაზა. ზუსტად ტოლები ვართ, სამი დღით ჩემზე უფროსია. ერთ ეზოში გავიზარდეთ. მეორე სართულზე მე ვცხოვრობ, პირველზე ის. რაც თავი მახსოვს, ან ეზოში ვთამაშობდით ერთად, ან მეორე სართულის აივანზე. საბავშვო ბალშიც ერთად შეგვიყვანეს და შემდეგ, სკოლაშიც, ერთ კლასში ვსწავლობდით. სანამ პატარები ვიყავით, სკოლაში დედაჩემს მივყავდით, იქიდან კი, დედამისს მოვყავდით სახლში. გაკვეთილებსაც ერთად ვამზადებდით და საჭმელსაც ერთად მივირთმევდით.

მეხუთე კლასში, კლასელი გოგო შემიყვარდა - თამრიკო, ერთ მერხთან ვისხედით. ზაზას გავანდე ჩემი საიდუმლო. მეორე დღეს, ატირებული თამრიკო მეცა

- შენ ჩემზე რა ჭორებს ავრცელებო?!

- რა ჭორებს? - დაბნეულმა ავიჩეჩე მხრები.

- იცი შენ კარგადო! მეორე გაკვეთილზე, დირექტორთან დამიბარეს. იქ დირექტორი, კლასის დამრიგებელი, თამრიკო, დედამისი და ზაზა დამხვდნენ. ზაზა პირზე დამადგა, ვითომ მევთქვი,

- თამრიკო ფიზკულტურის გასახდელში შევიყვანე და ვაკოცეო! - სულ მატყუარა და ნაძირალა მიძახეს, ბოდიში მომახდევინეს და გამომიშვეს. თამრიკო გამებუტა და სხვა მერხთან გადაჯდა. კლასელები კი, ტრაბახას და ჭორიკანას მეძახდნენ და ჩემთან ალარ მეგობრობდნენ. მერე გავიგე, რომ თამრიკო ზაზასაც ჰყავარებია.

* * *

- შენ რა მოიმოქმედე? - მკითხა მოძლვარმა.
- არაფერი, შევუნდე!
- სწორად მოქცეულხარ, ქრისტიანს ცოდვების შენდობა უნდა შეეძლოს! - მითხრა მოძლვარმა.

* * *

მეათე კლასში ვიყავი. იმ დროს, „Queen“ იყო მოდაში. ზაზა ქუჩაში შემხვდა, თავის ორ უბნელ ძმაკაცთან ერთად.

- „Queen“-ის კასეტა ხომ არ გაქვს, მათხოვე! - მაშინ, კასეტიანი მაგნიტოფონები ახალი შემოსული იყო.

- სახლში გამომყევი და მოგცემ-მეთქი!
- არა, დღეს არ მინდა, ხვალ მნახე და მომეციო!
- კარგი, გნახავ! - დანდობილად ვუპასუხე. მეორე დღეს, რამდენჯერმე შევძახე, მაგრამ სახლში არ იყო. დედამისმა

- ბიძამისთანაა, სოფელშიო!

მეოთხე დღეს შემომძახა:

- ზემოთ, „პერეეზდზე“ მივდივარ და გამომყევიო! - გავყევი. გზაში ვიცინოდით, ვხუმრობდით. იქ რომ ავედით, მაგის ძმაკაცები დამხვდნენ

- ბიჭო, რომ შემპირდი კასეტას მათხოვებდი, რატომ არ მათხოვეო?! - შემომიტია ზაზამ.

- სახლში არ იყავი და როგორ მომეცა? - ვუპასუხე.
- ხომ თქვი, რომ მნახავდი, სიტყვას რომ იტყვი, შესრულება უნდაო! იმ ორმა ძმაკაცმა გამაკავა და ზაზამ სახეში გამარტყა. მერე გავიგე, ჩემი დაჩაგვრით, უბანში „მარკის“ აწევა უნდოდა.

* * *

- შენ რა მოიმოქმედე? - მკითხა მოძლვარმა.
- არაფერი, შევუნდე!
- სწორად მოქცეულხარ, ქრისტიანს ცოდვების შენდობა უნდა შეეძლოს! - მითხრა მოძლვარმა.

* * *

სტუდენტი ვიყავი, სიგარეტის მოსაწევად ეზოში ჩავედი. ზაზა ეზოს ბოლოში, სკამზე იჯდა და მცირეკალიბრიან შაშხანას - „გეკოს“ ათამაშებდა.

- ვა, საიდან გაქვს? - გავიკვირვე. იმ დროს, შაშხანებს არ აფორმებდნენ და მხოლოდ არალეგალურად შეიძლებოდა შეძენა.

- მაჩუქეს!

- აბა, მაჩვენე! - ვთხოვე.

- მოიცა, ახლავე! - 40-50 მეტრში, ეზოს ონკანთან, მეზობლის ქალი იყო წაკუზული. დაუმიზნა, ესროლა, თოფი ხელში შემაჩერა, „გარაჟის“ უკან შეძვრა, იქიდან გალავანს გადაევლო და გაიქცა. დავრჩი გაოგნებული. სროლის ხმაზე, მთელი ეზო ხალხით გაივსო. ყველამ დამინახა, სკამზე მჯდომი, თოფით ხელში.

- რას ამბობთ, ამ თოფს პირველად ვხედავო! - საღამოს განაცხადა ზაზამ. კიდევ კარგი, ტყვიამ ბარძაყის კუნთში გაიარა და იმ ქალმა, მამაჩემის ხათრით, არ იჩივლა, თორემ ციხე არ ამცდებოდა.

* * *

- შენ რა მოიმოქმედე? - მკითხა მოძღვარმა.

- არაფერი, შევუნდე!

- სწორად მოქცეულხარ, ქრისტიანს ცოდვების შენდობა უნდა შეეძლოს! - მითხრა მოძღვარმა.

* * *

მერე, ცოლი მოიყვანა - ნონა. კარგი გოგო იყო, ვმეგობრობდით, საღამოობით, ერთად ვეძებდით ზაზას. ნონამ ზეპირად იცოდა ის ადგილები, სადაც ბიჭები იკრიბებოდნენ სათამაშოდ. ხან რომელი ბუნაგიდან გამოვათრევდით და ხან რომლიდან. ჩემი ხელფასი მაგის ვალების დაფარვას ხმარდებოდა. ერთ საღამოს, ნონა ამოვარდა ჩემთან გადარეული

- მაგ არაკაცს, ჩემი თავი, კარტში წაუგიაო! ნონა ქმარს გაექცა და აღარ დაბრუნებულა. ალბათ, ზაზასაც აწყობდა

- ცოლი აღარ მყავს და თავანი როგორ ჩაგაბაროთო? - უთხრა მოგებულებს. ერთი-ორი მოარტყეს და შეეშვნენ. უბანში არავინ ელაპარაკებოდა ჩემ გარდა. დღედაღმ ჩემთან იყო. ცოტა ხანში, ქურდობაზე დაიჭირეს. 4 წელი იჯდა. რომ გამოვიდა, მე უკვე დაოჯახებული ვიყავი.

ერთ დღეს, სამსახურიდან მოვედი, ეზოში დამხვდა

- ჩემთან შემოდი, რაღაც უნდა გითხრაო! - შევყევი.

- ბიჭო, ძმაკაცი რომ არ იყო, არ გეყტოდი, შენი ცოლი, ქეთი, არ მომწონს, შენთან ამოვედი, სახლში შემიყვანა და ჩალიჩი დამიწყო, მაგრამ მე მაგას ხომ არ ვიკადრებდიო?! გადარეულმა ავირბინე მეორე სართულზე.

- ის არაკაცი იყო ამოსული, ბლლარძუნი დამიწყო. საშველად რომ ვიყვირე, შეეშინდა და გაიქცა! - მითხრა ნამტირალევმა ქეთიმ.

* * *

- შენ რა მოიმოქმედე? - მკითხა მოძღვარმა.

- არაფერი, შევუნდე!

- ამდენის შენდობის უფლება ვინ მოგცა, შენი თავი ღმერთი ხომ არ გგონია?! - მითხრა გაბრაზებულმა მოძღვარმა.



მარკეტინგი

ბატონი პეტრე, მათემატიკოსი იყო. უნივერსიტეტში კითხულობდა უმაღლეს მათემატიკას. პროფესორის ხელფასს იღებდა და ოჯახს არჩენდა, ბედს არ უჩიოდა. სოციალიზმის ეპოქაში ნაცხოვრებს, ძალიან ადარდებდა ახალგაზრდების განათლების დაბალი დონე. თავისუფალ, ბედნიერ და განათლებულ საქართველოში ცხოვრება შესაძლებლად მიაჩნდა და სულ ფიქრობდა, როგორ შეეტანა წვლილი სამშობლოს გაძლიერებაში.

სცადა, ის გაეკეთებინა, რაც კარგად იცოდა - ანაზღაურების გარეშე მოსწავლეების მომზადება გადაწყვიტა. ფეისბუქში განცხადება გამოაქვეყნა

- „ვამზადებ მათემატიკაში, უფასოდ!“ - მხოლოდ 10 მშობელი გამოეხმაურა, ამათგან, ორი ბავშვი მიკინკილდა და ისინიც, მეორე გაკვეთილზე აღარ მისულან.

* * *

- მათემატიკაში მოსწავლეების უფასოდ მომზადება მინდა, განცხადება გამოვაქვეყნე, მაგრამ არავინ მოვიდა! - შესჩივლა ბატონმა პეტრემ თავის შვილს - მარკეტოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს - გოგას.

- უფასოდ მომზადება, არასერიოზულად უღერს, ფასი უნდა დაადო! - დაარიგა გოგამ.

* * *

განაახლა ბატონმა პეტრემ განცხადება

- „ვამზადებ მათემატიკაში, თვეში 50 ლარად!“ - გამოხმაურე-

ბები იყო, ბავშვებიც შეაგროვა ჯგუფში, მაგრამ ისეთი უვიცები იყვნენ, თვლა არ იცოდნენ, თორემ ორჯერ ორზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. თვის ბოლოს, ფულის გადახდის დრო რომ დადგა, მშობლები მიუვარდნენ

- ჩვენ გვგონია, ამზადებ, მაგრამ მაინც არაფერი იციან. ფული რაში უნდა გადაგიხადოთ?! - ზედმეტი გამოდგა მტკიცება

- ბავშვებს ჯერ თვლას ვასწავლიო! - აღარავინ მოინდომა მეცადინეობის გაგრძელება.

* * *

- მოსწავლეებს თვეში 50 ლარად ვამზადებ, მაგრამ ისეთები მოვიდნენ, თავში ვერაფერი ჩავუდე! - შესჩივლა ბატონმა პეტრემ შვილს.

- შენ, სეგმენტი ვერ შეგირჩევია სწორად. მაგ ფასად, ისეთი მშობლები მოგიყვანენ შვილებს მოსამზადებლად, რომელთაც შვილის სწავლაზე ხელი ჩაქნეული აქვთ. ფასი უნდა გაზარდო! - დაარიგა გოგამ.

* * *

განაახლა ბატონმა პეტრემ განცხადება

- „ვამზადებ მათემატიკაში, თვეში 100 ლარად!“ - გამოხმაურებები იყო, არ ცხრებოდა ფეისბუქი. სამი ათ ბავშვიანი ჯგუფი შეიკრიბა, მაგრამ ზოგი ნათესავმა, ზოგი მეგობარმა, ზოგი მეზობელმა და ზოგიც ნაცნობმა, მთელი 10 წუთი რომ დასჭირდა გასახსენებლად, ხვეწნა-მუდარით, თავისი ახლობლების ბავშვები დაამატებინეს და საბოლოოდ, თითო ჯგუფში 30 ბავშვი ირიცხებოდა.

* * *

- მოსწავლეებს თვეში 100 ლარად ვამზადებ, მაგრამ იმდენი მოვიდნენ, ყველას ვერ ვაქცევ ყურადღებას და ხარისხმა დაინია! - შესჩივლა ბატონმა პეტრემ შვილს.

- ამ შემთხვევაში, მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. ფასი გაზ-არდე და რაოდენობა თავისით დარეგულირდება! - დაარიგა გო-გამ.

* * *

განაახლა ბატონმა პეტრემ განცხადება

- „ვამზადებ მათემატიკაში, თვეში 200 ლარად!“ - გამოხმაუ-რებები იყო, სამი ათ ბავშვიანი ჯგუფი შეიკრიბა, სწავლის პრო-ცესიც წარმატებით წარიმართა, ბავშვებმა სიძნელეები დაძლიეს და მოსწრება გაიუმჯობესეს, მაგრამ ფორუმებზე გაჩნდა სტა-ტუსები

- ვიღაც პეტრეა, 200 ლარად ამზადებს მათმატიკაში, რა ამბა-ვიაო?!

- ეგ გაუმაძლარი, კაპიკს არ აკლებსო!
- გალორებულა, ვიღაცაო!
- ჩვენი შვილების ხარჯზე მდიდრდებაო!...

* * *

- მოსწავლეებს თვეში 200 ლარად ვამზადებ, შედეგიც კარგი მაქვს, მაგრამ გაუმაძლარს და ღორს მექანიკან, უნდა გავაგები-ნო, რომ რეპეტიტორობიდან აღებულ ფულს მთლიანად „განა-თლების გაუმჯობესების ფონდში“ ვრიცხავ! - შესჩილა ბატონმა პეტრემ შვილს.

- ეგ პიარია, კარგს ილაპარაკებენ თუ ცუდს, სულერთია. მთა-ვარია, რომ შენზე ალაპარაკდნენ, ყურადღებას ნუ მიაქცევ, თო-რემ იცოდე, გულს გაგიხეთქავენ! - ურჩია გოგამ.

* * *

არ დაუჯერა ბატონმა პეტრემ შვილს, თავმოყვარეობა არავის შეალახვინა. „განათლების გაუმჯობესების ფონდში“ გადარიცხ-ული თანხის ქვითრები ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

- სულელი ყოფილაო!
- ხედავ, თურმე პიარისთვის სჭირდებოდა ეს ყვლაფერი, ამიტომ ამზადებდა ბავშვებს უფასოდო!
- თუ სიკეთის გაკეთება უნდოდა, ჩუმად უნდა გაეკეთებინა, ქვითრებს რომ აფრიალებსო!
- ეტყობა, თავისივე ფონდში რიცხავსო - ადუღდა ფეისბუქი.

* * *

მიხვდა ბატონი პეტრე, რომ მათემატიკისა და ფიზიკის გარდა, არსებობს კიდევ ერთი ზუსტი მეცნიერება - მარკეტოლოგია - რომლის კანონების დარღვევას შეუძლია გულის გახეთქვა გამოიწვიოს. ამიტომ, შემდეგ თვეებში აღებული თანხა „განათლების გაუმჯობესების ფონდში“ აღარ გადარიცხა, დააგროვა და ავტომობილი შეიძინა.



სიკვდილმისაჯილი

ეს ამბავი, სადღაც, ბავშვობაში მოვისმინე და გონიერაში ჩამ-რჩა.

* * *

კაკო ალავიძე მწერალთა იმ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, კონა ათი შაური რომ ლირდნენ და მწერალთა კავშირის თავმჯ-დომარის მეგობრობით გაჰქონდათ თავი. მაგრამ თავმჯდომარე რომ გადაირჩიეს და ახალმა ღრენა დაუწყო

- ეგ ვიღას ტიკი-ტომარააო! - მიხვდა, რომ, თუ რაიმე ლირე-ბულს არ დაწერდა, მწერალთა კავშირში თავს ვერ შეინარჩუნებ-და. დრო არ ითმენდა. დაიწყო თემის შერჩევა. არჩია, არჩია და შეარჩია - პატიმრის ცხოვრება - თემა, რომელიც აქტუალურიც იყო და საინტერესოც. მართალია, ბევრი იწვალა, სიუჟეტი ვე-რაფრით ჩამოაყალიბა, სამაგიეროდ, ისეთი რამ მოიფიქრა, რაც სიუჟეტის მოფიქრების საშუალებას მისცემდა - თავის ბავშვო-ბის მეგობარს, ციხის უფროსს - ვალოდია სალუქვაძეს მიადგა

- ცოტა ხნით ციხეში ჩაჯდომა გამიშანსე და მაღარიჩი ჩემზე იყოს, ოლონდ, ჩემსა და შენს გარდა, არავინ უნდა იცოდეს, რომ უდანაშაულო ვარო!

ვალოდიასაც, რა ენაღვლებოდა, თვითონ ხომ არ ჯდებოდა ციხეში?! 109-ე მუხლით გაუშვა - ცოლის და მისი საყვარლის მკვ-ლელობისათვის.

* * *

- მოდი, ერთი, აქეთ მოიწი, გაგვეცანი! - დაუძახა ახალშესულ,

დაბნეულ პატიმარს, საკნის სიღრმიდან, გვერიგვერდ საწოლე-ბზე ჩამომსხდარი სამი მამაკაციდან ერთ-ერთმა, რომელთაგან ერთი, ძალიან გამხდარი, 40 წლამდე იქნებოდა, მის პირდაპირ მსხდომები კი, ახალგაზრდა ბიჭები იყვნენ. კაცი მათვენ დაიძრა. ხედავდა, აქეთ-იქიდან, როგორი ინტერესით აყოლებდნენ დანარჩენი პატიმრები მზერას. მივიდა, მიესალმა და შორიახლოს დადგა.

- მოდი, ჩამოჯექი, რა გქვია? - ჰკითხა გამხდარმა ისეთი ტონით, ინტერესი, ნაძალადევი ზრდილობა და ქედმაღლობა ერთდროულად რომ იგრძნობოდა და საწოლის თავისკენ მიიწია.

- აკაკი ვარ, ალავიძე, კაკოს მეძახიან! - გაეცნო ახალმისული, ისე, რომ ადგილიდან არ დაძრულა.

- რაზე ჩაგსვეს!

- ჯერ, შენც გამეცანი! - იგივე ტონით მიმართა ახალმისულმა და თვალი თვალში გაუყარა.

- ეე, ეე! - წამოიწივნენ საწოლიდან ახლგაზრდები.

- მართალია ეს კაცი, გავიცნოთ ერთმანეთი. მე ამირანი ვარ, „წვრილას“ მეძახიან, ესენი ნიკა და კახა არიან! - თქვა გამხდარმა და ხელი გაუწოდა. აკაკიმ გამხდარს ხელი ჩამოართვა, ახალგაზრდებს თავი დაუკრა და შეთავაზებულ ადგილზე ჩამოჯდა.

- აბა, ძმაო, გვითხარი, რა მუხლით შემოხვედი? - ჰკითხა გამხდარმა.

- 109-ე მუხლით!

- მოყევი, როგორ მოხდა, ვინ მოკალი?

- ცოლს შევუსწარი საყვარელთან და ორივე ჩავხოცე!

- ვა, შენ რა „დერსკი“ ყოფილხარ?! - გაკვირვებულმა გადახედა ახალგაზრდებს.

- რას საქმიანობ?

- მწერალი ვარ!

- რას წერ?

- მოთხოვებს!

- ქურდებს პატივს სცემ?
- მე ყველა კაი კაცს ვცემ პატივს!
- „საძმოზე“ როგორა ხარ?
- რომ შემომივა, მე თვითონ შემოვიტან „საძმოში“, შეხსენება არ დამჭირდება!
- ნიკა, ძმა, ერთი როინას უთხარი, კარგი კაცი ჩანს, შესაფერისი ადგილი უპოვოს! - უთხრა გამხდარმა ერთ-ერთ ახალგაზრდას.

* * *

2 მარტი. დღიურის წერა დავიწყე. რადგან ჯერ სიუჟეტი არ მაქვს, ვფიქრობ, ასე სჯობს, იქნებ რომანისთვის გამომადგეს.

ყველაფერი გამხადეს. შხაპის ქვეშ შემაგდეს. შხაპს ვამბობ, თორემ ტროსტივით მოკაუჭებული მილიდან ყინულივით ცივი წყალი ასხამდა. მერე შიშველი გამიყვანეს სამედიცინო შემოწმებაზე. მეგონა, პატიმრის ზოლიან ფორმას მომცემდნენ, მაგრამ ჯიბებამოსუფთავებული ჩემი ტანსაცმელი დამიბრუნეს. მერე გავიგე, ფორმას სასამართლოს საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ იძლეოდნენ.

5 მარტი. წინასაპატიმრო საკანი მოგრძო ოთახია, აქეთ-იქით ჩალაგებული საწოლებით. 16 კაციან საკანში 20 პატიმარი ვართ, მაგრამ საწოლები გვყოფნის, რადგან 4 „ქათამი“ ზის, რომლებ-საც ტუალეტთან იატაკზე სძინავთ. ჰო, არავითარი „პარაშა“ - განავლის კასრი არ დგას. ჩვეულებრივი, ჩასაჯდომი ტუალეტია, კარის გარეშე. როცა გინდა, მოისაქმე, ოლონდ, ჭამის დროს, შესვლა არ შეიძლება.

9 მარტი. დილით, დაკითხვაზე გამომიძახეს. მეორე სართულზე ამიყვანეს და ვალოდიას კაბინეტში შემიყვანეს.

- ამას მე დავკითხავ, ჩემებურადო! - უთხრა ვალოდიამ ბადრაგს, მე შემიშვა, ის გარეთ დატოვა და კარი შიგნიდან ჩაკეტა.

- ჰა, როგორ არის საქმე, დაწერე რამე? - მკითხა ვალოდიამ და თავისი მაგიდისკენ მიმითითა, სადაც საუზმე იყო გაშლილი. მაგიდას მივუჯექი.

- ჯერ ვერაფერი მოვიფიქრე, ცოტა დრო კიდევ მჭირდება! - ვუპასუხე პირში ლუკმაგამოტენილმა. საუზმის მერე კიდევ დამტოვა, ვისაუბრეთ. ვალოდიამ ყველაფერი იცოდა, საკანში რაც ხდებოდა.

- საიდან იცი?! - რომ დავინტერესდი,

- ბიჭო, მანდ ყოველ სამ კაცში, ორი „ჩამშვებია“! - ღიმილით მიპასუხა. წამოსვლის წინ

- არ გეწყინოს, ასეა საჭიროო! - და ტუჩებში, გამეტებით, ხელუკულმა მომარტყა. სისხლი წამსკდა. მოწმენდა დავაპირე.

- საკანში რომ შეგიყვანენ, იქ მოიწმინდე! - მითხრა ვალოდიამ და ბადრაგი გამოიძახა.

12 მარტი. ციხის საკანში ყველაზე კარგად ჩანს იერარქიული კიბე. ყველაზე ზემოთ ქურდია, რომლის სიტყვაც კანონია ნებისმიერისთვის. ყველა ქურდი თანასწორია და მათ შორის დავა, ქურდების შეკრებაზე - „სხადნიაკზე“ ირჩევა. ქურდის შემდეგ მოდიან „კაი ბიჭები“. ესენი არიან: - „მომავლები“, ვინც კანონიერი ქურდობისკენ ისწრაფვიან; „მაყურებლები“, ვინც ქურდის დავალებით, რაღაც ტერიტორიას აკონტროლებენ და „ტორპედოები“, ვინც ქურდის კრიმინალურ დავალებებს ასრულებენ. შემდეგ საფეხურზე მოდიან „მუშიკები“. ისინი პატივს სცემენ ქურდულ კანონებს, მაგრამ ცხოვრობენ და მუშაობენ ლეგალურად. უფრო ქვედა საფეხურზე არის „პეხოტა“, ვინც ქურდულ ტრადიციებს არ ცნობენ, მაგრამ ქურდულ სამყაროს ხელს არ უშლიან. მათ ქვემოთ საფეხურზე არიან „გაფუჭებულები“, რომელთა შორისაა: „ძალლები“ - ყოფილი ან მოქმედი პოლიციელები, „ნასედკები“ - დამსმენები და „პროშლიაკები“ - ყოფილი კანონიერი ქურდები. სულ ქვედა საფეხურზე დგანან „ქათმები“ - პასიური პომოსექსუალები, რომლებთანაც სქესობრივ ძალადობას, ქურ-

დის დავალებით, პატიმრები ახორციელებენ. საკანში საწოლებიც შესაბამისად გვაქვს განაწილებული. რადგან ტუალეტი საკნის კართანაა, ქურდი და „კაი ბიჭები“ საკნის ბოლოში მდგარ საწოლებზე არიან განთავსებულნი. მე „მუჟიკად“ მომიხსენიებენ და ჩემი საწოლი შუაში, მარჯვენა მხარეს დგას. არავის ვერჩი და არც მე მერჩიან.

14 მარტი. „ნვრილა“ ქურდია, მაგრამ ამ ნიკას და კახას ვერაფერი გავუგე. ისე „ბლატაობენ“, რომ ერთდროულად „მომავლებიც“ არიან, „მაყურებლებიც“ და „ტორპედოებიც“, მაგრამ მგონი, „ნვრილას“ „შნირები“ არიან.

18 მარტი. დღეს „ნვრილამ“ თავისთან მიხმო და

- ხომ არავინ გაწუხებსო? - მკითხა.

- არა, არავინ! - ვუპასუხე.

- თავმოყვარე კაცი ყოფილხარ, მაგრამ 109-ე მუხლით დახვრეტას რომ მოგისჯიან, თუ იცი?!

- ვიცი, მაგრამ შერცხვენას სიკვდილი მირჩევნია!

- ისე, ცოლის გაბოზება „გრეხი“ არ არის, მაგრამ მე მომწონს შენისთანა თავმოყვარე ხალხი! - მითხრა „ნვრილამ“

23 მარტი. სიზმარში ვნახე, რომ პატიმრებმა ჩემი ჩანაწერები ნახეს. შეშინებულმა გავიღვიძე. მოსვენება დავკარგე. ვალოდია-სთან რომ გამომიძახებენ „დაკითხვაზე“, ჩანაწერებს მას გადავ-ცემ შესანახად.

25 მარტი. ისევ ვალოდიას კაბინეტში გამომიძახეს „დაკითხვაზე“. ჩემი ჩანაწერები გადავეცი. საწერი მაგიდის უჯრაში შეინახა. საჭმელი მაჭამა და

- კიდევ რამდენ ხანს უნდა იჯდე? - მკითხა.

- ცოტა ხანს კიდევ ვიჯდები, შენი რა მიდის?! - ვუპასუხე.

- კარგი, კარგი! - გაიღიმა, კბილებში ხელუკულმა გამკრა და ბადრაგი გამოიძახა. ამის მერე, საკნიდან გამოსვლაზე უარს ვიტყვი. მეყო კბილებიდან ამდენი სისხლისლვრა.

2 აპრილი. მაინც ვაგრძელებ დღიურის წერას. აქ ისეთი ხალხი

ზის, გაზეთს ვერ კითხულობენ და ჩემი გაკრული ხელით ნაწერს გაარჩევენ? დღეს ერთი თვე შემისრულდა, რაც ვზივარ. „წვრილას“ 8 წელი მიუსაჯეს და სხვა საკანში გადაიყვანეს. „მაყურებლად“ კახა დატოვა. კახამ ახალი „კამანდა“ შეკრა თავის გარშემო და ნიკას დაუწყო დაჩაგვრა. ამ ამბავმა, აღარ მახსოვს, რომელიღაც მეცნიერის მიერ, ვირთხებზე ჩატარებული ცდა გამახსენა: - მეცნიერმა, დიდ გალიას, რომელშიც 100 ვირთხა იყო მოთავსებული, ზემოდან ვირთხის საკვების მიმწოდებელი მოწყობილობა დაამაგრა, რომლის წკირი გალიაში იყო ჩაშვებული. მშიერი ვირთხა ამ წკირს ცხვირს რომ მიარტყამდა, გალიაში საკვების დოზა იყრებოდა. ცოტა ხანში, გამოიკვეთა ვირთხების დაახლოებით 10 პროცენტი, რომლებიც სხვა ვირთხებს აიძულებდნენ, მათ მაგივრად მიერტყათ ცხვირი წკირზე. მეცნიერმა ეს ვირთხები ამოსვა გალიიდან, მაგრამ ისევ გაჩნდა 10 პროცენტი მოძალადე ვირთხები. ისინიც ამოსვა, ისევ გაჩნდა. ბოლოს, ორი ვირთხა დარჩა და ერთმა მეორე დაჩაგრა.

7 აპრილი. ჩემს „სასამართლოზე“ დასასწრებად გამომიძახეს, მაგრამ არ გავყევი. ვიცი, ვალოდიამ თავის კაბინეტში უნდა შემიყვანოს, მასაუზმოს და ბოლოს კბილებიდან სისხლი მადინოს. მაინც წასლა მაქვს გადაწყვეტილი, არაფერი გამომდის. როგორც ჩანს, მწერლად არ ვარ დაბადებული, სხვა საქმე უნდა ვიშოვო!

12 აპრილი. საკნიდან ძალით გამიყვანეს.

- სად მიგყავართ?! - რომ ვკითხე,
- სასამართლომ დახვრეტა მოგისაჯა და სიკვდილმისჯილების საკანში უნდა მოგათავსოთ! გამეცინა,
- სასამართლო არ ყოფილა და ვინ მომისაჯა?
- სასამართლო შენს დაუსწრებლად ჩატარდა, რადგან დასწრებაზე უარი თქვი!

ვალოდია სალუქვაძესთან შეხვედრა მოვითხოვე.

- ვალოდია სალუქვაძე, უკვე ორი კვირაა, რაც გარდაიცვალა!

- თვალთ დამიბნელდა...

13 აპრილი. დღეს პატიმრის ფორმა ჩამაცვეს. ერთი ბენო საკანია, კედელზე მიმაგრებული, ჩამოსაშლელი ნარით. ნერვი-ულობისგან კუჭი მაქვს აშლილი, მთელი დღე ტუალეტში ვარ ჩა-ცუცქული.

14 აპრილი. შუადღით სასეირნოდ გამიყვანეს. საკნიდან დერე-ფნის და გვირაბის გავლით, ციხის შიდა ეზოში გავყავარ. პატიმ-რები ამ გვირაბზე ლეგენდებს ჰყვებიან: სიკვდილმისჯილები სასეირნოდ რომ გაჰყავთ, ამ გვირაბში ასალმებენ სიცოცხლეს, კეფაში ან საფეთქელში პისტოლეტის სროლით. ზოგი ჯალა-თი, პატიმარს შემოატრიალებს და შუბლში ესვრის, რომ მეტი სიამოვნება მიიღოსო. გვირაბის კედლებს ვაკვირდები, იქნებ ნატყვიარი შევნიშნო, რომ ვიცოდე - ჩემს ტვინში გავლილი ტყვი-აც სამუდამოდ სადღაც ჩარჩება, მაგრამ ისე ბნელა, ვერაფერი დავინახე.

15 აპრილი. საჭმელს პირს ვერ ვაკარებ. რა კარგი ყოფილა სიცოცხლე, მეშინია სიკვდილის! რა ტყუილად ვკვდები?! რად მინდოდა მწერალთა კავშირი, წავსულიყავი, სადმე, მენაგვედ მე-მუშავა!

16 აპრილი. ლამით არ მძინებია. ვცდილობ, გული გავიმაგრო, რომ არ გამისკდეს, ანდა გამისკდეს, ასე უფრო სჯობს! ეს რა ხმაა, ამ დილაუთენია რა უნდათ?...

* * *

სასეირნოდ გასაყვანად, დილით, კამერაში ორი ბადრაგი შევიდა. გული ცუდს უგრძნობდა. როგორც წესი, სასეირნოდ შუადღით გაჰყავდათ. ხელბორკილები დაადეს. გაუძალიანდა, თითქმის ძალით გაათრიეს. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ბედს დაემორჩილა. წინ წავიდა, უკან არ იხედებოდა. გვირაბში შევიდნენ. უკნიდან გაძლიერებულად ისმოდა ბადრაგის მწყობრი ნაბიჯის ხმა.

- ნეტავ უკნიდან მესვრიან კეფაში, თუ გვერდიდან საფეთქელ-ში? იქნებ, შემომაბრუნონ და შუბლში მესროლონ, რომ შიშჩამ-დგარ თვალებში სიცოცხლის სხივის ჩაქრობა დაინახონ?! ამ დროს, ბადრაგის მწყობრი ნაბიჯი აირია. ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო და შემოაბრუნა. თვალები დახუჭა

- აი, ახლა მესვრიან შუბლში. ნეტავ მალე ქნან! - არაფერი მოხდა, ლოდინით დაიღალა, თვალი გაახილა. მის წინ, გაღიმებ-ული ვალოდია სალუქვაძე იდგა. მეტი არაფერი ახსოვს, საავად-მყოფოში მოვიდა გონს.

* * *

წლის ბოლოს, რომანი - „სიკვდილმისჯილი“ გამოიცა, რო-მელიც, მალე ბესტსელერი გახდა.



საპარიკმახეროში

ვინ აცალა ჩემს თმას „ბითლზივით“, ყურს ქვემოთ ჩამოზრდა?! ორი გაფრთხილების შემდეგ, კლასის დამრიგებელმა - დარიკუ მასწავლებელმა, გაკვეთილზე, დასაკლავი ღორივით წამომაქცია, ზემოდან წამომაჯდა და სიმწრით ნაზარდი თმა სულ მაკრატლით ამილიჯნა.

ჩვენი უბნის საპარიკმახერო სკოლის გვერდით, ერთ პატარა ოთახში იყო განთავსებული. სკოლიდან პირდაპირ იქ მივედი და ჩემი რიგის მოლოდინში, ერთი უსიმპათიო, აფთრის მსგავსი კაცის გვერდით კუთხეში მდგარ, თავისუფალ სკამზე ჩამოვჯექი.

საპარიკმახერო ისეთი ადგილია, სანამ რიგი მოგიწევს, ნახევარ საათში მოისმენ უბნის ათას ჭორ-მართალს. მიუხედავად სივიწროვისა და კუკურა პარიკმახერის ხელით დაწერილი, კედელზე გაკრული აბრისა - „კაი ძმაკაცი ხარ, მაგრამ დიდხანს ნუ გაჩერდები!“, კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ სამ სკამზე მაინც ჩამომსხდარან დილიდან საღამომდე უბნის კაცები.

- ვაა, შავგოგიაც მოსულა! - ჩუმად თქვა კუკურამ შავგვრემანი, წარმოსადეგი, ახალგაზრდა კაცის შემოსვლისას ისე, რომ ტყავის ზონაზე სამართებლის ალესვა არ შეუჩერებია.

- უბნელებს გაუმარჯოს, რიგში ბევრი გყავს? - ჰკითხა კუკურას ახალშემოსულმა და შუბლზე ჩამოყრილი გრუზა თმა უკან გადაიწია.

- არა, გოგიჯან, ამას გავპარსამ და შენ მოგხედავ!

- ესენი რიგში არ დგანან? - გაშვერილი ცერით ჩვენზე მიუთითა.

- რიგში ეს პატარა ბიჭია, მაგრამ მოიცდის! - ჩემზე ანიშნა, -

დანარჩენები ხელობას სწავლობენ! - იხუმრა კუკურამ.

- გოგია, ვერ მიცანი? - ჰკითხა აფთრისსახიანის გვერდით მჯ-დომმა, შუახანს გადაცილებულმა კაცმა, რომლის საპარიკმახე-როში ყოფნა, ცოტა არ იყოს ღიმილისმომგვრელი იყო, რადგან თმა და წვერი კი არა, წარბები და წამწამებიც კი არ ჰქონდა.

- ვახ, ძია რუდიკ? შეცვლილხარ, გალამაზებულხარ, თმები ამოგსვლია!

- სულ შაყირობ, შენსას არ იშლი, აი! ბიჭო, როდის უნდა დაჭკვიანდე, ცოლი მოიყვანო?

- ცოლიც მყავს, და ბიჭსაც ველოდები! - ამაყად უპასუხა გო-გიამ.

- ისევ ვეძათხევზე ცხოვრობ?

- აბა, სხვაგან ვერ ვიცხოვრებ, დარდი მამკლამს! - თქვა გო-გიამ და ჩემ შეთავაზებულ სკამზე ჩამოჯდა.

- გოგიჯან, რომ თქვი, ბიჭს ველოდებიო, რა იცი, ცოლი რენტ-გენში გაატარე? - ჩაიხითხითა კუკურამ.

- ეგლა მაკლია, პირველი შვილი გოგო მყავდეს! - დაიგრგვინა გოგიამ და ნაკურთხი ბატკნის თავისტოლა მუშტი მკერდზე მი-იბრახუნა.

- რასაც ღმერთი მოგცემს, ის გეყოლება, გოგიაჯან, შენ მაგას ვინ გკითხავს?!

- ღმერთი ვაუკაცებს, პირველს, ბიჭს აძლევს, ბიჭი მეყოლება!

- თქვა გოგიამ და თვალები დაქაჩა.

- არა, მაინც, გოგო რომ გაჩნდეს, რას იზამ? - არ შეეშვა კუ-კურა.

- მოვკლავ! - ისე იღრიალა გოგიამ, რომ კუკურას, ეტყობა, ხელი აუკანკალდა, კლიენტს ლოყა გაუჭრა და სისხლის შესა-ჩერებლად, ჭრილობაზე შაბის ნატეხი დაადო.

- რას ამბობ ბიჭო, შვილს როგორ მოკლავ?! - ჩაიცინა რუდიკა ძიამ.

- აი, ნახავ!

უსიმპათიო კაცს, თავისი აფთრის დინგი წინ წაეწია და ყურ-
ადღებით უსმენდა, ხმას არ იღებდა.

- კაცებს გოგოები არ უნდათ, რადგან სხვის გვარს აგრძე-
ლებენ - დაიჩიფრითა საპარიკმახერო სკამზე მჯდომმა, რომ-
ლის გაპარსვაც კუკურას მოეთავებინა და ახლა ოდეკოლონი
„შიპრით“ წაპარსს უმუშავებდა - ჩემს მეზობელს, გოგო რომ
შეეძინა, ბებიაქალებს დაერია და ცემა-ტყეპა აუტეხა. ისინი ეუ-
ბნებოდნენ - რა ჩვენი ბრალია, რაც გააკეთე, ის გამოვიდაო!

- გაზეთში წავიკითხე, მაჰმადიანები, საერთოდ, ქალს უსულო
არსებად თვლიანო! - თქვა რუდიკა ძიამ.

- ჰო, ამას წინათ, კაცი იყო შემოსული - დაიწყო მოყოლა კუ-
კურამ - აქვე, გორკის ქუჩაზე ცხოვრობს. - თევზაობა მიყვარ-
სო, ღამით ვიყავი სასროლი ბადით მტკვარზე ჩასული და რომ
ამოვწიე, რაღაცა ამოჰყვაო. თევზი მეგონა, მაგრამ ფარანი
რომ მივანათე, ახალდაბადებული გოგო იყო, ჭიპლარი ისევ ზედ
ჰქონდაო.

- მე 11 წელი შვილი არ მეყოლა, გოგო ვიშვილე, ახლა ორი

წლისაა, ამ ქვეყნად, ყველა ბიჭს მირჩევნია, ენაცვალოს მამაო!

- თქვა უსიმპათიო კაცმა, აფთარს რომ ჰგავდა და საპარიკმახე-

როდან გავიდა.



ცდუნება

ვერცხლი მისი არა მისცა აღსადგინებლად და ქრთამი უბრალოსა ზედა არა მოილო, რომელმან ყოს ესე, იგი არა იძრას უკუნისამდე.

* * *

ოთო ხიდურელი, გამგებელმა ადმინისტრაციულ ერთეულში თავის წარმომადგენლად რომ დანიშნა, ხალხმა შვებით ამოისუნთქა, რადგან ყველამ იცოდა, რომ წინამორბედისგან განსხვავებით, წესიერი კაცი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილი ჰყავდა და მატერიალურად არ ულხინდა, ქრთამზე იოლად არ წაუცდებოდა ხელი. ვინც ჯერ არ იცნობდა მის მტკიცე ხასიათს, თავიდან კი შესთავაზეს 500, 700, 1000 ლარი, მაგრამ სულ წივილ-კივილით რომ გამოყარა კაბინეტიდან, მიხვდნენ, არაფერი გამოუვიდოდათ - „გიში ყოფილაო!“, თქვეს და შეეშვნენ.

მართალია, ხელფასი ოჯახს არ ჰყოფნიდა, ბავშვებს საკვები აკლდათ, ცოლი სულ დებილს და ჩლუნგს ეძახდა და გაყრით ემუქრებოდა, მაგრამ ოთოზე ეს არ მოქმედებდა და ჯიუტად იდგა აზრზე, რომ იოლად არ გაიყიდებოდა.

ახალი წელი ახლოვდებოდა, ორმა ფერმერმა რომ მიაკითხა კაბინეტში. მეცხოველეობის ფერმის გასაფართოვებლად, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული რვა ჰექტარი სახნავ-სათესი მინის ნაკვეთი სჭირდებოდათ, რაშიც 20 000 ლარს იხდიდნენ. იმ რაიონში, ჰექტარი მინის სახელმწიფო ფასი 500 ლარი იყო. რადგან მინა არსებული ბიზნესის გასაფართოვებლად სჭირდე-

ბოდათ, შესაძლებელი იყო, პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა სახელმწიფო ფასში - 4 000 ლარად. ასეც გადაწყვიტა, მაგრამ არაფერი უპასუხა, მეორე დღისთვის დაიბარა.

მთელი ღამე ბორგავდა, ვერ დაიძინა - 16 000 ლარი საახალწლოდ ისე დარჩებოდა, შემდავებელიც არ ეყოლებოდა. ფიქრებში, ახალი მანქანით დაწავარდობდა.

* * *

- აბა, შენს ფრონტზე რა ხდება? - ჰკითხა ცდუნების დეპარტამენტის უფროსმა ტარტაროზმა მის წინ ატუზულ, კუდამოძუებულ, ინსტრუქტორ ჭინკას და ჩლიქში გარჭობილი სიგარეტი საფერფლები ჩაბერტყა.

- 4 000 ლარიან საქმეში 20 000 ლარს სთავაზობენ. ახალი წელია, ფული სჭირდება, ალბათ აიღებს! - უპასუხა ჭინკამ და შექების მოლოდინში გაინაბა.

- ცოდოა ბიჭი, მაგისთვის არ მემეტება! - უთხრა ტარტაროზმა და ჩლიქით მარცხენა რქა მოიფხანა.

- მაშ რა ვქნა? - გაკვირვებული შეაცქერდა ჭინკა.

- ანგელოზებს აცალე! - დაარიგა ტარტაროზმა.

* * *

- უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცდუნებდეს შენ, აღმოილედა განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გენიასა შინა!

* * *

მეორე დღეს, ოთომ ფერმერებს მტკიცე უარი სტკიცა და დაბნეულები გაუშვა სახლში.

ფერმერებმა იფიქრეს, ალბათ ცოტა შევაძლიერო. იმსჯელეს, ითათბირეს და მესამე დღეს, 40 000 ლარით ხელდამშვენებულე-

ბი მიადგნენ კაბინეტში. ისევ არაფერი უპასუხა, მეოთხე დღისთვის დაიბარა. მთელი ღამე ბორგავდა, ვერ დაიძინა - 36 000 ლარი საახალლოდ ისე დარჩებოდა, შემდავებელიც არ ეყოლებოდა. ფიქრებში, სოფელში ახალი სახლი აიშენა.

* * *

- აბა, შენს ფრონტზე რა ხდება? - ისევ ჰკითხა ცდუნების დეპარტამენტის უფროსმა ტარტაროზმა მის წინ ატუზულ, კუ-დამოძუებულ, ინსტრუქტორ ჭინკას.

- ის ქრთამი არ აიღო, მაგრამ 4 000 ლარიან საქმეში 40 000 ლარს სთავაზობენ. ახალი წელია, ფული სჭირდება, ალბათ აიღებს! - უპასუხა ჭინკამ და გუშინდელივით გაინაპა შექების მოლოდინში.

- ცოდოა ბიჭი, მაგისტრისაც არ მემეტება! - უთხრა ტარტაროზმა მარცხენა რქის ფხანით.

- მაშ რა ვქნა? - გაკვირვებული შეაცქერდა ჭინკა.

- ანგელოზებს აცალე! - დაარიგა ტარტაროზმა.

* * *

- უკეთუ მარჯუენა ხელი შენი გაცდუნებდეს შენ, მოიკვეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაითა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გენიასა შინა!

* * *

მეოთხე დღეს, ოთომ ფერმერებს ისევ მტკიცე უარი სტკიცა და დაბნეულები გაუშვა სახლში.

მეხუთე დღეს კითხვით მიადგნენ ფერმერები კაბინეტში:

- მაშინ, შენ გვითხარი, რამდენი გინდაო?

- 100 000 ლარზე ნაკლებს, ხელს არ მოვკიდებ! - უპასუხა ოთომ.

- მოვიფიქრებთ და პასუხისმოგონის ხვალ მოვალთო! - უთხრეს ფერმერებმა. მთელი ღამე ბორგავდა, ვერ დაიძინა - 96 000 ლარი საახალწლოდ ისე დარჩებოდა, შემდავებელიც არ ეყოლებოდა. ფიქრებში, დედაქალაქში სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა.

* * *

- აბა, შენს ფრონტზე რა ხდება? - ისევ ჰკითხა ცდუნების დეპარტამენტის უფროსმა ტარტაროზმა მის წინ ატუზულ, კუ-დამოძუებულ, ინსტრუქტორ ჭინკას.

- ის ქრთამი არ აიღო, მაგრამ 4 000 ლარიან საქმეში 100 000 ლარი თვითონ მოსთხოვა, ოლონდ შეიძლება ფერმერებმა არ გა-დაიხადონ! - გულდანყვეტილმა უპასუხა ჭინკამ.

- ცოდოა ბიჭი, მაგისტროვისაც არ მემეტება! - უთხრა ტარტარო-ზმა მარცხენა რქის ფხანით.

- მაშ რა ვქნა? - გაკვირვებული შეაცქერდა ჭინკა.

- ანგელოზებს აცალე! - დაარიგა ტარტაროზმა.

* * *

- მიეცით კეისარს კეისრისა და ღმერთს ღმრთისა!

* * *

მეექვსე დღეს გამოართვა ოთომ ფერმერებს 100 000 ლარი, 4 000 ლარი - მიწის საფასური ბიუჯეტში გადაარიცხინა და კმაყ-ოფილები გაუშვა სახლში.

* * *

- აბა, შენს ფრონტზე რა ხდება? - ისევ ჰკითხა ცდუნების დეპარტამენტის უფროსმა ტარტაროზმა მის წინ ატუზულ, კუ-დამოძუებულ, ინსტრუქტორ ჭინკას.

- 4 000 ლარიან საქმეში 100 000 ლარი ქრთამი აიღო! - უპასუხა ჭინკამ და შექების მოლოდინში გაინაბა.

- ცოდნა ბიჭი, ძვირადლირებული სული თავისი ხელით ჩაგვ-
აბარა, ახლა მაგას ანგელოზებიც ვეღარ უშველიანო! - უთხრა
ტარტაროზმა და მარცხენა თვალიდან ცრემლი მოიწმინდა.



ნილაპი

- გოგი, ხომ გაგვიძლვები? - მორიდებით სთხოვს ოჯახის უფროსი თამადობას.

- მეე, კაცო?! - ამაყად ეკითხება 50-55 წლის მამაკაცი და ფეხზე დგება.

- შენ, გოგი, აბა, შენს მეტი, სხვა ვინ?!

- მაშინ, ჭიქები შევავსოთ! - რიხიანად დასჭექს ბატონი გოგი.

ტანად არც ისე დაბალს და არც ისე მსუქანს, კოხტა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მომზირალი ნაცრისფერი თვალები სიამაყით უბრნყინავს. დამადლებული ღიმილი ორივე ლოყაზე ფოსოებს აჩენს. საფეხულებთან შერჩენილი თმა, რომელილაც, დიდი მეცნიერის იერს აძლევს. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, სამეგობროში თავისი აღმატებულება უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ კუჭის წყლული სტანჯავს და ნაღვლის ბუშტიც კენჭებით აქვს სავსე, დარდიმანდობას მაინც არ ეშვება და თამადობაზე უარს არ ამბობს.

ზოგს ეპატიუებიან, ზოგს არ ეპატიუებიან, ზოგს ამოაგდებენ, ზოგს ჩაანაცვლებენ. მხოლოდ ბატონი გოგია მუდამ თამადის პოსტზე. იმიტომ, რომ სამეგობროში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

* * *

- გოგი, სკოლაში გვიბარებენ! - მორიდებით ეუბნება ცოლი.

- მერე მე რა ვქნა?! - თავს ანებებს გაზითის კითხვას სავარძელში გადაწოლილი 50-55 წლის მამაკაცი და ცოლს სათვალის ზემოდან გახედავს.

- კარგი, სკოლაში მე წავალ!

- სიგარეტი მომიტანე! - ღრენით ეუბნება გოგი.

ტანად არც ისე დაბალს და არც ისე მსუქანს, კოხტა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მომზირალი ნაცრისფერი თვალები სიბრაზისგან უელავს. მომუწული პირი, მკაცრ იერს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. საფეხქლებთან შერჩენილი თმა განრისსებისგან ყალყზე უდგას. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, ოჯახში თავისი მრისხანება უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ ბრონქიალური ასთმა აქვს, სიგარეტს მაინც არ ეშვება და ნავახშმევზე გაბოლებაზე უარს არ ამბობს.

ზოგს ოჯახი ენგრევა, ზოგი თვითონ ანგრევს, ზოგს ცოლი ჩაგრავს, ზოგს შვილები. მხოლოდ გოგია მუდამ თავის ადგილზე. იმიტომ, რომ ოჯახში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

* * *

- ჩემო გოგი, აქეთ მოიწი! - მორიდებით ეუბნება ნათესავი და საფლავთან ახლოს მიჰყავს.

- საწყალი, რა კაცი იყო?! - ამბობს 50-55 წლის მამაკაცი და მუჭით აღებულ მიწას საფლავში ყრის.

- შენ იყავი კარგად ჩემო გოგი!

- ღმერთმა გაკმაროთ! - თანაგრძნობით პასუხობს გოგი.

ტანად არც ისე დაბალს და არც ისე მსუქანს, კოხტა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მომზირალ ნაცრისფერ თვალებში სევდა ჩასდგომია. მწუხარებისგან მომუწული პირის კუთხეები ძველი მთვარესავით ქვევით აქვს დაშვებული. საფეხქლებთან შერჩენილ თმას ქარი უწეწავს. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, სანათესაოში თავისი გრძნობები უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ სუსტი გული აქვს, ჭირში მაინც დადის და ცრემლსაც ბლომად ღვრის.

ზოგს ჩაიხუტებენ, ზოგს მოიმორებენ, ზოგს ცხვირს აუბზუე-

ბენ, ზოგს გარიყავენ. მხოლოდ გოგია მუდამ მიღებული. იმიტომ, რომ სანათესაოში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.

* * *

- გოგლიკო, უფროსი გეძახის!

- დიახ, ახლავე! - გაღიმებული პასუხობს 50-55 წლის მამაკაცი და ოთახიდან სირბილით გადის.

- გისმენთ ვალერიანოვიჩ! - თვალებში შესციცინებს უფროსს.

ტანად დაბალს და მსუქანს, პაჭუა ცხვირზე დაკოსებული სათვალის ლინზებიდან მუდმივად მოღიმარი ნაცრისფერი თვალები ერთიორად გადიდებული მოუჩანს. ლიმილისგან ოდნავ დაღებული პირის კუთხეები, ახალი მთვარესავით ზევით აქვს ანეული. საფეხქლებთან შერჩენილი თმა, ყურებს ზემოთ გაბუჩქვია. დიდი ხანია მიხვდა, რომ მოწინავე პოზიციის შესანარჩუნებლად, სამსახურში თავისი მორჩილება უნდა აჩვენოს. მიუხედავად იმისა, რომ დიდი და პატარა, პირში თუ პირსუკან დასცინის და აბუჩად იგდებს, მორჩილი კაცის ნიღაბს მაინც არ იშორებს და გაღიმებული, ყველას ზრდილობიანად პასუხობს.

ზოგი მიდის, ზოგი მოდის, ზოგს ანინაურებენ, ზოგს აქვეითებენ. მხოლოდ გოგლიკოა მუდამ მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. იმიტომ, რომ სამსახურში გამორჩეულია და ქცევის წესები იცის.



დეტექტიური ნოველა

- ერთიც დაასხი, მაგის დედაც ვატირეო! - უთხრა მახომ სტუმარს და ხელის ცეცებით ნაპოვნი არყის ჭიქა გაუწოდა.
- ექიმმა ხომ აგიკრძალა დალევაო?! - სამზარეულოდან გამოსძახა ცოლმა.
- რა მომივა, ამაზე მეტად დავპრმავდებიო? - მწარედ ჩაიცინა მახომ და დასხმული არაყი „ზალპით“ გამოცალა.

* * *

დათო: - საღამოს ბეჟანასთან გადავედი. სიმამრი ჰყავდა სტუმრად, ცოლმა სუფრა გაშალა და ცოტა დავლიეთ.

- ქარელში პურის აღება დაუწყიათ და მწყერზე ნადირობენ, მაგარი ბათქა-ბუთქიაო! - თქვა „ნიკალაევიჩმა“. ბეჟანამ
- წამო, ხვალ წავიდეთო!

- არ მინდა ნადირობა-მეთქი! - მაგრამ მაინც დამიყოლიეს. მეორე დილით ჩემი მანქანით გავუარე ბეჟანას, იმან კიდევ, თავისი ძმა - მახო წამოიყვანა. ნეტავ რა უნდოდა, ცხოვრებაში თოფი არ უსვრია. მაგას და ბეჟანას სიმამრს - „ნიკალაევიჩს“, გართულებული ურთიერთობა ჰქონდათ - მახოს, თავისი რძალი ვიღაც კაცთან დაუნახავს და ძმას უთხრა. კინალამ ოჯახი დაინგრა. მერე მახომ მოუბოდიშა

- ალბათ, მომეჩვენაო! - მაგრამ „ნიკალაევიჩი“ მაინც არ ურიგ-დებოდა

- ჩემს შვილს ეს როგორ დასწამეო! ბეჟანამ თვალი ჩამიკრა და მივხვდი, რომ ძმა სიმამრთან შესარიგებლად მოჰყავდა. ჩავსხედით მანქანაში და წავედით. „ნიკალაევიჩი“ წყაროსთან

შეგვხვდა. „ლუაზში“ ოთხი კაცი ძალლებით ვეღარ ჩავეტიეთ და „ნიკალაევიჩი“ თავისი მანქანით წამოვიდა.

ორი მწყერი ამოფრინდა. ერთი ზევით წავიდა, მეორე უკან. მე ზევით აფრენილს ვესროლე, ალბათ, ბეჟანამ უკან გაფრენილს, რადგან მახომ რომ დაიყვირა და წაიქცა, ბეჟანა მივარდა

- ძმაო, მოგკალიო! ჩავაწვინეთ მანქანაში და ხაშურის საავად-მყოფოში წავიყვანეთ. გზაში ბეჟანა ძალიან ნერვიულობდა

- ეს როგორ მომივიდაო! - არ უნდოდა საავადმყოფოში მიყვანა

- მიღლიციას შეატყობინებენ და გამოძიება დაიწყებაო! მე და-ვამშვიდე:

- ნუ ნერვიულობ, მე დავიბრალებ-მეთქი! - მეორე დღეს თოფით მომივარდა, ქუჩიდან ღრიალებდა

- გამოდი გარეთ შენი დედაო! - მადლობის მაგიერი იყო? - გამომძიებელთან ჩემს თავზე ავიღე და მამაჩემსაც შევუთანხ-მდი, რომ კარგ ექიმებს დაახვევდა და იქნებ ერთი თვალი მაინც გადაგვერჩინა. მე გასვლა მინდოდა, რომ სახეში მიმეფურთხე-ბინა, მაგრამ მამაჩემი გადამიდგა კარებში და არ გამიშვა.

* * *

ბეჟანა: - წინა საღამოს, მე, დათო და ჩემი სიმამრი შევთანხ-მდით, რომ მეორე დღეს ქარელში წავიდოდით მწყერზე სანადიროდ. დილით, დათომ თავისი „ლუაზით“ გამომიარა. ჩემს ძმას ვუთხარი

- მახო, რას აკეთებ, წამოდი-მეთქი!

- ხომ იცი, არ მიყვარს ნადირობა, თან შენს სიმამრთანაც არ მინდა შეხვედრაო!

- ისე წამოდი, თოფს ნუ წამოიღებ, „ნიკალაევიჩთანაც“ შეგა-რიგებ-მეთქი! - ხათრი ვერ გამიტეხა და წამოვიდა. ჩემი სიმამრი წყაროსთან შეგვხვდა, ლოდინი მობეზრებოდა და ჩვენკენ წამო-სულიყო. მანქანაში რომ შემოიხედა,

- ძალლიანად ვერ დავეტევი, ჩემი მანქანით წამოვალ, იარეთ და დაგენევითო! - ქვიშხეთთან დაგვენია.

შუა ნადირობის დროს, ძალლმა ორი მწყერი ამოაფრინა. ერთი ზევით აფრინდა, მეორე დაბალზე გაფრინდა, უკან. მე ზევით აფრენილს ვესროლე, დათომ უკან გაფრენილს. ამ დროს, უკნიდან განწირული ღრიალის ხმა მომესმა, გავიხედე და ჩემი ძმა იყო მინაზე წაქცეული, მე მეგონა მოკვდა. მივვარდი, ცოცხალი იყო, მაგრამ სახე და ხელები საფანტით ჰქონდა დაგლეჯილი. ჩავაწვინეთ მანქანაში, ჩვენც ჩავსხედით და ხაშურის საავადმყოფოში წავიყვანეთ.

მეორე დღეს დათოსთან გადავედი სიმართლის გასარკვევად. რა, ჰგონიათ, რომ მე გავარტყი? „ძმაო, მოგკალი!“ იმიტომ დავიყვირე, რომ ძალით წავიყვანე მახო სანადიროდ. ეგ ლაჩარი სახლში შეიკეტა, არ გამოვიდა და მისი სახლის ფანჯრებს თოფი ვესროლე.

* * *

„ნიკალაევიჩი“: - მომბეზრდა ლოდინი და მაგათი სახლისკენ ფეხით წავედი. წყაროსთან შემხვდნენ დათოს „ლუაზით“. მანქანაში ჩემი ძალლის ადგილი აღარ იყო

- თქვენ იარეთ და ჩემი მანქანით დაგეწევით-მეთქი! - სახლში ავედი, დავქოქე „შიგული“ და ქვიშხეთთან დავეწიე.

ნადირობა ახალი დაწყებული იყო. ბიჭები თოფებს ცუდად ატრიალებდნენ, ვიღაცას, ეტყობა, ფეხებიდან აუფრინდა მწყერი, დაბალზე ესროლა და მე გამარტყა ბეჭებში. ბეჟანამ ამომილო ორი საფანტი კეფიდან. გაბრაზებული დავჯექი მანქანაში და მოშორებით გადავედი, სხვა მინდორში. შუადღით დაცხა და მწყერი აღარ ამოდიოდა. მოვრჩი ნადირობას, ჩავჯექი მანქანაში და დავბრუნდი ძველ ადგილზე, მაგრამ იქ ჩვენები არ დამხვდნენ. სერზე მწყემსი იდგა, იმას ვკითხე.

- აქ კაცი მოკლესო! - მითხრა მწყემსმა.

- სამი გასროლის ხმა იყო, ერთი და მიყოლებით, ერთდროულად, ორი. უკან მიმავალი ბიჭი მიწაზე დაეცა, ერთმა დაიძა-

ხა - „ვაიმე, ძმაო, მოგკალიო!“ და დაგდებულს მივარდა. მერე ჩააწვინეს მანქანაში, თვითონაც ჩასხდნენ და წავიდნენო! - მეც ჩავჯექი მანქანაში და წამოვედი. მერე გავიგე, მეორე დღეს, ბე-ჟანა დათოს თოფით მივარდნია

- გამოდი გარეთ, უნდა მოგკლაო! დათო არ გაუშვიათ და ბე-ჟანას ტყვიით ფანჯრები ჩაუმტვრევია.

ორი დღის მერე, ჩემმა სიძემ მთხოვა

- „ნიკალაევიჩ“, დათოს შემახვედრეო! მე დათოს ვუთხარი

- ბეჟანას უნდა დალაპარაკება, ჩემს სახლში შეგახვედრებ-მეთქი! - კარგიო! შევახვედრე და ბეჟანამ ჰკითხა

- შენ როგორ იცი, მახოს ვინ ესროლაო? - დათომ უთხრა

- მე არ მისვრია, ალბათ, შენ ესროლეო! ბეჟანა საჩხუბრად გაიწია და ერთი გარტყმა მოასწრო, მერე მე ჩავდექი შუაში და გავაშველე.

* * *

მახო: - დილით დათო მოვიდა სიგნალით, ის და ბეჟანა წინა დღით შეთანხმებულან სანადიროდ წასვლაზე. ჩემმა ძმამ მთხოვა წავყოლოდი. ნადირობა არ მიყვარს, მაგრამ ხათრი ვერ გავუ-ტეხე და წავყევი. თოფიც არ წამიღია. „ნიკალაევიჩი“ წამოვიდა თავისი „უიგულით“, გზაში დაგვენია და დაგვისიგნალა.

ნადირობისას, მე უკან მიყვებოდი, ნადირობა არ მაინტერე-სებს, ბუნებას ვათვალიერებდი. ერთდროულად, ორი გასრო-ლის ხმა გავიგონე და უცბად, თვალები საშინლად ამეწვა, მერე არაფერი მახსოვს, გონს საავადმყოფოში მოვედი.

* * *

- შენ გეცოდინება, მაინც რომელმა გესროლა თოფიო? - ჩააცივდა სტუმარი მთვრალ მახოს.

- ბოლოს რაც დავინახე და გაჩერებული კადრივით მიდგას თვალწინ, სერზე, ხეებს ამოფარებული „ნიკალაევიჩის“ თოფის

ლულა და მისი მოჭუტული თვალია, ალბათ, იმ ამბის გამო დამ-საჯა, მაგრამ ეგ რომ ვთქვა, ჩემს ოჯახს გადაეკიდება და უარესს მომწევს, არც შენ წამოგცდეს სადმეო!



დედავნა

დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა
მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს
ამით ენითა.

და ესე ენად მძინარე არს დღესამომდე,

და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქან!

* * *

ირაკლი და ნინო ჩემი თანაკურსელები იყვნენ, ერთად ვწავ-
ლობდით პოლიტექნიკურში, კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე.
პირველი ნახვისთანავე მოეწონათ ერთმანეთი. მართლაც, ისეთი
შესაფერისები იყვნენ, თითქოს ერთმანეთისთვის დაბადებულა-
ნო. კურსელებიც ვგულშემატკივრობდით და ყველანაირად ხელს
ვუწყობდით მათ დაახლოებას. ცოტა ხანში, სხვებისგან მალუ-
ლად დაიწყეს ერთად სიარული, სასწავლო წლის ბოლოსთვის კი,
უკვე ოფიციალური შეყვარებულები იყვნენ და ერთმანეთს თვა-
ლებში შესციცინებდნენ.

მეორე კურსზე, ფაკულტეტის კომკავშირის კრება ჩატარდა,
სადაც კომიტეტის ახალი შემადგენლობა უნდა აერჩიათ. კრება-
ზე ვიღაცამ მდივნის მოადგილის კანდიდატურაზე, მოულოდნე-
ლად, ნინო დაასახელა. დაბნეული გოგონასთვის არც უკითხავთ,
ისე აირჩიეს. მერე გავიგეთ, ფაკულტეტის კომკავშირის მდივანს
- ზაქარიას დაუვალებია თავისი „ლეკვებისთვის“

- ეგ გოგო მომწონს და ჩემს მოადგილედ უნდა გავიყვანოთო!

რაც კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილედ აირჩიეს,
ყოველდღე იძახებდა თავისთან ზაქარია. ხან რას ავალებდა და

ხან რას. ერთ მშვენიერ დღეს, სიყვარულიც აუხსნა, მაგრამ პა-სუხად რომ მიიღო

- მე სხვა მიყვარსო! - და რომ გაიგო, ეს „სხვა“ ირაკლი იყო, დაუთვალა გაცდენები, საკითხი ფაქულტეტის კომკავშირის კრებაზე გაიტანა და ირაკლის კომკავშირიდან გარიცხვა მოითხოვა, რაც ავტომატურად ინსტიტუტიდან გარიცხვას ნიშნავდა. მართალია გარიცხვა არ გამოუვიდა, ფაქულტეტზე უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა, მაგრამ სამაგიეროდ ნინოს დაემუქრა

- თუ ეგ ბიჭი არ შეგეშვება, იცოდე, ცხოვრებას გავუმწარებო! ნინოსაც, რა ექნა, სამჯერ დაწერა განცხადება კომკავშირის მდივნის მოადგილეობიდან გადადგომაზე, მაგრამ ზაქარიამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. ირაკლის ვერ ეტყოდა, რადგან ეშინოდა, შეყვარებულ ბიჭს რამე სისულელე არ ჩაედინა. ერთად-ერთი რაც მოიფიქრა,

- აღარ მიყვარხარო! - გამოუცხადა და საწყალი ბიჭი გაოგნებული დატოვა. თვითონ კი, ჭამა აკრძალა, გახდა, თვალები ჩაუცვივდა. საღამოობით შეიკეტებოდა თავის ოთახში, დაემხობოდა საწოლზე და მთელ ღამეს ტირილში ატარებდა. ირაკლი ხვდებოდა, რომ მათ შორის ზაქარია ჩადგა. რამდენჯერმე სცადა, გაერკვია, მაგრამ ნინო არ ელაპარაკებოდა და თავიდან იშორებდა.

* * *

გაზაფხულის თბილი დღეები დაიჭირა. თბილისში იასამანი ჯერ არ აყვავებულიყო, მაგრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეზოში გამოფენილ გოგოებს მაინც ეჭირათ ხელში ბიჭებისგან მირთმეული, სასწაულით ნაშოვნი თაიგულები. ჩვენ ელტექნიკის ლექცია გაგვიცდა და მთელი ჯგუფი ინსტიტუტის ეზოში ვიდექით, დეკანატიდან რომ შემოგვითვალეს

- 205-ე აუდიტორიაში შეიკრიბეთ! შევიკრიბეთ. ჩვენი ერთი ლექტორი, რომელიც დისიდენტებთან იყო დაახლოებული, სიტყვით გამოვიდა:

- კონსტიტუციის 78-ე მუხლში ცვლილება შედის, რომლის თანახმად, მოკავშირე რესპუბლიკების ენებს სახელმწიფო ენის სტატუსი ერთმევათ. ახალი კონსტიტუციით, ქართული სახელმწიფო ენა აღარ იქნება. 14 აპრილს, დილის 10 საათზე, სტუდენტები უნივერსიტეტის ბაღში იკრიბებიან, რომ მიტინგი მოაწყონ. ჩვენ აქ შევიკრიბებით და მომიტინგებს შევუერთდებით! - მის შემდეგ, ბევრი პროფესორ-მასწავლებელი და სტუდენტი გამოვიდა სიტყვით. საერთო აზრი ნათელი იყო - სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებდით და ქართულ ენას არ დავთმობდით. სახელდახელოდ ავირჩიეთ საბჭო, რომელსაც კავშირგამულობის ფაკულტეტის სტუდენტების მობილიზება და მიტინგზე გაყვანა ევალებოდა. ასევე, უნდა მოეხდინათ სხვა ფაკულტეტებთან კოორდინაცია. საბჭოს თავმჯდომარედ ირაკლი ავირჩიეთ.

მეორე დღეს, ზაქარიამ მოიწვია კომკავშირის კრება. იმავე 205-ე აუდიტორიაში შეგვყარა და თვითონ სიტყვით გამოვიდა:

- ამხანაგებო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის კომკავშირლებო! ჩვენი ვალია, მხარში ამოვუდგეთ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ჩვენი მესაჭეა! - ამას მოაყოლა სოციალიზმის ნახევარსაათიანი ქება და კაპიტალიზმის ძაგება - კონსტიტუციის 78-ე მუხლი შესაცვლელია, რადგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონება, ნაციონალიზმს აღვივებს! - შემდეგ შეგვახსენა, რომ ქვეყანა წინ მიდის, ჩვენ კი, ქართული ენით, ნარსულში ჩავრჩებით და მხოლოდ რუსული ენა უნდა იყოს სახელმწიფო ენა, რომ მოძმე რესპუბლიკებთან შეგვეძლოს ურთიერთობა... ბოლოს დაგვემუქრა - ვინც მიტინგზე წახვალთ, სტიპენდიის მოხსნაზე აღარ იქნება ლაპარაკი, ინსტიტუტიდან გაირიცხებით!

* * *

14 აპრილის დილას, ინსტიტუტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ეზოში შევიკრიბეთ. ყოველ წუთს იზრდე-

ბოდა ხალხის რაოდენობა. ეზო რომ გაივსო, ქუჩაზე გადავედით. 11 საათისთვის ლენინის ქუჩაზე დავიძარით გმირთა მოედნისკენ. მანქანების მოძრაობა გადაიკეტა. სასტუმრო „აჭარასთან“, პეკინის ქუჩიდან მომავალი სამედიცინო ინსტიტუტი, ხოლო გმირთა მოედაზე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი შემოგვიერთდა. ლენინის ქუჩას ავუყევით ფილარმონიამდე და მელიქიშვილის ქუჩიდან მომავალ უნივერსიტეტის, უცხო ენების, ფიზკულტურულის, პუშკინის ინსტიტუტების მომიტინგებს შევუერთდით და ერთად გავაგრძელეთ მსვლელობა მთავრობის სასახლისკენ. გზადაგზა, სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები გვემატებოდნენ.

ამ დროს, მთავრობის სასახლეში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა მიმდინარეობდა, სადაც უნდა გადაეწყვიტათ, დარჩებოდა თუ არა ქართული ენა სახელმწიფო ენად...

მთავრობის სასახლის წინ, ერთადერთი მოთხოვნით მდგარ ზღვა ხალხს - არ დაეთმოთ მშობლიური ენა, მშვენივრად ესმოდა, რომ ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა, შეიძლება ესროლათ და 1956 წლის 9 მარტი განმეორებულიყო.

სიტყვით გამომსვლელები ერთმანეთს ცვლიდნენ: -კითხულობდნენ ლექსებს, მოთხოვნებს, ნაწყვეტებს ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებიდან.

შუადღით, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სიტყვით გამოვიდა და შუალედური ვარიანტი შემოგვთავაზა - ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი არ ექნებოდა, მაგრამ ქართულად დოკუმენტაციის წარმოება არ იკრძალებოდა - რაზეც ხალხმა უარი განაცხადა. დღე იწურებოდა, ხალხის ზღვა ღელავდა, ზიმზიმებდა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა.

- საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება - უცვლელად დატოვოს კონსტიტუციის 78-ე მუხლიო! - საღამოს გამოაცხადა ცენ-

ტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა - ედუარდ შევერდნაძემ.

* * *

წელს, 14 აპრილს, დედაენის ბაღში გავასეირნე შვილიშვილები. მოშორებით, სკამზე, ირაკლი და ნინო დავინახე. სამი შვილის დედ-მამა და ხუთი შვილიშვილის პაპა-ბებია ერთმანეთს თვალებში ისევე შესციცინებდნენ, როგორც მაშინ, 39 წლის ნინ.



ბაზარში

- მამა, მამაა! - რამდენი ხანია არ მინახავს! რა იცის ამ კაცმა, დაადებს თავს და გარბის. მთელი ცხოვრება ასეა - მამაჩემი წინ გარბის, ოჯახი უკან მივდევთ. ბათუმში გვაქვს მასეთი ფილმი გადაღებული 8 მმ-იან კინოფირზე. მიშამ გადაიღო - ჩემმა ძმამ. მარტო მონადირე კი არა, ფოტომონადირეცაა - ისეთ კადრს დაიჭერს, გაგაგიუებს.

- მამა, მამაა! - ალბათ, ვერ მოისვენა სახლში, ბაზარში გამოვიდა. პერანგზე ნაქსოვი სვიტრი გადაუცვამს. ააა, ეს ის სვიტრია, რიგაში რომ იყიდა. ზემოდან თავის საყვარელი ყავისფერი ქურთუკი აცვია. ძლივს არ ჩააცვა დედაჩემმა მუქი პერანგი, თორემ „წყალკანალის“ სასადილოს მენიუ ყოველდღე მუცელზე აწერია. რა უნდა ამ საახალწლოდ? ნაღდად, კარალიოკის ჩირს იყიდის! ვა, ხორცის სექციასთან მივიდა. ყიდულობს, ნაჭრებს არჩევს. გამეცინა. ჩვენს ოჯახში მუდამ არის ხორციანი სადილი, უხორცო კერძი არ უყვარს, ვერ აძლობს.

- მამა, მამაა! - სად დაიკარგა, აქ არ იყო, ხორცის დახლთან? აჲა, ინდაურებში გადასულა. ახალ წელს ინდაურის საციის აფასებს, განსაკუთრებით, დედაჩემის გაკეთებულს, სქელს, ბარკალი რომ გგონია და კისერს გადმოიღებ. ისე, დედაჩემის გაკეთებული საჭმელები მეც მიყვარს, კარგი ხელი აქვს. ერთხელ, მამაჩემმა ინდაური მოიყვანა, მაგრამ ფეხზე ინფექცია შეეჭრა და დაუჩირქდა. საწყალი ინდაური ძვალი და ტყავი გახდა. მამაჩემმა ფეხი მოაჭრა და რომ მოუშუშდა, ხის პროთეზი გამოუთალა და მიამაგრა. მოკეთდა, გაფხორილი უოფრეი დე პეირაკივით დააბიჯებდა.

- მამა, მამა! - ბატებში და იხვებში რაღა უნდა?!.. ალბათ ფიქრობს, ინდაურის საცივი სჯობს, ბატის თუ იხვის. მე თუ მკითხავთ, ინდაურის საცივს ვერაფერი შეედრება. იხვზე გამახ-სენდა - მე და ჩემს ძმას ერთი იხვი გვყავდა - ვიტვიტა. მამაჩემს არ ვაკვლევინებდით. ერთხელ, დილით, საქათმე რომ გამოვა-ღეთ, ჩვენი ვიტვიტა ეგდო თავმოლრნილი.

- კვერნა შემოძვრალაო! - დაასკვნა მამაჩემმა. იმ დღიდან შემძულდა საკვერნეთი და სამაჩვეთი. თურმე, კვერნას ჩვევა ჰქონია, ხაფანგში რომ გაებმება, თავს მოიმკვდარუნებს. რომ გამოხსნი, გეცემა და ხელზე გიკბენს პრინციპით - „გამიშვი და გაგიშვებ!“ ხელს გაუშვებ და გარბის, მაგრამ თურმე არსე-ბობს მეთოდი - პატარა ჯოხი უნდა აიღო და კვერნას უკანალში შეურჭო. ეტკინება, სიმწრით პირს გააღებს და ხელს გამოაცლი. - ჰოდა, შვილო, მამა-შვილი წავიდნენ დაგებული ხაფანგების მო-საჩხრეკადო - მომიყვა მამაჩემმა - დაუნახავთ, მკვდარი კვერნა გდია ხაფანგში გაბმული. მამას გამოუხსნია და კვერნას ხელში ჩაუსია კბილები.

- შვილო, ჯოხი უკანალშიო! - დაუძახა შვილს. შვილს კვერნის გამოხსნის მეთოდი არ სცოდნია, აუღია დიდი კეტი და მამამის-ისთვის უთხრია.

- კვერნას შე შობელძაღლო, მე კიდევ ეგ მინდაო?! - სიმწრით ღრიალებდა თურმე კაცი.

- მამა, მამა! - ვეღარ ვხედავ, ვიღაცის სკამზე ავედი. ჰო, აი, დავინახე, ხილის დახლთან მისულა, ჩირებს უტრიალებს. ხომ ვთქვი, კარალიოკის ჩირის გარეშე სახლში არ წავა-მეთქი. ტკ-ბილეული უყვარს - შეუძლია, მანქანა გაყიდოს და იმ ფულით ჰალვა იყიდოსო - ხუმრობს ხოლმე დედაჩემი. იმიტომაცაა, მთელ ოჯახს კბილების პრობლემა რომ გვაქვს. ერთხელ, დედაჩემს კბილი ასტკივდა, გადის და გამოდის. ჩვენ ამ დროს ფეხბურთს ვუყურებთ, „დინამო“ თბილისი თამაშობს. დედაჩემს კბილის ექიმის სახელი ახსოვს - დარეჯანი, მაგრამ გვარს ვერ იხსენებს, რომ „ტელეფონების წიგნში“ იპოვოს.

- კაცო, რა გვარია დარეჯანი, არ გახსოვს? - წინ გადაუდგა
მოქანავე სავარძელში მჯდომ მამაჩემს.

- გაინი ქალო გვერდზე, მაყურებინე!

- დარეჯანი, კბილის ექიმი რა გვარია?

- დარეჯანი, დარეჯანი, ჩემი შნო და მაგის ჯანიო! - ჩაილილი-
ნა მამაჩემმა.

- გამახსენდა, ჯანიაშვილიაო! - გაიხარა დედაჩემმა.

აი, ტკბილეულიც უყიდია, ბაზრიდან გადის. დროზე უნდა
დავეწიო, თორემ ისეთი სიარული იცის, მთელი ცხოვრება ის წინ
გარბის, ოჯახი უკან მივდევთ.

- მამა, მამაა! - დავეწიე, ხელი წავავლე. მოტრიალდა. უცხო
კაცი გაკვირვებული შემომაცქერდა. შემრცხვა, ხელი გავუშვი
და ბოდიშის მაგვარი ჩავილულლუდე. მაშინ გამახსენდა ერთი
უფროსი მეგობრის ნათქვამი

- გარდაცვალებიდან ცოტახანში, ძებნას დაუწყებო! - სისველე
ვიგრძენი. ორივე თვალიდან წამოსული ცრემლი ნიკაპის ქვეშ
იკვრებოდა და მკერდზე, გულთან მეწვეთებოდა.



კოსმოსი

5!... 4!... 3!... 2!... 1!... სტარტი! საფრენი აპარატი ოდნავ შეირყა, შეზანზარდა, ქვემოდან მიწოლა იგრძნო, საზურგეს გაეკრა. ეს არ იყო ჩვეულებრივი კოსმოსური ხომალდი, ოც წამში სიჩქარის მაქსიმუმს რომ აღწევს და მერე უწონადო მდგომარეობაში გადასულები, კაპიტანიან-ეკიპაჟიანად ხომალდის სივრცეში დალივლივებენ. ეს ზესიჩქარის კოსმოსური ხომალდი იყო, რომელსაც სინათლის სიჩქარეზე ბევრად უნდა ეფრინა და სიჩქარის მუდმივად ზრდის გამო, პილოტი, მთელი ფრენის განმავლობაში, საზურგეს იქნებოდა მიკრული.

ამ ბოლო დროს, რაც კოსმოსურ ხომალდებში ატომური საწვავის გამოყენებამ სიჩქარე მკვეთრად გაზარდა, მეცნიერებმა დაინახეს, რომ აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ სინათლის სიჩქარე ზღვრული იყო, მცდარი აღმოჩნდა და ზღვარი ბევრად მაღალი იყო, ვიდრე სინათლის სიჩქარე.

კომპიუტერის მონიტორს დახედა. კოსმოდრომი მოხვდა თვალში, ოლონდ ადამიანები შენელებულად გადაადგილდებოდნენ. უცბად კადრი გაჩერდა, გაიყინა, ხომალდის სიჩქარე სინათლის სიჩქარეს გატოლებოდა და კოსმოდრომიდან წამოსული გამოსახულება და ხომალდი ერთნაირი სიჩქარით მოძრაობდნენ.

მონიტორზე გამოსახულება ისევ გაცოცხლდა, ამოძრავდა, ოლონდ ახლა, კოსმოდრომთან ხალხმა უკან-უკან დაიწყო სიარული. ხომალდი სინათლის სიჩქარეზე სწრაფად მიფრინავდა და დედამინიდან ადრე წამოსულ გამოსახულებებს უსწრებდა. მონიტორზე ხომალდის აფრენის მომენტი გამოჩნდა, შემდეგ

მზადება, აი, თვითონ - უკან მოძრაობით გამოვიდა ხომალდიდან, ჩაფხუტი მოიხსნა.

კომპიუტერი თავისი გამოსახულების ქებნის რეჟიმზე დააყენა. რატომღაც მოუნდა, წარსულისთვის ედევნებინა თვალი, მითუმეტეს, რომ ფარდობითობის ახალი თეორია, განვლილ ცხოვრებაში კორექტივების შეტანის საშუალებას აძლევდა.

აგერ, საცდელი გაფრენის ხელშეკრულებას აწერს ხელს. გაჭირვებამ მიიყვანა, თორემ რა უნოდა კოსმოსში?! სიდედრს ტელევიზორში უნახავს - კოსმოსში საცდელი გაფრენის სანაცლოდ ფულს იძლეოდნენ - ცოლი შეუჩნდა

- ხომ ხედავ, შიმშილით ვიხოცებით, შენს სიცოცხლეს რა ფასი აქვს, ამ ერთხელ მაინც გამოადექი ოჯახსო! არადა, ცოლი რომ მოიყვანა, მაშინ ხომ კარგი ბიჭი იყო, განყოფილების გამგედ რომ მუშაობდა და მეცნიერებათა კანდიდატის ხელფასს - 400 მანეთს იღებდა?! აირია ქვეყანა და დაიხურა ის ინსტიტუტი. მაშინ უკვე ორი შეილი ჰყავდა. ხან ჯიხურში ყიდდა სიგარეტებს და ხან ტაქსაობდა, მაგრამ ცოლი სახალხოდ მაინც დებილს და კრეტინს ეძახდა. აქამდე კი მის თვალში უნიჭიერესი და უჭკვიანესი იყო.

მონიტორზე მათი ქორწილი გამოჩნდა - ნეტავ არ მოეყვანა! - დააცქერდა - მეგობრის დაბადების დღე, მათი გაცნობა. კადრი გააჩერა, მონიშნა და ამოშალა - მათი გაცნობა არ მომხდარა, ე.ი. არც ქორწილი იქნება. ვაშაა! თავისუფალია - ცოლი არ უთხოვია - ამისთვის კი ღირდა კოსმოსში გაფრენა!

დისერტაციის დაცვა, მოსკოვში ასპირანტურა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კომაროვი. ნეტავ რად უნდოდა ამდენი სწავლა, რაში გამოიყენა? ტყუილად დახარჯა სწავლაზე დრო. ჯიხურში სიგარეტის გაყიდვას და ტაქსაობას დიპლომის გარეშეც მოახერხებდა. „გუგლში“ ქარხანა „ელექტროაპარატი“ იპოვა, მოემზადა, თავისი მოსწავლეობის კადრი ამოჭრა და ქარხანაში გადაიტანა. მორჩა, მეცხრე კლასიდან პირდაპირ ქარხანაში დაინტყო მუშაობა.

სკოლის პერიოდი, კლასელებისგან ჩაგვრა, ყოველდღე დაცინვა და ცემა-ტყეპა - ფრიადოსანი და „დედიკოს ბიჭი“ რატომ ხარო! საავადმყოფოებში გატარებული ბავშვობა, პიელონეფრიტი, შარდით „წუნაობა“. ფეხის ადგმა, გაჩაჩხულად გადახვეული, ამოვარდნილი მენჯები, დაბადება. იქნებ ჯობდა, საერთოდ არ დაბადებულიყო, ღირდა მისი ცხოვრება ამდენ ტანჯვად? ჭკუაში დაუჯდა. „გუგლში“ შორეული ბრაზილია იპოვა, კადრი მოამზადა. აგერ, დედ-მამის გაცნობა უნივერსიტეტში. მამის გამოსახულება ამოჭრა და ბრაზილიაში გადასვა. დედ-მამა ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს, ესე იგი, არ დაიბადება.

მონიტორზე სულ უფრო და უფრო სწრაფად გარბიან წარსულის წიაღისკენ კადრები: - ომები სპარსეთთან, ოსმალეთთან, მონღოლების შემოსევა, დიდგორის ბრძოლა, ბიზანტია, რომის იმპერია, პირველი ცივილიზაციები, პირველყოფილი ადამიანები, დედამინაზე დინოზავრების ბატონობა, ვულკანური ამოფრქვევები, ცეცხლოვანი ბურთი...

* * *

მისია შესრულებულია - სინათლის სიჩქარეზე ბევრად სწრაფად იყრინეს, „ირმის ნახტომიდან“ გააღწიეს და ახლა უკან ბრუნდებიან. მონიტორზე კადრები სწორად გარბიან, ოღონდ დიდი სიჩქარით.

ეკრანს დააცქერდა, კადრი ეცნო - ბრაზილიიდან სტუდენტების გაცვლითი პროგრამით ჩამოსულმა მამამისმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დედამისი გაიცნო...



დეპრესია

ხარ ცუდად, ძალიან ცუდად, მაგრამ არ იცი რატომ. იცინი მზესთან ერთად, ტირი წვიმის გამო - ეს, დეპრესია, რომელიც ხშირად პრობლემის ფონზე ვითარდება.

* * *

დილის მზის სხივი სახეზე მოელამუნა, სასიამოვნო სითბო იგრძნო, თითქოს შემოპარულა და ლოყაზე კოცნისო, სუნიც კი შეიგრძნო მისი. ცალი თვალი გაახილა, მეორეც მიაყოლა, საათს გახედა. კედლის საათი რვის ნახევარს უჩვენებდა. ნახევარი საათი კიდევ რჩებოდა ადგომამდე. დაძინებას აზრი აღარ ჰქონდა, ფიქრებში წავიდა. გაიხსენა, როგორ გაიცნო ლამის ბარში, მეგობართა წრეში. თეამ მოიყვანა

- წამოდი, ჩემებს გაგაცნობო! - პირველივე ნახვისას მოეწონა
- მაღალი, სიმპათიური, ხალისიანი, თითქოს დარდი რა არის, არ იცისო. მერე, თვითონაც ხუმრობდა - დარდზე გავიმარჯვეო! კოქტეილზე დაპატიუა, იცეკვეს, კარგად გამოუვიდათ - მთელი ბარი მათ უყურებდა, ბოლოს, ტაში დაუკრეს. სახლში მიაცილა, გამომშვიდობებისას ლოყაზე ხელი მოუცაცუნა, შეტრიალდა და წავიდა. მეორე დღეს, იგივე განმეორდა, ოღონდ გამომშვიდობებისას ნაზად აკოცა ლოყაზე. როგორ უნდოდა, ვინმეს დაენახა. შემდეგ დღეებშიც იგივე განმეორდა, გარდა იმისა, რომ ყოველ-დღიურად ნაკოცნი ნელ-ნელა ტუჩებისკენ იწევდა. მერე, აღარ გამოჩნდა. არავინ იცოდა, სად გაქრა. სამი დღის მერე მოვიდა

- ავად ვიყავიო! - სახეზე ავადმოფობის კვალი ეტყობოდა. როგორ უხდებოდა გასაპარსი წვერი. იმ ლამეს კოცნით დაშორდნენ

ერთმანეთს და მიხვდა, რომ მის გარეშე ვეღარ გაძლებდა. სიგი-
შემდე მოუნდა მისი ხმის გაგონება. ტელეფონს გადაწვდა
- ალო, გოგა, დღეს სამსახურში ხომ გამომივლი?...

* * *

ხმაურმა გამოაღვიძა. ქარს მიხურული ფანჯარა გაეღო და შე-
უილით დაქროდა ბინაში. ადგა, ფანჯარა მიხურა და სახელური
შემოატრიალა. ჯერ ადრე იყო. ლოგინში შენვა, საბანი ნიკაპამდე
წაიფარა და ფიქრებში წავიდა. გაიხსენა, თეამ გოგარომ მოიყვანა
ბარში, როგორ ტკბილად შესციცინებდნენ ერთმანეთს. თითქოს
უნდოდა, ყველას ენახა - ნახეთ, რა ბიჭი გავითრიეო! - ეს ბოჩო-
ლაც რომ ეხუტებოდა?! - მაგრამ, ჩემთან რატომ მოვიდა? ალბათ
გაშტერებული რომ შევყურებდი, იმიტომ. რაში ენალვლებოდა,
უარს არაფერზე ვეუბნებოდი, ყველანაირად ვცდილობდი ხასი-
ათი შემეწყო. კახას დაბადების დღეზე ცალკე მდგომებს რომ შე-
ვუსწარი, საუბარი გაწყვიტეს და სხვა თემაზე გადაიტანეს, რაზე
ლაპარაკობდნენ? თეასთან რომ ვთქვი - მე ვერავინ შემაბამსო!
- მაგიტომ ხომ არ მომიგზავნა თავისი მეგობარი, რომ თავის სი-
მართლე დამიმტკიცოს? გოგას როგორ დაავალა? ალბათ დაენა-
ძლევა. კი, მასეა, ასპროცენტიანია, ჩემზე დანაძლევდნენ!

ტელეფონს გადაწვდა

- აღარასდროს შემხვდე!
- თიკა? რატომ, რა მოგივიდა ამ შუალამით?
- იცი შენ კარგად, ყველაფერს მივხვდი!

* * *

ფანჯარაზე მოხეთქებულმა წვიმის წვეთების ხმამ გააღვიძა.
ამინდი თითქოს იმეორებდა მის შინაგან მდგომარეობას. ეტყო-
ბა, ძილში იტირა, ცრემლებს ბალიში დაესველებინა. წამოჯდა,
ბალიში გადმოაბრუნა და ისევ მიწვა. ფიქრებში წავიდა. რა უნდა
იმ ბიჭისგან, რას ერჩის? რას ითხოვს მისგან, საწყალს თვალებში

უკვე სევდა უდგას. სადღაა ის ხალისიანი გოგა, დარდი რომ არ იცოდა, რა იყო. თეა მისი მხოლოდ მეგობარია, რა, გაებუტოს? საზიზლარი ხასიათი გაუხდა, ზოგჯერ, თვითონ არ იცის რაუნდა. ან, გუშინ რას ჰგავდა მისი საქციელი, შუალამისას რომ გადარია ალალ-მართალი კაცი. სულში საშინელი სიცარიელე იგრძნო, სიგიურემდე მოუნდა მისი ხმის გაგონება. ახლავე დაურეკავს და ბოდიშს მოუხდის. ტელეფონს გადაწვდა

- ალო, გოგა...
- გოგა აბაზანაშია, რა გადავცე?
- ...თეა?!



ვატაშინონჯანიდეს!

ვატაშივანიპონჯინდეს! - მე იაპონელი ვარ! - ამაყობს იაპონელი და არც კი იცის, რომ საქართველოში არის კუთხე - გურია, სადაც სოიოს იაპონიას ეძახიან და ყოველი ზაფხულის ბოლოს, გურულები იაპონიის ასაღებად მიდიან.

* * *

ქართველი მოჭიდავე შოთა ჩოჩიშვილი 22 წლის იყო, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ძიუდოს ოლიმპიურ ნაკრებში რომ გამოიძახეს, მაგრამ მალევე უარი უთხრეს, რადგან ძიუდოს ფედერაციამ უპირატესობა იმავე, 93 კგ წონით კატეგორიაში მოჭიდავე სოლოდუხინს მიანიჭა. შოთამ ვარჯიში აღარ გააგრძელა და საქართველოში დაბრუნებას პირებდა, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა, ვლადიმირ ანდრეევმა, რომელიც ჩოჩიშვილის შესაძლებლობებს სწორად აფასებდა, ჰკითხა - შესძლებო? - არ შეგარცხვენო! - უპასუხია შოთას. მწვრთნელი ხედავდა, რომ ქართველ ახალგაზრდაში მებრძოლი სული ბობოქრობდა და ტიტულოვან ფალავნებს ტოლს არ დაუდებდა, ამიტომ სთხოვა, ცოტა ხნით კიდევ დარჩენილიყო. თვითონ კი, ფედერაცია დაარწმუნა შოთას უპირატესობაში და ახალგაზრდა, გამოუცდელი და უვარჯიშებელი ქართველი ფალავანი, საკუთარი კარიერის რისკის ფასად, მიუნხენის ოლიმპიადაზე წაიყვანა.

* * *

ნიპონ ვა სეკაი დე იუიიტსუ სონზაიდეს! - იაპონია ერთადერთია მსოფლიოში! - ამბობს იაპონელი და არც კი იცის, რომ საქა-

რთველოში არის სოფელი ჯაპანა, და რომ იაპონელებს თუ ჰყავთ კინორეჟისორი აკირა კუროსავა, ქუთაისლებს ფოტოგრაფი ჰყავთ - აკიმა იოსავა.

* * *

ტატამის ერთ მხარეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი - ფუმიო სასახარა დგას. წინასწარ ულოცავენ გამარჯვებას. მისი ტიტულების ჩამონათვალიც კი საკმარისია, რომ მონინააღმდეგე ფსიქოლოგიურად განადგურდეს, მაგრამ ყველასთვის უცნობ 22 წლის ბიჭს თავი ღირსეულად უჭირავს. ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ჩემპიონმა ერთი ილეთი ჩაატარა და „ვაზარი“ აიღო. დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, მათი თვალები შესვდნენ ერთმანეთს. გამოცდილი სასახარა შეაცბუნა ახალგაზრდის შინაგანმა სულიერმა ძალამ, რომელსაც თვალებიდან ასხივებდა. წამით შედრკა და აი ისიც - შოთას საყვარელი ილეთი - კისრული. ჩემპიონმა ფეხებით ჰაერში წრე შემოხაზა და ბეჭებით ტატამზე დაენარცხა.

იმ ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილმა ოქროს მედალი აიღო.

ამბობენ, შერცხვენილ სასახარას გასახდელში მაშინ შეუსწრეს, თავის მოკვლას რომ აპირებდაო.

* * *

ძიოდო - ნიჰონ ნო რესურინგუ! - ძიუდო იაპონური ჭიდაობაა! - გვამცნობს იაპონელი და არც კი იცის, რომ თანამედროვე ძიუდოში ქართული ჭიდაობის ილეთებია შესული - კისრული, მოგვერდი, გარეკაური და შუაკაური.

* * *

1989 წელს, ჩემპიონმა წესების გარეშე ბრძოლაში - იაპონელმა ანტონიო ინოკიმ, მოკრივე მუჰამედ ალი და ძიუდოისტი შოთა ჩოჩიშვილი იაპონიაში მიიწვია. ინოკისა და მუჰამედ ალის შეხვე-

დრა უღიმლამო გამოდგა და ფრედ დამთავრდა. აი, შოთა ჩოჩიშვილმა კი, ინოკი ძირს დასცა და მტკივნეული იღეთი ჩაუტარა. სხვა დანებდებოდა, მაგრამ იაპონელმა გაუსაძლის ტკივილს გაუძლო და ასპარეზობა ამოვარდნილი მხრით გააგრძელა. შოთამ არ იკარდა, ცალხელა მეტოქეს ორი ხელით შებრძოლებოდა და თვითონაც ცალი ხელით გააგრძელა ბრძოლა. ბოლოს, კისრულით წამოიკიდა და ისე დაანარცხა, რომ იაპონელი ძლივს გამოიყვანეს ღრმა ნოკაუტიდან.

* * *

ვატაშინონამაევა შოთადეს! - მე შოთა მქვია! - გვეცნობა იაპონელი და იცის, რომ მას, და კიდევ, იმ პერიოდში დაბადებულ 10000-ზე მეტ იაპონელს, ძიუდოს ლეგენდის, ოლიმპიური ჩემპიონის - შოთა ჩოჩიშვილის სახელი ჰქვიათ.



ԺՇԽԾՈ

- Կամերուս ჩինանցերո ամոզուլու, յրտո լու նաե՞?!
 - Վա, մամեցած ծոփու առ արուս, րա յնդա ամ քրուս ցասաեցելո՞վ?
- մոռուց, պահանջականություն!

* * *

Րալապւ პերուոգու, սատամաժողեծու ուածրուցածու զմուշառծոծու գո-
րեյքորորու մոռագուլուց. գորեյքորոր յարենու արագյերո գայցի-
ծոծա, մեցնուցու կապու ույու - պալու թի մարդու դա տավթի ծերեցուու.
Ամուգոմ, յարեսանաս մե զեղելմծանցուուու. Պատարա յարեսանա ույու,
կլաստմասուս ჩիմուսասեմելու դանագարեծու դա ჩիմուսասեմելու
պալուծեծու ճասամիացեծելու մեյբանույրո սամյշրոտու. Տուլ, գո-
րեյքորորու ճանիպանուլու դա պարապուլու ճամտավրեծուլու, 50 կա-
պամձյ զոյնեծոծուու. Սատամաժողեծու ցարծա, ხանճախան, ուարտու
մոսմարեծու սացնեծս - ց.ն. „Շորքուուրեծսապւ“ - ծոտլուս ցասաես-
նելուծս, յուլուս մոսաեցոյեծս, սավարչուուլուծս, սասապնեյեծս դա զոն
մոստալուս, յուգու րաս զակըտեծուու. Ամաս մուշանելու եցազծա,
մագրամ մեյբագրոնեցեծտան առ ցածրեծուու, րագցան մուշեծսապւ
զամլուցուու „լուզու“ մեյբետեծու կրտեծուս սամյալուծաս.

Մամեցած ալուցու յարենու ճաարսեծուու նեյնյուլագ մուշառծոծա. ոյքորու ելու գյուղու կապու ույու, „լուզու“ մեյբետաս րոմ օմոզուու,
սեցուսիսցան ցանսեցացեծու, հիմտան մոռուունդա

- լուագոյան, „ზակածու“ մոզուցանց դա րա զենառ? Ռա տյմա յնդա,
զամլուցու մեյբետուս մեյսրուլուծուս սամյալուծաս. „լուզու ზակածու-
ունց“ ոյուլու րոմ առաջեծու, նաեւարու հիմտան մեյսրուունդա

- წესია ეგეთიო! - მე არ ვიღებდი. მადლობელი მრჩებოდა
- ამით, ჩემს ფეიზულას, შენს სახელზე რამეს ვუყიდიო!

* * *

- აბა, თავიდან დაიწყე!
- ხედავ, მიჩვეულია, პირდაპირ ვანოს კარადას მიადგა, იცის, რომ იმ დღეს შეკვეთიდან ფული აიღო.
- აუ, ვანო რას ჯაჯლანებდა?!

* * *

ერთხელ, კაბინეტში ვიჯექი, მამედამ თავი რომ შემოჰყო

- ლადოჯან, შეიძლება?
- შემოდი მამედ, დაჯექი! - სკამზე მივანიშნე. მორიდებით ჩამოჯდა.

- ლადოჯან, შეიძლება, ჩემი ბიჭი, ფეიზულა, სამსახურში გვერდში დავიყენო? არ მინდა ქუჩაში გავიდეს.
- რა შეუძლია?
- ხელფასი არ უნდა, ხელობა მინდა ვასწავლო.
- კარგი, მამედ, მოიყვანე!
- „სპასიბა“ ლადოჯან!

მეორე დღეს შვილთან ერთად მოვიდა. გვერდით დაიყენა. ფეიზულა ჭკვიანი ბიჭი გამოდგა - მამისგან ზეინკლობა ისწავლა, ზაურასგან მღარავობა და ტრისტანასგან - ხარატობა. ცოტა ხანში, ტრისტანა რომ პენსიაზე გავაცილეთ, ფეიზულა გავაფორმეთ ხარატად.

* * *

- გამორთე, საკმარისია, ეგ არის ქურდი!
- მამამისი რა პატიოსანი კაცი იყო, ეს ვინ გაუზრდია?!

* * *

მეპატრონებმა ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და ქარხნის გადასაიარაღებლად, ცოტა ფული გაიმეტეს. ოღონდ, იმ პირობით, რომ ახალ დანადგარებზე „ლევი“ შეკვეთები არ გაკეთდებოდა. ბოლო თაობის პროგრამული ჩარხები შევიძინეთ, ძველები კი, ვინც მათზე მუშაობდა, იმ ხელოსნებს მივყიდეთ იაფად, რომ თავიანთი შეკვეთების შესრულება შესძლებოდათ.

მამედამ და ფეიზულამ სახარატო ჩარხი შეისყიდეს. წასაღებად მანქანაზე რომ დებდნენ, ამწეს მძღოლმა, ეტყობა, ტროსები არასწორად ჩააბა, აწეული ჩარხი გვერდზე გადაწვა და მამედა ქვეშ მოიყოლა. ოჯახს ცოტა დავეხმარეთ და არ უჩივლია. დავმარხეთ მამედა, მის ადგილზე ჯაჯლანა ვანო მივიღეთ, მაგრამ სულ მამედას მივტიროდით.

* * *

- მე დავუყარაულდები და დავიჭერ!
- ოღონდ, არავინ გაიგოს, თორემ შეიძლება გააფრთხილონ!

* * *

- უჰ, შე შობელძაღლო! - ქეჩოში ვწვდი ფეიზულას.
- ვა, ლადო ძია?! - ცრემლიანი თვალები მომარიდა.
- სხვის კარადაში რას ეძებ? - მხრებში მოვკიდე ხელები და შევანჯლრიე.
- ვერ გეტყვი, მრცხვენია!
- ფულს იპარავ, შენი დედა, არა? - კბილებში მუშტი გავუქანე.
- არა, ლადო ძია, გეტყვი, ოღონდ არავის უთხრა! - სახელოთი მოიწმინდა გახეთქილი ტუჩიდან წამოსული სისხლი.
- მიდი, თქვი!
- იქ მამაჩემის სუნია, როცა მომენატრება ხოლმე, მოვდივარ და ვსუნამ! - თვალებში ჩავხედე, შევეჭვდი. კაბინეტში ავედი და ბოლომდე ვუყურე ჩანაწერს - ფეიზულამ კარადა მიკეტა და

გამოვიდა. ცოტა ხანში, გასახდელში მხეხავი ელდარა შევიდა, კარადებს ჩამოუარა და ყველას ამოუსუფთავა ჯიბები.

მექანიკურ საამქროში ჩავედი ფეიზულასთვის ბოდიშის მოსახდელად, მაგრამ მის სამუშაო ადგილზე განცხადება დამხვდა სამსახურიდან განთავისუფლებაზე.



განაცვალა

- ბიძია, ბიძია, შენი ლამაზი თვალების ჭირიმე, დამეხმარე ბიძია, რაა! - დარბის შუქნიშანზე გაჩერებულ მანქანებს შორის და გაშვერილი მარჯვენა მძღოლის სახესთან მიაქვს, ან ანეულ შუშაზე გამეტებით უბრახუნებს მუშტს. მარცხენაში კი, მანქანაზე გასასმელად, დიდი ლურსმანი აქვს მომარჯვებული. მძღოლებიც, ზოგი სიბრალულით, ზოგიც ლურსმნის შიშით, უდებენ ხურდას გაშვერილ ხელში.

- რა „უმოტი“ ხარ ბიძია, შენი დედა! - ამკობს, ვინც სახეს მოარიდებს და თავს გვერდზე მიატრილებს.

* * *

და-ძმა, თოკო და კესო, როგორც ყველა მანანწალა ბავშვი, ისინიც, ან დედინაცვალმა, ან მამინაცვალმა, ან, სულაც, საკუთარმა მშობლებმა გამოყარეს სამათხოვროდ. შესაძლოა, მშობლები დაეხოცათ, ან, იქნებ, გაუსაძლისი პირობებისა და ჩაგვრის გამო, თვითონ გამოიქცნენ სახლიდან, არავინ იცის, მთავარია, რომ დღისით მათხოვრობდნენ ან ბაზარში ქურდბაცაცობდნენ, დამით კი, სხვა უსახლკარო ბავშვებთან ერთად, თბილისის ცენტრში, ერთ-ერთ დაუმთავრებელ შენობას აფარებდნენ თავს.

კესო 13 წლის იყო, მაგრამ სიმაღლისა და სავსე მკერდის გამო, უფრო მეტისა გეგონებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ მოუვლელი იყო და თმა, სულ ცოტა, ერთი თვის დასავარცხნი ჰქონდა, მაინც მოგხიბლავდათ მისი სახის თვითნაბადი სილამაზე, ბუნებრივი მანერები და ვულგარულ სიტყვა-პასუხთან შეუსაბამო ფაქიზი მზრუნველობა უმცროსი ძმის - 8 წლის თოკოს მიმართ.

კესო „ვეფხი და მოყმის“ ძეგლთან, სანაპიროდან ამოსასვლელ ქუჩაზე, შუქნიშანთან დარბოლა მანქანებს შორის. მისი მიმართვა

- რა არის, ბიჭო, ხურდა ფული გენანება ახალგაზრდა გოგოსთვისო?! - მძღოლებზე, და განსაკუთრებით, ახალგაზრდა ბიჭებზე, მომნუსხველად მოქმედებდა და ჯიბიდან ამოფხეკილი ხურდა ფულით უვსებდნენ პეშვს.

იმავე მოედანზე, მარშალ გელოვანის ქუჩის მხრიდან, შუქნიშანთან, დიდი, იატაკის ლურსმნით ხელში, მანქანებს შორის მორბენალი, დის გემოვნებით აჭრილი ყვითელი თმით, თეთრი, ოვალური სახით, სწორი, ლამაზი ცხვირით, დიდრონი ლურჯი თვალებით, წითელი ტუჩებით, დაკონკილ ტანსაცამელში გამოწყობილი თოკო, მათხოვრის როლის შემსრულებელ ჰოლივუდის მსახიობ ბავშვს უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე თბილისელ მანანნალას.

* * *

შენობის მეორე სართულის, სიგარეტის ბოლით და აცეტონის ორთქლით გაჯერებულ ერთ დიდ ოთახში, რომელსაც, კარის მაგივრად, დაფლეთილი მატერია პერნდა დაკიდებული და ფანჯრების ადგილზე მუყაოები მიკრული, მიყრილ-მოყრილ ძონძებსა და ცელოფნის პარკებს შორის, ბეტონის იატაკზე ეყარნენ 6-დან 16 წლამდე ასაკის, ორმოციონდე ბავშვი. ღამის სიჩუმიდან შესულის ყურს ხვდებოდა ხვრინვის, ფშვინვის, კრუსუნის და, ზოგჯერ, ტირილის ხმები. შიგადაშიგ, სიცივისგან აკანკალებულებს ეღვიძებოდათ, წამოდგებოდნენ, ოთახის კუთხესთან მივიდოდნენ, ჩაჯდებოდნენ, წებოიან ცელოფნის პარკში სახეს ჩაჰელდნენ, აცეტონის ორთქლს რამდენჯერმე შეისუნთქავდნენ და ბარბაცით ბრუნდებოდნენ თავის ადგილას.

დილით, გარიურაუზე, მანანნალათა ბუნაგი სახეს იცვლიდა და აფუთფუთებულ ჭიანჭველების ბუდეს ემსგავსებოდა. ბავშვები ირაზმებოდნენ სხვადასხვა ადგილებზე სამათხოვროდ

გასასვლელად. ძველებს უკვე წინასწარ ჰქონდათ ადგილები შერჩეული. აი, ახლებს კი, ძალის გამოყენებით უხდებოდათ ბრძოლა მუდმივი ადგილის მოსაპოვებლად. ამიტომ, როგორც წესი, ყოველი დილა ყვირილით, გინებით და მუშტი-კრივით იწყებოდა. შუადღით კი, ბუნაგში ვერავის ნახავდი, დასისხლიანებული და ასლუკუნებული რამდენიმე ბავშვის გარდა.

თავიდან, კესოს და თოკოს უფროსები ჩაგრავდნენ და არც სქესობრივი ძალადობა იყო იშვიათი მათზე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ვეფხია გამოჩნდა, კესო თავის გოგოდ გამოაცხადა და ერთი-ორს ცხვირ-პირი დაუნაყა, და-ძმამ საუკეთესო ადგილი „გაი-თრია“ და ჩაგრულებიდან მჩაგვრელებში გადაინაცვლა.

* * *

ვეფხია უკვე იმ ასაკში იყო, როცა ერთფეროვანი ცხოვრება მობეზრებული აქვთ და თავგადასავლებს ეძებენ. ჯერ ჯიბის ქურდობით დაინყო, მერე, ბინების გატეხვაზე გადავიდა, თუმცა, ღამეს ისევ ბუნაგში ათევდა, რადგან კესო იქ ეგულებოდა და მანანალების მეთაურობაც არ ეთმობოდა. ღამით, როცა თოკო დაიძინებდა, ის და კესო საქმეზე გადიოდნენ, დილით ბრუნდებოდნენ და მერე, მთელი დღე ეძინათ. ბოლო დროს, სამათხოვროდ, მარტო თოკო გადიოდა.

ერთ საღამოს, ბუნაგში დაბრუნებულს, სახლის წინ პოლიციის მანქანები დახვდა. სახლში არ შევიდა, ბუჩქებში ჩაიმალა და დაელოდა, რა მოხდებოდა. ცოტა ხანში, პოლიციელებმა, ხელებგადაგრეხილი ვეფხია და კესო გამოიყვანეს, ძალით ჩასვეს პოლიციის მანქანაში და სადღაც წაიყვანეს. გვიან გაიგო, რომ ორივე ქურდობაზე იყვნენ დაკავებულები.

მეორე დღეს, ნაცემი და დასისხლიანებული თოკო ბუნაგში იჯდა და სლუკუნებდა. ასე გაგრძელდა კიდევ ორი დღე. არ აპატიეს ვეფხიას მფარველობის ქვეშ ყოფნა, ლუკმა არავინ გაუყო. მეოთხე დღეს, შიმშილმა ქალაქში გაიყვანა.

* * *

- დე, ვიღაც ბავშვია, პურს ითხოვსო!
- დაგლეჯილი ტანსაცმელი აცვია და ტირისო! - ტყიპინით ერთმანეთს ასწრებდნენ მოყოლას ეზოდან სახლში შევარდნილი ტყუპები - თაკო და მაკო. ქალი თვითონ გავიდა ეზოში, ტყუპებიც უკან მიჰყვნენ. ბიჭს ხელი მოჰკიდა და სახლში შეიყვანა.
- რა გქვია გენაცვალე!
- თოკო! - სლუკუნით უპასუხა ბავშვმა. სამზარეულოში შეიყვანა, საჭმელი გადმოუღო, აჭამა.
- შენი მშობლები სად არიან?
- მე უპატრონო ვარ!
- სად ცხოვრობ?
- ქუჩაში!
- რამდენი წლის ხარ?
- 8-ს!
- ნოდარ, მე ვარ, თეონა. სახლში რომ წამოხვალ, 8 წლის ბიჭის ტანსაცმელი იყიდე და წამოიღე, მერე აგიხსნი! - სამსახურში დაურევა ქმარს. იმ ღამით, თოკო სახლში დატოვეს და მერე, სულ დაიტოვეს. ნოდარი მიდგა-მოდგა, ნაცნობ-მეგობრები შეაწუხა, საქმე ჩააწყო და სასამართლომ, სრულწლოვანებამდე, თოკოზე მეურვეობა მას დააკისრა. სექტემბერში, სკოლაში შეიყვანეს. თოკო ნიჭიერი ბიჭი გამოდგა, სწავლა არ გასჭირვებია. ოჯახური სითბო და სიყვარული იგრძნო, თეონა და ნოდარი დედ-მამად მიიღო, ტყუპები დებივით შეიყვარა, მეგობრები გარს ეხვეოდნენ, დრო გადიოდა, თოკო - ბატონი თორნიკე გახდა, თითქოს ძველი მოგონებები დავიწყებას უნდა მისცემოდა, მაგრამ ყვითელი თმით, დასისხლიანებული სახით, ჩალურჯებული თვალით, გახეთქილი ტუჩით, დაკონკილ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა მაწანწალა, ყოველდამ საწოლში აკითხვდა და მისი დანახვისას მოწოლილ ფიქრზე
- ამ საზოგადოებას, მაინც მაწანწალად მივაჩნივარ, ისევ

ქუჩაში გავალ, ჩემი ადგილი იქ არისო! - თანხმობის ნიშნად, თავს უკანტურებდა.

* * *

დილის თათბირი საკმაოდ გაუგრძელდა. ეკონომიკის სამინისტროში იყო წასასვლელი, ახალი ბიზნეს-პროექტის შესათანხმებლად. წამოდგა, ჭიქაში დარჩენილი ჩაი მოსვა და კაბინეტიდან გავიდა.

- დღეს აღარ დავბრუნდებიო! - მიაძახა მდივანს.
- თოკო! - მოესმა ქალის ხმა.
- ალბათ მომეჩვენაო! - ყურადღება არ მიაქცია. მოქაჩვა იგრძნო, გვერდით პატარა მაწანწალა ამოსდგომოდა და პერანგზე ექაჩებოდა. გაუკვირდა, აქამდე, მხოლოდ ღამ-ღამობით მოდიოდა, ახლა დღისითაც გამოეცხადა. გაჩერდა. მიტრიალდა. მისკენ ხელებგაშლილი ქალი მოდიოდა. ნაბიჯი უკან გადადგა, სახეზე დააკვირდა
- კესო! - დაიყვირა და დას გადაეხვია. თანამშრომლები გაკვირვებისგან პირდაღებულები შეჰყურებდნენ, როგორ ტიროდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს. პატარა მაწანწალა კი, გაღიმებული, სიხარულისგან მაღაყებს გადადიოდა.

* * *

დას ქალაქის ცენტრში უყიდა ბინა, სიძეს თვისი მსუბუქი ავტომობილი გადაულოცა. დის ოჯახისთვის, შემოსავლის წყაროდ, ორი სამარშრუტო ტაქსი შეიძინა, თბილისი-რუსთავის ხაზზე სამუშაოდ. მაგრამ, ერთ თვეში ავტომობილიც გაყიდეს, სამარშრუტო ტაქსებიც, ბინაც ზედ მიაყოლეს, ნაქირავებში გადავიდნენ და ფულის სათხოვნელად, ისევ თორნიკეს მიადგნენ. ყოველდღიურად იზრდებოდა დის და სიძის მადა,

- ამათ მოთხოვნილებებს მე ვერ დავაკმაყოფილებ, კიდევ რომ მოვლენ ფულის სათხოვნელად, უარს ვეტყვიო! - ყოველდღე იქადნებოდა თორნიკე, მაგრამ

- ჩემი დაა, ჩემზე როგორ ზრუნავდაო?! - ახსენდებოდა პატარა მანანწალას დანახვისას, რომელიც, დის გამოჩენის შემდეგ, დღედალამ გვერდიდან არ სცილდებოდა.

- 10 000 დოლარი გვაქვს ორ დღეში ჩასატანი, ფული გვჭირდება! - მიადგა ცოლ-ქმარი თორნიკეს.

- მაგდენი ფული არ მაქვს, 2 000 დოლარი შემიძლია მოგცეთ!

- უპასუხა თორნიკემ. პატარა მანანწალა უხერხულად აწრიალდა
- ბარათზე 1 000 დოლარიც მაქვს, იმასაც მოგცემთ!

- დანარჩენი შენს მამობილს გამოართვი! - მოსთხოვა ვეფხიამ.

- მაგას სიკვდილი მირჩევნია, შემიფარეს, გამზარდეს, კაცად მაქციეს, ვერ ვთხოვ! - პატარა მანანწალა კი, გვერდით მისჯდომოდა და დამამუნათებელი თვალებით შესცეკეროდა.

- კარგი, ჩვენ წავედით! - თქვა ვეფხიამ ნაწყენი ტონით. ის და კესო წამოდგნენ და გავიდნენ. დაინახა თორნიკემ, როგორ ამოაცალა ვეფხიამ ბინიდან გასვლისას, შემოსასვლელში დაკიდებული ლაბადის ჯიბიდან გასაღებების ასხმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გამეხებული სახით იჯდა. გაღიმებული პატარა მანანწალა კი, სიხარულისგან ცმუკავდა.

* * *

იმ ღამით, ვეფხია და კესო, წინასწარ გაფრთხილებულმა პოლიციამ მაშინ აიყვანა, თორნიკეს დედობილ-მამობილის ბინიდან დატვირთულები რომ გამოდიოდნენ. იმ დღიდან, პატარა მანანწალა აღარ გამოჩენილა.



პეთილის მყოფები

დაბადებიდან დამყვა ერთგულება - თუ შევიყვარებ, მთელი არსებით მიყვარს. მასზე ვზრუნავ, ცივ ნიავს არ ვაკარებ. ვცდილობ, ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ ის იყოს კარგად.

* * *

ალტრუიზმი - ზნეობრივი პრინციპია, რაც ნიშნავს საკუთარი ინტერესების სანაცვლოდ, სხვებისადმი უანგარო დახმარებას.

* * *

საბავშვო ბაღში, ბელა ალმზრდელი შემიყვარდა. დედაჩემი-ვით მიყვარდა. სულ უკან დავდევდი. სხვა ბავშვს ყურადღებას რომ მიაქცევდა, ვეჭვიანობდი. მინდოდა, ის ბავშვი გამევლიჯა. ალმზრდელსაც ვუყვარდი - მეფერებოდა და „შვილოს“ მეძახდა.

ერთხელ, შუადღის ძილის დროს, ერთმა ბავშვმა, შალვა ერქვა, დაძინებაზე უარი თქვა. ძირს დაეცა, მოჰყვა ტირილს, ხელფეხის ქნევას და თავის იატაკზე რახუნს. ალმზრდელი ვერაფერს გახდა, ბავშვი ვერ დააწყნარა და თვითონაც ტირილი დაიწყო - ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე. ამას ვერ ვაპატიებდი! ლოგინიდან წამოვხტი, შალვას ვეცი და მხარზე ვუკბინე. სისხლი წამოუვიდა. საცვალი წითლად შეეღება. ძლივს ამაგლიჯეს. საღამოს მშობელი მოვარდა, ალმზრდელ-მასწავლებლები იმდენი ლანდა, კედელთან ააყუდა. მეორე დღეს, ბელა მასწავლებლმა

- შენ ვინ გეკითხებოდა ჩემს დახმარებასო?! - კუთხეში დამაყენა და იმ დღის მერე ხმას აღარ მცემდა, გამებუტა. გული მომიკვდა, ძალიან განვიცადე. მე ხომ მისთვის კარგი მინდოდა?!

* * *

ალტრუიზმს განიხილავენ, როგორც მნიშვნელოვან ძალას, რომელიც ადამიანს საზოგადოებრივად სასიკეთო ქმედებები-საკენ უბიძგებს.

* * *

მე და ვახო კლასში ერთ მერხზე ვისხედით და უახლოესი მეგობრები ვიყავით. ძმასავით მიყვარდა. ვახოს დედა - ნანა მასწავლებელი, ქართულ ენას და ლიტერატურას გვასწავლიდა. ერთხელ, ვახოს სიგარეტის სუნი შევამჩნიე. უარი არ უთქვამს - ვენევი! - გამენდო. შევფიქრიანდი - რას იტყოდა ნანა მასწავლებელი, როცა გაიგებდა, რომ ვიცოდი, მისი შვილი - ჩემი საუკეთესო მეგობარი, ფილტვებს რომ ინახშირებდა და არ ვეუბნებოდი. დედაჩემი კი, რომ გაიგებდა, მნეველთან ვმეგობრობდი, აუცილებლად დამიშლდა მასთან ურთიერთობას. მივედი და ვახოს მოწევაზე თავის დანებება მოვთხოვე.

- შენ ჩემი სიგარეტი რას გიშლისო?! - გაკვირვებულმა შემომხედა. ვერ ავიტანდი საყვარელი მეგობრის ფილტვების დაავადებას. მივედი და დედამისს ვუთხარი. მეორე დღეს, ვახომ ხმა არ გამცა და სხვა მერხზე გადაჯდა. ნანა მასწავლებელმა კი, მთელი კლასის წინაშე ამაყენა და

- მეგობრის დაბეზღება ცუდი საქციელიაო! - მისაყვედურა. ძალიან განვიცადე. მე ხომ მისთვის კარგი მინდოდა?!

* * *

ფსიქოლოგიაში ხშირად ვხვდებით რეციპროკული ალტრუიზმის ცნებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი ადამიანი ეხმარება მეორეს, რადგან საჭიროების შემთხვევაში მისი მხრიდანაც მოელის ალტრუისტული მოქმედების განხორციელებას.

* * *

ინსტიტუტში ზურასთან ვმეგობრობდი. ერთ კურსზე ვსწავლობდით, ერთ ჯგუფში. სწავლის პერიოდში ხომ სულ ერთად ვიყავით, არდადეგებზეც ერთად მივდიოდით დასასვენებლად. მახსოვს, მასალათა გამძლეობაში გვქონდა ჯერ ჩათვლა, მერე გამოცდა. მეტორი ლექტორი გვყვდა, თუ არ იცოდი, ნიშანს არ გაღირსებდა. ზურა ნერვიულობდა - საგანი არ ვიცი და რომც ვიმეცადინო, თავში არ ჩამდისო! ჩათვლის დღეს ავად გახდა, ინსტიტუტში არ მოვიდა. ლექტორი წელში მოხრილი კაცი იყო, თავს მაღლა ვერ სწევდა. რომ გველაპარაკეოდა, ფეხსაცმელებზე გვიყურებდა. ვერ ავიტანდი ზურას კურსზე დატოვებას. მე საგანი კარგად ვიცოდი. ავდექი და, მის მაგივრადაც გავედი ჩათვლაზე. ლექტორი ვერაფერს მიხვდა, ჩემიც ჩავთვალე და ზურასიც. მეგონა, სამაგიეროდ ზურა გავიდოდა ჩემს მაგივრად ქიმიაში. მეორე დღეს, ბზიკივით დამეტაკა

- ვინ გეკითხებოდა ჩემს მაგივრად გასვლას, მე სხვა ლექტორთან ჩავაწყე, პოლიკლინიკიდან ავადმყოფობის ცნობა ვიჩალიჩე, რომ მოგვიანებით მასთან გავსულიყავი. შენ კი, ყველაფერი ჩამიშალეო! - შებრუნდა, წავიდა და პირდალებული დამტოვა. მე ხომ მისთვის კარგი მინდოდა?!

* * *

ალტრუისტები ხშირად საფრთხეში იგდებენ თავს და სხვა ადამიანების კეთილდღეობას, ზოგჯერ, მსხვერპლადაც კი ეწირებიან.

* * *

განყოფილებაში, პოლიტექნიკურიდან ოთხი ბიჭი ვმუშაობდით - სამი ენერგეტიკოსი და მე - მანქანათმშენებელი. მათში, ყველაზე ახლოს კობასთან ვიყავი, მაგრად ვძმაკაცობდით. ახალი წელი დგებოდა და ყველას ფულადი პრემიები დაგვირიგეს.

მარტო კობას არ მისცეს

- შენ გაცდენები გაქვსო! კობა ძალიან გაბრაზდა
- სულაც, წავალ სამსახურიდანო! - გამოაცხადა და მეორე დღეს არ მოვიდა. ვერ ავიტანდი კობას წასვლას. განყოფილების უფროსთან შევედი და ვუთხარი
- კობა წაწყენია, პრემია რომ არ გამოუწერეთ და ამიტომ აცდენს. აი, ჩემი პრემია და მას მიეცით-მეთქი! - ფული მაგიდაზე დავუდე. მეორე დღეს კობა სამსახურში რომ მოვიდა, განყოფილების უფროსმა დაიბარა
- შენ რა პრეტენზიებს გამოთქვამ, თუ წასვლა გინდა, დაწერე განცხადება და წადიო! კობა სამსახურიდან ისე წავიდა, არც გამომემშვიდობა. სახტად დავრჩი. კობას გაგდება მე დამაბრალეს. მთელი განყოფილება მიბლვერდა. განცხადება დავწერე და სამსახურიდან წამოვედი, თუმცა, მე ხომ მისთვის კარგი მინდოდა?!

* * *

გუშინ მარისთან ერთად რუსთაველზე ვსეირნობდით. ლევანი შემხვდა, ჩემი ბავშვობის ძმაკაცი.

- ჩემი საცოლეა-მეთქი! - გავაცანი. გვერდზე გამიყვანა
- ბიჭო, არ გაგიჟდე, ცოლად არ მოიყვანო, მთელმა სოლოლაკ-მა მაგაზე „ისნავლა“. ძმაკაცი რომ არ იყო, არ გეტყოდიო!

გამომივიდა კეთილისმყოფელი. ვითომ, ჩემთვის კარგი უნდა! რა მაგის საქმეა ჩემს პირად ცხოვრებაში ცხვირს რომ ჰყოფს? ჭკუა უნდა ვასწავლო, ერთი კარგად მივჟეჟო!



მაშო პეტო

- წუხელ, ჩემი იასონი იყო ჩემთან, ომიდან დაბრუნდა, თქვენ არ გინახავთ? ალბათ, არ შეგაწუხათ, ხომ იცით, როგორი მორიდებულია.

* * *

მაშო ბებო ახალგაზრდობაში ლამაზი და ჭკვიანი ქალი ყო-
ფილა, სოფლის ბიჭებს მასზე ეჭირათ თვალი, მაგრამ მაშომ ია-
სონი აირჩია, ცოლად გაჰყვა და სოფლის განაპირას, ქმრის პა-
ტარა, შუშაბანდიან სახლში გადასახლდა.

მაშოს და იასონს ქალ-ვაჟი შეეძინათ. ქმარი კოლმეურნეო-
ბაში მუშაობდა, ცოლი ბავშვებს უვლიდა. პატარა მიწის ნაკვეთი
ჰქონდათ, იმას ამუშავებდნენ და წლიდან წლამდე თავი გაჰქონ-
დათ. ბედნიერები იყვნენ, მაგრამ დაიწყო ომი და იასონი ომში
გაიწვიეს. ერთი წელი წერილები მოდიოდა, მერე შეწყდა. არც და-
ღუპვის ცნობა მოსულა. იასონი ომში დაკარგულად გამოცხად-
და, მაგრამ მაშოს შავები არ ჩაუცვამს, სჯეროდა, რომ ქმარი
აუცილებლად დაბრუნდებოდა.

* * *

- ლამღამობით მოდის ჩემთან. მეშინია, ომიდან გამოქცეული
ხომ არ არის, ისე მოიპარება ხოლმე. ფანჯრიდან გადმოდის, რომ
არავინ გააღვიძოს.

* * *

გავიდა წლები, დაიზარდნენ შვილები, დაოჯახდნენ, ქალაქში

გადასახლდნენ. მერე შვილიშვილები, ისინიც დაიზარდნენ. ათას-ში ერთხელ თუ ჩამოდიოდნენ სოფელში. დაბერდა მაშო, სულ გამოყრუვდა. ამ ბოლო დროს, მოჩვენებები დაეწყო - თითქოს ქმარი ომიდან დეზერტირად იყო გამოქცეული და ღამლამობით მასთან მოდიოდა. მთელი სოფელი მაშო ბებოზე იცინოდა. შვილებს სოფელში გამოჩენისა რცხვენოდათ, დედამისს არწმუნებდნენ - მამაჩვენი ომში დაიღუპაო, მაგრამ ის თავისას გაიძახოდა - ღამლამობით ჩემთან მოდისო!

* * *

- ცოლი ვარ, აბა ვისთან დაწვება?! მთელი ღამე ჩემთანაა და დილით, გამთენისას მიდის. აბა, რას მეკითხებით, ყველაფერში ვაჟკაცია!

* * *

ამ გაზაფხულზე, მაშო ბებო ფილტვების ანთებით გახდა ავად, შუშაბანდში დაუძინია და ფანჯარა დარჩენია ღია. ქალიშვილმა ჩააკითხა მოსავლელად. მოხუცი თბილად რომ ყოფილიყო, ოთახში გადააწვინა, თვითონ კი, შუშაბანდში, დედამისის საწოლში დაიძინა. ძილში, ვიღაცამ ყურში ჩასჩურჩულა

- მაშო, შენი ქმარი ვარ იასონი, მოდი ჩემთანო! - შეშინებული წამოვარდა. გვერდით ახალგაზრდა, შიშველი მამაკაცი ეწვა. კივილი მორთო. მამაკაცი წამოხტა, დაავლო ხელი იატაკზე დაყრილ ტანსაცმელს და ფანჯრიდან გადახტა, თუმცა, სიჩქარეში ცალი ფეხსაცმელი დარჩა, რითაც პოლიციამ ადვილად მიაგნო მეზობელს - ახალგაზრდა, უცოლო კაცს. დაიჭირეს და ოთხი წელი მიუსავეს.

* * *

- ჩემი იასონი აღარ მოდის, წამდვილად, ომში მოკლესო! - მაშო ბებომ შავები ჩაიცვა და დარდისგან, ორ თვეში გარდაიცვალა.

პაციანტი

- ნეტავ, როდესმე მელირსება, ფეხით რომ აღარ ვივლიო?
- ეკითხებოდა თავის თავს ზაზა. ღამით, სიზმარში, გადაჯდებოდა ველოსიპედს და ქალაქის ქუჩებში დანავარდობდა. ფულის შეგროვება დაიწყო. სკოლის ბუფეტში ფულს ზოგავდა და ყოველდღიურად, ოც კაპიკს ყულაპაში ინახავდა. ორი თვის თავზე ყულაპა რომ გახსნა, იმ ფულით, ბაზრობაზე, მხოლოდ ველოსიპედის უკანა ამრეკლი მოუვიდა. ხუთი წლის ნაგროვები მარკების კოლექცია უბნელ ბიჭს გაუცვალა უკანა ხედვის სარკეში, ველოსიპედის დასაშლელი „სპეც-კლუჩი“ კი, ქუჩაში იპოვა. უკვე ყველაფერი ჰქონდა, ველოსიპედის გარდა. აი, ველოსიპედს კი, მამამისი არ ყიდულობდა სრულიად გასაგები მიზეზით

- ქუჩაში გახვალ და მანქანა დაგეჯახებაო! - ზაზა იფიცებოდა
- დედა მომიკვდეს, თუ ქუჩაში გავიდე, ეზოში დავარტყამ წრეებსო! - გულში კი ფიქრობდა

- თქვენ ველსიპედი მიყიდეთ და სახლში რა შემომიყვანსო?!
იმ ზაფხულს, სოფელში, სახლის გადახურვა გადაწყვიტეს. მუშებმა სახურავიდან კრამიტები მოხსნეს და ეზოში გადმოყარეს. ბავშვები დამტვრეულ კრამიტებს რომ აგროვებდნენ, სახურავზე, ალბათ, ვიღაც ბუხრის მილს გაედო, აგური გადმოვარდა და სახურავიდან დაგორებული, პირდაპირ ზაზას დაეცა თავში. გონდაკარგული, რაიონის საავადმყოფოში გააქანეს. სანამ გონზე მოვიდოდა, ბავშვს სულ ველოსიპედს აბოდებდა. ოღონდ გადარჩესო და მამამისმა პირდაპირ საავადმყოფოს პალატაში მიუყვანა ახალთახალი „სპუტნიკი“.

ველოსიპედით ვაჟა-ფშაველას გამზირზე გადადიოდა, მან-

ქანა რომ დაეჯახა. ავტობუსმა გაატარა, მაგრამ ავტობუსის გვერდით მიმავალმა მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა ვერ დაინახა. შეჯახებისას დარტყმის ძალამ ზაზა ზევით აისროლა და ჩამოვარდნილი, წელით ბორდიურს დაეცა. საავადმყოფოში მიიყვანეს, ოპერაცია გაუკეთეს, დამსხვრეული მალა ხელოვნურით შეუცვალეს, მაგრამ ზურგის ტვინი ისე იყო დაზიანებული, რომ სიარული ვეღარ შეძლო, ეტლს მიეჯაჭვა.

- ნეტავ, როდესმე მელირსება ფეხით სიარულიო? - ეკითხებოდა თავის თავს ზაზა.

სკოლა დაამთავრა, უმაღლესიც. შეეჩინა ეტლით გადაადგილებას. მითუმეტეს, ამ ბოლო დროს, რაც პანდუსები დააყენეს, ისე აღარ ეხამუშებოდა სახლიდან გამოსვლა, როგორც ადრე. მონაცემები გაგზვნა ბანკის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიაზე. დაუკავშირდნენ და სამი-ოთხი გასაუბრების შემდეგ, ოპერატორად მიიღეს. საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდა, სამსახურში თავს კარგად გრძნობდა, გულმოდგინედ მუშაობდა. თანამშრომლებს უყვარდათ და პატივს სცემდნენ. ცოტა ხანში, საკრედიტო განყოფილებაში გადაიყვანეს კრედიტ-ოფიცერად და მოზრდილი პორტფელიც ჩააბარეს. ცხოვრება დაალაგა: - დილით, ადრე დგებოდა, მოწესრიგდებოდა, ისაუზმებდა და კორპუსის წინ ტაქსის დაელოდებოდა. ცხრა საათზე, ნაცნობი ტაქსი მოდიოდა და ათის ნახევარზე უკვე სამსახურში იყო. საღამოს, იგივე ტაქსი გამოუვლიდა და სახლში მიჰყავდა. ივახშმებდა, ცოტას დაისვენებდა, ტელევიზორში ახალ ამბეჭს უყურებდა, შემდეგ, კომპიუტერს მიუჯდებოდა და იწყებოდა მისი მეორე ცხოვრება - სოციალური ქსელი „ფეისბუკი“.

- თეა, როგორ ხარ?,

- მაკო სად დაიკარგე?,

- ვა, მარი, მშვიდობა შენს გამოჩენას!,

თიკა, ხატია, ლიკა, ნინო, ქეთი, ანი... მაგრამ თუ თაკო იყო ქსელში, ყველა ავიწყდებოდა, რადგან ყველაზე მეტად მასთან

მოსწონდა ურთიერთობა. თითქოს სულმა სული იცნოო, ისიც ზაზასავით თბილი, მგრძნობიარე, სევდიანი და ამასთან ერთად, ძალიან განათლებული იყო. საათობით შეეძლოთ, სხვადასხვა თემებზე ესაუბრათ. ყოველ საღამოს, ისე მოიკითხავდნენ ერთმანეთს, თითქოს საუკუნეა არ უსაუბრიათო. „ფეისბუკელ“ მეგობრებს ზაზა არ უმხელდა თავის მდგომარებას, არც თაკოს გაუმხილა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს ადრე თუ გვიან მოხდებოდა, რადგან თაკო, ყოველდღიურად, უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა მის გონებაში და მთლიანად იპყრობდა. არც გოგონა უნდა ყოფილიყო გულგრილი, რადგან ბოლო დროს, ისეთ თემებზე საუბრისას, როგორიცაა: სიყვარული, შეუდლება, ოჯახი, მის პასუხებში დაბნეულობამ და „გულებმა“ იმატა.

რა არის ეს სოციალური ქსელი, აქ ყველაფერი უფრო იოლადაა, ვიდრე ცხოვრებაში. ყოველგვარი მორიდებისა და კომპლექსების გარეშე შეგიძლია გაცნობა, დამეგობრება, ჩხუბი, შერიგება და შეყვარებაც კი. სიყვარულის ახსნაც, ასე რომ გვიძნელდება ცხოვრებაში, „ფეისბუკში“, სამი გულის გაგზავნით შეგიძლია გადაწყვიტო. ასე გადაწყვიტეს ეს პრობლემა ზაზამ და თაკომაც. ჩართეს კამერები და „მესინჯერში“, საათობით, შორიდან ეალერსებოდნენ ერთმანეთს.

ზაზა ყველანაირად წელავდა, მაგრამ დადგა დრო მათი გაცნობისა. „ალექსანდროვის ბალში“, შესასვლელიდან პირველივე სკამთან დათქვეს შეხვედრა. ზაზას ტაქსიდან ეტლში გადაჯდომაში მძღოლი დაეხმარა. საჩქაროდ შეაგორა ეტლი ბალში.

- მივა, იმ სკამთან გაჩერდება და დაელოდება. ალბათ, თაკო შორიდან დაინახავს და ყველაფერს მიხვდება, მოვა და გაეცნობა, ან არ შეჩერდება და ჩაივლის. ყოველ შემთხვევაში, გოგონას ექნება დრო იმისთვის, რომ მოიფიქროს, როგორ მოიქცეს. დაე, თაკომ თვითონ გადაწყვიტოს მათი მომავალი. - ფიქრებიდან გამოერკვა, თავი ასწია. სკამზე თაკო იჯდა, სახეზე დაძაბული ღიმილი დასთამაშებდა. ბალში შემოსულებს აკვირდებოდა და

თვალს აყოლებდა. რა ლამაზი იყო, ნატიფი, სრულყოფილი ქმნილება. ეკრანზე ასეთი არ იყო, ცხოვრებაში უკეთესი ყოფილა. არ ელოდა, დაიბნა, სწრაფად მიატრიალა ეტლი და მარჯვნივ გაგორდა, ხეებს მოეფარა. აქედან შეუძლია თვალი ისე ადევნოს, რომ გოგონამ ვერ შეამჩნიოს. ცოტას მოისვენებს, აჩქარებულ გულს დაიოკებს, გეგმას დაალაგებს და ისე მივა. სულ მცირე, ერთი საათი ინვალა.

მორჩა, დაწყნარდა. მივა და გამოეცხადება, მაგრამ რა რეაქცია ექნება თაკოს? კარგად აღზრდილი გოგოა, ალბათ, არ შეიმჩნევს, მაგრამ სახეზე სიბრალული ნამდვილად დაეწერება. აი, ამას კი ვერ აიტანს, შემოტრიალდება და წამოვა. რას არ მისცემს, რომ ფეხით მისვლა შეძლოს. იქნებ, საერთოდ არ მივიდეს? ან რას ელოდება აქედან? - არაფერს, მხოლოდ გულისტკივილს. მისი და თაკოს შემდგომი ურთიერთობა ხომ სიბრალულზე იქნება აგებული? კიდევ ერთი საათი გავიდა, კიდევ ერთი. არა, არ ღირს მისვლა, საღამოს „მესინჯერში“ აუხსნის ყველაფერს - ასე უფრო იოლი იქნება! სამალავიდან გამოვიდა და პირდაპირ ბალის გასასვლელისკენ გაემართა, გოგონას გახედა - ის ჰორიზონტს გაჰყურებდა, ნიკაპი უკანკალებდა და ცრემლები ლოყაზე მოგორავდა. სასწრაფოდ გამოვიდა ბალიდან და მობილურით ტაქსი გამოიძახა.

* * *

ფიქრებში წასულმა, ვერც კი შეამჩნია, როგორ მიუახლოვდა მამა ეტლით.

- წავიდეთ შვილო სახლში, უკვე გვიანია! - მზრუნველი სითბოთი უთხრა მამამ, ხელში აიყვანა და ატირებული გოგონა ინვალიდის ეტლში გადასვა.



არდალეგები

- ჩამოდით, შვილო, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, აღდგომას საფლავებზე კვერცხი გააგორეთ! თუ გინდათ, კვერცხსაც ნუ გააგორებთ, ოღონდ ჩამოდითო! - გვთხოვდა ანდრო.

* * *

გორის რიონის ორ სოფელს ლიახვი ჰყოფდა, მაგრამ მეგობრობა, სიყვარული, ნათელ-მირონი და „კონწიალა“ ხიდი აერთიანებდა.

- ყიყლიყო! - დილით, მამლის ყივილი მაღვიძებდა და ვერ გავრკვეულიყავი, სად ვიყავი.

- მუუუ! - ორღობეში ჩამოივლიდა სოფლის ნახირი.

- კა, კა, კა! - ატყდებოდა ქათმების კრიახი. ეზოში გამოსულს, მონადირე ძალი მომელაქუცებოდა და ფეხებს ამილოკავდა. ბებია, ჭიქა რძეს და სახელდახელოდ გამომცხვარ ხაჭაპურს დამახვედრებდა. მერე მეგობრები, მდინარეზე თევზაობა, სტადიონზე ფეხბურთის თამაში, საღამოს, ბირჟაზე სოფლის ახალ-ახალი ამბები - ჯონდოზე, ნაირაზე, ტრისტანაზე, კარლოზე, ანდროზე...

* * *

- შვილო, გოგიტა, ბოზობს დედაშენი, აიყოლია შენი და, ხა-თუნაცა და ბოზობენ ერთადაო! - წერილი გაუგზავნია ჯონდოს ჯარში მომსახურე შვილისთვის.

- ცოტაც მოითმინე მამა, ჩამოვალ და დაგეხმარებიო! - მიუღია შვილისგან პასუხი. გაუხარდა, რომ ცოტა ხანში ჯარიდან დაბრუნებული შვილი გვერდში ამოუდგებოდა, მაგრამ რანაი-

რად დაეხმარებოდა ამ, ძალიან პიკანტურ საკითხში, ამაზე არ უფიქრია, ან როგორ უნდა ეფიქრა, როცა ფიქრს ნიჭი სჭირდება და კიდევ ჭკუა. პირველი ღმერთმა არ გაიმეტა მისთვის, მეორე კი, მამამისმა ვერ მისცა სულ უბრალო მიზეზის გამო - თავისთვისაც არა ჰქონდა.

ვინ შეეკითხა, ისე შერთეს ჯონდოს ნაირა. დაემსგავსა პირველი შვილი, გოგიტა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ - მამას. მეორე, ხათუნა - დედას, ხოლო მესამე - მალხაზა, მამის იმედი - გორელტაქსის მძღოლს.

ვერ უშველა გოგიტას ჯარიდან ჩამოსვლამ, ვერ დააოკეს ამ-ძუნებული ქალების აგხორცობა

- რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედიო! - შეეჩინა ჯონდო. ის კი არა, ამაყობდა კიდეც, თუკი ცოლი იერარქიით თუ ინტელექტით მაღლამდგომ საყვარელს გაიჩინდა.

- ჯოდო, მიხედე შენს ცოლსა, მითხრეს, ქარხანაში ვიღაცას-თან დადისო! - გააფრთხილა ჯონდო მეგობარმა დათიკომ.

- შე კაი კაცო, „ცეხის“ უფროსი ვიღაცა არისო?! - იწყინა ჯონდომ.

სახლის აშენებას, ქმარმა საშველი რომ ვერ დააყენა, ნაირამ გადაწყვიტა, მობილიზაცია გაეკეთებინა მთელი თავისი რესურსებისთვის და სახლი თვითონ აეშენებინა.

დაინტო მშენებლობა აგურ-აგურ, ბლოკ-ბლოკ, შიფერ-შიფერ. ადიოდნენ მძღოლები ნაირასთან სამშენებლო მასალით დატვირთული მანქანებით და ბრუნდებოდნენ უფულოდ, მაგრამ ფრიად ნასიამოვნები.

ნაირამ, მარტო რომ ვეღარ მოერია, შვილიც ჩართო საქმეში, რომელმაც ხელოსნების გასტუმრება თავის თავზე აიღო და საღამოობით, გორიდან ავტობუსით ჩასული, იქვე კატაბარდას ჩირგვებში ურიგებდა „გასამრჯელოს“ სახლის მშენებლობაზე დამხმარე მეზობლის ბიჭებს.

აშენდა სახლი ვაგინის ძალით, გადაიხურა. ამ ძალამ გაათხო-

ვა ხათუნა ერთ სულელ ბიჭზე, რომელსაც რომ ჰყითხეს

- რომელ წელს დაიბადეო? - უპასუხა

- აბა რა მახსოვს, მაშინ პატარა ვიყავიო!

ამ ძალამ ათქმევინა ჯონდოს ხიდის ბოლოში, ბირჟაზე, „ქებაი და დიდებაი ნაირასაი“

- ჩემი ნაირაი, ძან ხელბარაქიანია, ვენაცვალე. დილით გავ-ატან თუმანსა, საღამოს მოვა დაგრუზული, დაბრიგნილი, თუ-მანი ისევ ხელში აქვსო!

* * *

- სად არ ვყოფილვარ, რა არ მინახავსო! - ამბობდა ტრისტანა, როცა ტყუილების გუდას მოხსნიდა თავს და მოყოლას იწყებდა. სინამდვილეში, სოფლის გარეთ არ იყო გასული, თუ არ ჩავთვ-ლით ჯარს, რომელიც სახალინზე მოიხადა თვალუწვდენელ თოვ-ლში და -40 გრადუს ყინვაში, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს, ათასი ტყუილი სიმართლედ შემოესალებინა. გამოჭერას თუ ეცდებოდი, ისეთს დაიგინებდა

- მომგონებლის დედაიო! - რომ, სხვა გზა არ გვქონდა, უნდა დაგვეჯერებინა.

- ხო, ბიჯო და, მივდივარ ტყეში თოფითა. დავინახე დათვის ბელი. გადმოვუღე თოფი, დავუმიზნე, მაგრამა ვერ ვესროლე, შემეცოდა და თოფი დავუშვი. ამ დროს, უკრიდან მარტყამს ვი-ღაცა ხელსა. ამი დედა აავატირე, მოვტრიალდი და რას ვხედამ - დედა დათვი ორ ფეხზე დამდგარა და

- კაი კაცი ხარო! - მაღლა აწეულ ცერს მაჩვენებს.

- აქ დამელოდეო! - მანიშნა და სადღაც გაძუნძულდა. ცოტა ხანში მოვიდა და თაფლი მომიტანა სამლიტრიანი ბანკითა.

- ესა წაილეო და როცა გამოგელევა მოდიო! ოლონთა, ბანკა უკან მომიტანე, მიჭირს ტარაიო! - მანიშნა დათვმა. ნატურალ-ური თაფლი იყო, თუ არ გჯერამთ, გაგასინჯებთო.

* * *

- გამარჯობა კოლია ძია!

- გაგიმარჯოს ბიძიაო! - უპასუხებდა თავისი სახლის შეშაბან-დის გამოღებულ ფანჯარასთან მჯდარი, რაფაზე ნიკაპჩამოდებული და თბილ მზერას გააყოლებდა სოფლის შარაგზაზე ამავალ, ან ჩამომავალ მეზობლის ბავშვებს.

- მსოფლიო კაცს მეძახიან, მსოფლიო კაცსა. დიდთან დიდი ვაარ, პატარასთან პატარაი! - ამბობდა მუდამ მთვრალი კოლია და ისეთი კეთილი თვალებით შემოგხედავდა, რომ არ შეიძლებოდა, არ დათანხმებოდა.

მამამისის სიკვდილის შემდეგ, ოჯახის სიმძიმე ახალგაზრდა კოლიას დააწვა მხრებზე. უსიტყვოდ ზიდა ტვირთი, მათხოვრობა არ დაუწყია, მეზობლებს ეხმარებოდა სულ მცირე გასამრჯელოდ. კეთილი იყო კოლია, თავის საქმეს მოცდებოდა, მაგრამ მეზობელს უარს როგორ ეტყოდა?! - ზოგს არაყი ჰქონდა გამოსახდელი, ზოგს შეშა დასაჩეხი, ზოგს რა და ზოგს რა. დარბოდა კოლია მეზობლიდან მეზობელთან, არ თაკილობდა ნაგვის გადაყრას თუ ტუალეტის ამონმენდას. მეზობლებიც სცემდნენ პატივს თითო ჭიქა არყის დაყოლებით. შეეჩია, შეიყვარა, მაგრამ ზომიერება შეინარჩუნა. არავის უნახავს ფეხარეული, მოჩხუბარი ან სადმე მიძინებული, ყოველთვის აგნებდა სახლის გზას. მსოფლიოში არ დაიარებოდა ადამიანი, კოლიას არ ჰყვარებოდა. ისიც ყველას უყვარდა.

- აქმა, შენი ნისკარტიო!-აგინებდა ეზოში შემოსულ მეზობლის ქათმებს.

- ქსა, შენი დინგიო!-აგინებდა მეზობლის ღორებს.

-არავის ისე არ უხდება გინება, როგორც კოლიასო! - ამბობდნენ ქალაქიდან ჩამოსული დამსვენებლები.

პატიოსანი კაცი იყო კოლია, მეზობლის ქალს სხვანაირად როგორ შეხედავდა?!

- ამასწინათა, ნაირა გადაიბლინკა უშნოთა ღელეზედა. თვალი

გამექცა, მაგრამა, მერე დავთიქრდი, მეზობელია, შეჩვევა იცის! ისე, რა აქვს ნაირასა მაგითანაი, რით იზიდამს ხალხსაო?! - უკვირდა კოლიას.

- რაც დღესა მაქვს, დღეს შევსჭამ, რაც ხვალა მაქვს, ხვალ შევსჭამ, ეკონომის დედაცო! - ისე დამაჯერებლად იტყოდა, სათავეში რომ ყოფილიყო, ქვეყანასაც მაგ პრინციპზე მოაწყობდა.

* * *

საშუალო ასაკისა იყო ანდრო, სადღაც, ჩვენსა და მამებს შორის, ამიტომ, ორივე თაობასთან წარმატებით მეგობრობდა.

ერთად ქირაობდნენ ოჯახები შემოდგომაზე ვაგონ-მაცივარს, ერთად მიჰქონდათ ხილი რუსეთის ქალაქ გორკში ჩასაბარებლად. ერთად მიჰყვებოდნენ, ანდროს მეთაურობით, ბიჭები ვაგონს.

მიღის მატარებელი, არ თავდება სწორი, ერთგვაროვანი სტეპები. ჰყვება ანდრო ამბავს:

- ჰოდა, ბიჭები ვაართ კლუბთანა, კაკლის ძირში დომინოს ვთამაშობთ. გაჩერდა ავტობუსი, ჩამოვიდა კარგი, სიმპათიური ქალბატონი და პაპაშენი იკითხა. მე ვუთხარი

- ქალბატონო, წამო გაგაცილებთ! თქვენს ასასვლელში, „შაფრანი“ ვაშლის ძირში გუბე იყო, ავიტაცე ხელში, გადავიყვანე მშრალზე და უვნებელი ჩავაბარე პაპაშენსა, ცუდი არაფერი მიქნია!

გადის რამდენიმე დღე, ჰყვება ანდრო ამბავს:

- ჰოდა, ბიჭები ვაართ კლუბთანა, კაკლის ძირში დომინოს ვთამაშობთ. გაჩერდა ავტობუსი, ჩამოვიდა კარგი, სიმპათიური ქალბატონი და პაპაშენი იკითხა. მე ვუთხარი

- ქალბატონო, წამო გაგაცილებთ! თქვენს ასასვლელში, „შაფრანი“ ვაშლის ძირში გუბე იყო, ავიტაცე ხელში, ჩავეკარი, ჩამექრა და იქვე „ავაყუდე“, „შაფრანზედა“.

- მოიცა, ანდრო, შენ არ მოჰყევი ამასწინათ, ცუდი არაფერი მიქნია? - ჰკითხა ემზარამ.

- მერე, ხომ დაგწყდა გული, ხომ გინდოდა, რომ მექნა? ხოდა ვქენი! - უპასუხა ანდრომ.

ღამით გარედან ვიღაცამ ჩაურაზა ვაგონის კარები. დილით გაიღვიძეს, კარები ჩაკეტილია. მატარებელი მიდის ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე. შარდავენ ცარიელ ლუდის ბოთლებში, მა-გრამ დანარჩენს რა უყონ, ვაგონს ხომ არ წაბილნავენ?!

- ფეხები კედელზე ააყუდეთ, განავალი სისხლში გადავა და ცოტა მოგეშვებათო! - დაარიგა ბიჭები ანდრომ. როგორც იქნა გაჩერდა მატარებელი. ატეხეს ბრახუნი, გაიგო ვიღაც ღვთის-ნიერმა რუსმა და გაუხსნა კარები. შემოიპატიუეს, ხილი მია-წოდეს.

- А что в бутылках? - огнотხა რუსმა,
- Пиво! - უპასუხა ანდრომ. აიღო რუსმა ბოთლი და მიიტანა პირთან.

- Нет, нет, плохое пиво! - მაგრამ უკვე გვიან იყო
- Тыфу, моча! Твою мать!-ზიზლით გადმოაფურთხა რუსმა. გაისტუმრეს მხსნელი და გაცვივდნენ მოსასაქმებლად. ანდრომ ტუალეტამდე ვერ მიაღწია და ზედ ბაქანზე, ხალხის თვალნინ ჩა-ჯდა ჩახდილი.
- რას შვრები ანდრო, სირცხვილიაო!-მიაძახა ტრისტანამ.
- ერთპაშად ტინისხიდზე არ შემხვდნენ და არ მითხრან, ეს რა ჰქენიო?!.-უპასუხა ანდრომ...

* * *

ასე გადიოდა ზაფხულის არდადეგების ბობოქარი დღეები. საღამოობით, სიბნელეში, სახლში დაბრუნებისას ფეხს ვუჩქა-რებდი. თუ თავზე ჭოტი დამკივლებდა, გულგახეთქილი, სირ-ბილით შევვარდებოდი სახლში და შეშინებულზე, დანით და ნახ-შირით, საბედა ბაბოს გამოსალოცი ვხდებოდი.

* * *

აღდგომას ვიყავი ჩასული ჩემს სოფელში. აღარ არიან სოფლის კოლორიტები: ჯონდო, ნაირა, ტრისტანა, კოლია, ანდრო... „კონ-ნიალა“ ხიდის მაგივრად, რკინის კონსტრუქცია აერთიანებს ორ სოფელს. დარჩა მხოლოდ მოგონება და აღდგომას, ლიახვის გალ-მა-გამოლმიდან, ერთმანეთის მოცქირალ საფლავებზე კვერცხის გაგორების ტრადიცია.



ესტაზეტა

- ხედავ, ბოდიშის მოხდაც არ იკადრაო?! - ქოთქოთებდა დედამთილი.
- ბოდიში კი არა, თვითონვე გაიბუტაო! - აქეზებდა დედამთილს მული.
- უზრდელი, რა ოჯახში გაიზარდა, ვაი, ჩემო საწყალო შვილომ!

* * *

ემანდ, უშვილძიროდ არ გადავშენდეო, 37 წლის აივენგომ 33 წლის ტერეზა რომ მოიყვანა ცოლად, დედამ და დამ - ალბინამ და მანონმა, საძილე ოთახი ახლადშეუდლებულებს დაუთმეს და თავისი ნებით გადმოსახლდნენ სასადილო ოთახში. აივენგოს ტერეზა არ უძებნია და არც *jobs.ge*-ზე გამოუცხადებია ვაკან-სია. უბრალოდ, ნაცნობის და მოეწონა და ალბათ, სახელი კერიამ მოითხოვაო, ცოლადაც მოიყვანა.

პირველივე დღიდან გაჩნდა ოჯახში პრობლემები

- ეს თეფში აქ რატომ დევს, იქ უნდა იდოსო!
- სარეცხ მანქანაში „პერსილი“ რატომ ჩაყარე, ჩვენ „არი-ელით“ ვრეცხავთო!

- ნახე, ბიჭს დილით თვალები დასიებული ჰქონდა, ეტყობა, მთელი ლამე „ამუშავაო“!

- ქალი კი არა, ცხენიაო!

- რას გავსო!

- ეგ ჩვენი ოჯახის ღირსი არ არის, წავიდეს ჩვენი სახლიდანო!

- მაგრამ ერთი წლის თავზე, ტერეზამ ბიჭი - 5 კოლოგრამიანი

უანრი რომ გააჩინა, მისი სახლიდან წასვლა აღარ მოუთხოვიათ. რძალმა კი, შვილის გაჩენით პოზიციები გაიმყარა და იქით შეტევაზე გადავიდა. ქმარს მოსთხოვა

- ან ეგენი, ან მეო! - დაძაბულობამ პიკს მიაღწია, ოჯახი ორ ნაწილად გაიყო, მაგრამ უპირატესობა ტერეზას დარჩა, რაგან ისეთ ბერკეტს ფლობდა პატარა უანრის სახით, რომელზეც მთელ იჯახს მზე და მთვარე ამოსდიოდა. ეცადა აივენგო მეტოქეების შერიგებას თუ არა, დაშოშმინებას მაინც, მაგრამ ორმხრივ წნებს რომ ვეღარ გაუძლო, არჩევანი გააკეთა - ცოლის მხარე დაიჭირა და დაისვენა.

ერთ დღესაც, ტერეზამ ბავშვი რომ მოიყვანა საბავშვო ბალიდან, სამზარეულოდან გაუგებარი ლუდლუდის ხმა მოესმა. შევიდა და ცალმხარნართმეული დედამთილი დახვდა იატაკზე წამოგორებული. სასწრაფო დახმარება გამოიძახა, ქმარს დაურეკა. დედამთილი განაგრძობდა ლუდლუდს, სანამ ტერეზამ არ განაცხადა

- გარკვეით გავიგე, ჩემი სახელი ახსენა, სიკვდილის წინ შენდობას მთხოვსო! - ეტყობა, იმდენად შორს იყო მისი „მოსმენილი“ რეალობისგან, რომ ავადმყოფმა ერთი ამოიხროტინა, სიმწრით გააკანკალა და კიდევ არაფერი დაამატოსო, სასწრაფოდ მიაბარა სული უფალს. გამოიტირეს საწყალი ალბინა, დამარხეს.

- გოგო, ახლა მაინც შეურიგდი მანონსო! - სთხოვდა ქმარი.

- გველის წინილი, ეგ არ იყო, დედამისს რომ აქეზებდა ჩემს წინააღმდეგ? იმას, კიდევ წაქეზება უნდოდა, ისედაც ყოველ სიტყვაზე ცოფიანი ძალლივით მეცემოდა ხოლმეო! - ცოცხალი თავით არ ურიგდებოდა მულს ტევრეზა.

- შვილო, დედაშენი ცუდი ქალია, მაგან შეიწირა ბებიაშენიო! - დედის წინააღმდეგ განაწყობდა ბავშვს მამიდა.

- შვილო, მამიდაშენი ცუდი ქალია, ჩემი ოჯახის დანგრევა უნდოდაო! - ზემოქმედებდა ბავშვზე დედა. პატარა უანრის ვერ გაეგო, ასე კარგ და კეთილ დედას როგორ შეეძლო, ბებიისთვის

რამე დაეშავებინა, ან მის საყვარელ მამიდას, ვინმეს ოჯახი დაენგრია.

იმ ზაფხულს, ჟანრი მეორე კლასში გადავიდა, აივენგოს მეგობარმა მანქანით რომ გამოუარა

- სოფელში მივდივარ და წამომყევიო! - მძღოლის გვერდით მოკალათდა, შვილი კალთაში ჩაისვა. გზაში, ახალგანვიმებულზე, მანქანა მოცურდა და მარჯვენა მხრიდან ხეს შეეჯახა. აივენგოს ცხედარი რომ გამოეტანათ, ავტომობილი გასაჭრელი გახდა. საწყალი, ისე იყო შვილზე გადაფარებული, ბავშვს არაფერი დაშავებია.

- ეს რა უბედურება შეგვემთხვა მანონ!

- ვაიმე ჩემო ტერეზაო! - მიხვდა რძალ-მული, რომ ყველაზე უკეთ ერთმანეთს გაუგებდნენ, რადგან ქმრის და ძმის სიყვარული აერთიანებდათ და აქამდეც, მხოლოდ იმიტომ ჰქონდათ უკმაყოფილება, რომ ამ სიყვარულს ვერ იყოფდნენ.

- შვილო, დედაშენი საუკეთესო ქალიაო! - უქებდა დედას მამიდა.

- შვილო, შენისთანა მამიდა არავის ჰყავო! - უქებდა მამიდას დედა. ასე, სიტკბოში და სიყვარულში იზრდებოდა ჟანრი. სკოლა ფრიადზე დაამთავრა, ინსტიტუტი - წარჩინებით, ცოლიც შესაფერისი მოიყვანა - ანა-მარია.

* * *

- ხედავ, ბოდიშის მოხდაც არ იკადრაო?! - ქოთქოთებდა დედამთილი.

- ბოდიში კი არა, თვითონვე გაიბუტაო! - აქეზებდა დედამთილს ქმრის მამიდა.

- უზრდელი, რა ოჯახში გაიზარდა, ვაი, ჩემო საწყალო შვილო!

- ეს ორი სახელი რაღააო?! - უკვირდა ორივეს.

სარჩევი

Amapola	11
ეტლი	13
ქირურგი	18
სიბრძნე სილამაზისა.....	21
დედის გული	24
ალია საქართველოდან.....	29
შენდობა	33
მარკეტინგი	37
სიკვდილმისჯილი.....	41
საპარიკმახეროში	49
ცდუნება.....	52
ნიღაბი	57
დეტექტიური ნოველა	60
დედაენა	65
ბაზარში.....	70
კოსმოსი	73
დეპრესია	76
ვატაშინონამაევა შოთადეს.....	79
ქურდი	82
მანანწალა.....	86
კეთილისმყოფელი.....	92
მაშო ბებო	96
პაემანი	98
არდადეგები	102
ესტაფეტა	109

AMAPOLA

ଅନ୍ତର୍ଜାଲ ପାତ୍ରମାଳା



9 789941 933530 >